

ჰუმანიტარიზმი განათლება სკოლაში

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის
გამოცემა

№1, 2022

მეორე ნაწილი

ენები,
ხედოვნება,
მუსიკა, ისტორია



საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო



მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ეროვნული
ცენტრი



ჰუმანიტარული განათლება სკოლაში

განსაზღვრულ პრეზენტაციულ განათარსებას
ეროვნული მნიშვნელობის გამოცემა

№1, 2022

გეოგრაფიული

ენები, ხელოვნება,
მუსიკა, ისტორია

საგანმანათლებლო კომპლექსი:

ლევან ბრეგვაძე

სამეცნიერო რედაქტორი

თამაზ მასაძე

გრიგოლ (გია) მურდულია

ნინო ნაპუდაშვილი

ზაალ ჩხეიძე

გია ბალაშვილი

სოფიო ქეზური

ლევან ახვლედიანი

რუსუდან თაყაიშვილი

ნონა პოპიაშვილი

მთავარი რედაქტორი

მანია ინასარიძე

კორექტორი

მანია წიკლაური

ფიზიკური

ბესიკ დანელია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.

მისამართი:

თბილისი, სანდრო ელის ქ. 5,

ელფოსტა: skolismartva@tpdc.ge

ჟურნალში გამოქვეყნებული პუბლიკაციებში
გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება,
შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების ეროვნული
ცენტრისა და ჟურნალის რედაქციის
შეხვედრებს. ცალკეულ სტატიებში
დასახელებული ფაქტების უცვლარობაზე
პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 2720-8583

WWW.TPDC.GE



რედაქტორისგან

თქვენ წინაშეა ჟურნალის – „ჰუმანიტარული განათლება სკოლაში“ – მეორე ნაწილი, რომელიც ეთმობა უცხოურ ენებს, ესთეტიკური ციკლის საგნებსა და ისტორიას.

ენების სწავლება და სწავლა პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს მთელ მსოფლიოში და ამ საკითხზე საუბარს დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, ვერ ერთი ჟურნალი ვერ აუვლის გვერდს. ჩვენ, გარდა მსოფლიო ენობრივი პოლიტიკისა, წარმოგიდგენთ საქართველოში ეროვნულ უმცირესობათა ენების სწავლებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ერთ-ერთი სტატია სწორედ უმცირესობათა ენის ეფექტიანი სწავლების გზას გვთავაზობს: ციფრული ინსტრუმენტების დახმარებით საქართველოს საგანმანათლებლო პლატფორმაზე, თუმცა საკითხი აქტუალურია ყველა სასწავლო საგნისათვის, რადგან გამოცდილება, რომელიც ამ სტატიაშია აღწერილი, პანდემიის პირობებში დაგროვდა.

გვერდს ვერ ავუვლიდით უცხოეთის გამოცდილებასაც. წინამდებარე ნომერში გერმანიაში არსებულ წიგნიერებასთან დაკავშირებულ პრობლემასა და ქვეყანაში ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიების შესახებაც გიამბობთ.

ყველა ქართველისათვის ერთნაირად მნიშვნელოვანია ეროვნული საუნჯე – ჩვენი ფოლკლორი, რომელსაც ჟურნალში ვრცელი სტატია ეთმობა, მაგრამ, ვფიქრობთ, არც უცხოეთში მოღვაწე ჩვენი თანამედროვე ხელოვანების შემოქმედება იქნება უინტერესო მკითხველისათვის. ზოგადად, ჰუმანიტარული განათლება წარმოდგენილია ესთეტიკური ციკლის საგნების გარეშე, ამიტომაც არის ის ასე „მსუყედ“ წარმოდგენილი ჟურნალში.

გულწრფელად ვიტყვით, რომ ჩვენი დიდი სურვილი იყო და არის, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის შესახებ კიდევ უფრო მრავალფეროვანი მასალები მოგვეწოდებინა თქვენთვის. იმედია, ამ სურვილს მომავალ ნომერში განვახორციელებთ...

შინაარსი

ენების სწავლება საგანმანათლებლო

ნონა პოპიაშვილი
02 ენათა ფლორის
გოგადმეცნიერული
კომპლემენტები: სწავლა,
სწავლება და შეფასება
(CEFR) – აქტიურობა
ორიენტირებული სწავლება
და მედიაციის ახალ
გამოცემაში

ნინო ფეტვიაშვილი
12 უმცირესობათა ენები
საქართველოს სკოლებში

ლიანა სიდამონიძე
17 ციფრული ინსტრუმენტების
დახმარება საქართველოს
საგანმანათლებლო
პლატფორმაზე

ხათუნა მჭედლიშვილი
22 მონივრების პრობლემები
და მათი გადაჭრის ცდები
გერმანიაში

მუსიკა და ხელოვნება

გია ბალაშვილი
27 მარადისობის მსოფლიო
კამპანია ქართულ-კახურ
სუფრულ სიმღერებში

რუსუდან თაყაიშვილი
33 გოგადი სამსახური
განათლების ხელშეწყობის
პროექტები და მათი როლი
სამოგადოების
განვითარებაში

სოფიო ქეზური
39 გუჩი ამასუპალი –
ხელოვანი, რომელმაც
შეძრა დრო და სივრცე

ირინა ჯორჯაძე
47 მოდერნიზებული
ხელოვნების
სწავლება სკოლაში

ისტორია

დემეტრი ახვლედიანი,
ლევან ახვლედიანი
56 არქეოლოგიის
სწავლება
საშუალო სკოლებში
ნაწილი I



ნონა კოპილოვა

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
სტანდარტებისა და რესურსების
პროგრამის ხელმძღვანელი

ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები: სწავლა, სწავლება და შეფასება (CEFR) – აქტიურობაზე ორიენტირებული სწავლება და პედაგოგთა ახალ გამოცდებში



**CEFR-მა ახალ ენას ჩაუყარა
საფუძველი ევროპაში
თანამედროვე ენების სწავლების
ისტორიაში პირველი ევროპული
პოლიტიკის მეთოდის შექმნით,
რომელიც მოიცავდა ყველა
თანამედროვე ენას.**



ენები ყოველდღიური ცხოვრებისა და საზოგადოების დემოკრატიული ფუნქციონირების ფუნდამენტური ასპექტია, შესაბამისად, ენების სწავლება და სწავლა ერთ-ერთი გამოკვეთილი პრიორიტეტია როგორც ევროპაში, ასევე მის საზღვრებს მიღმა.

ევროპის საბჭო განსაზღვრავს ენობრივ პოლიტიკას და აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. საბჭოს შემუშავებული აქვს ენობრივი განათლების პოლიტიკის დასანერგად მთელი რიგი აქტივობებისა და, ასევე, აქტიურად დგას ენების უფლებების დაცვისა და გაძლიერების სადარაჯოზე ურთიერთგაგების გაღრმავების, დემოკრატიული მოქალაქეობის და სოციალური ერთობის გაძლიერების გზით.

ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის განყოფილება და აგრეთვე ავსტრიაში, ქალაქ გრაცში, არსებული თანამედროვე ენების ევროპული ცენტრი მრავალ საინტერესო პროექტს ახორციელებს თანამედროვე ენების სწავლების მიმართულებით. სწორედ ევროპის საბჭოს მიერ იქნა პირველად შემოტანილი კომუნიკაციური მიდგომა ენის სახალმძღვანელოებსა და სასწავლო მასალებში, რაც გარდამტეხი აღმოჩნდა თანამედროვე ენების სწავლების მეთოდოლოგიაში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეორე და უცხოური ენების ხარისხიანი სწავლების უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი 2001 წელს გამოცემული **ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციები: სწავლა, სწავლება და შეფასება (CEFR) იყო**. შეიძლება თამამად ითქვას, რომ CEFR-მა ახალ ერას ჩაუყარა საფუძველი ევროპაში თანამედროვე ენების სწავლების ისტორიაში პირველი ენობრივი პოლიტიკის მეთოდის შექმნით, რომელიც მოიცავდა ყველა თანამედროვე ენას.

დოკუმენტი 40 ენაზე ითარგმნა და აღიარებულია ინსტრუქციის მიმცემ დოკუმენტად, რომელიც თანამედროვე ენის სწავლისა და სწავლების სპეციფიკურ არგუმენტებსა და არჩევანს, ასევე ყველა წევრი სახელმწიფოსათვის, ყველა ინსტიტუციისათვის, ყველა სამიზნე ჯგუფისა და ყველა ენისათვის მხოლოდ ერთ მეთოდს აწესებს. დოკუმენტმა ხელი შეუწყო ენობრივი სტანდარტების, სასწავლო გეგმებისა და სილაბუსების შექმნას და მნიშვნელოვანი როლი

შეასრულა განათლების რეფორმის განხორციელების კუთხით როგორც ევროპაში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. დოკუმენტის ძირითადი მიზანია, შეასრულოს აღწერითი მეთოდის ფუნქცია, რომელიც არჩევანის საშუალებას მისცემს სხვადასხვა კონტექსტში ენის სწავლებას. CEFR-ის გამოყენებით საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუძლიათ აღწერონ და შეადარონ სასწავლო ვარიანტები, სწავლის მიზნები და შედეგები კვალიფიკაციის დონეების მიხედვით. CEFR-ის მნიშვნელოვანი მიზანია, მხარი დაუჭიროს გამჭვირვალობას და შედარებითობას ენის სწავლების რეგულირებასა და ენის კვალიფიკაციაში. ამისათვის ის გვთავაზობს:

- სიტუაციებისა და არჩევანის გაანალიზებისა და აღწერის საერთო მეთოდოლოგიას ენის სწავლებასა და სწავლაში;
- საერთო ტერმინოლოგიას ყველა ენისა და საგანმანათლებლო კონტექსტისათვის;
- ენის კვალიფიკაციების დონეების საერთო სკალას მიზნის დასახვისა და სწავლის შედეგის შეფასების დასახმარებლად.

წლების განმავლობაში გაჩნდა მოთხოვნა არსებულ დოკუმენტს დამატებოდა ენის ფლობის მეტად ჩაშლილი დისკრიპტორები. გარდა ამისა, გამოიკვეთა მედიაციის, ლიტერატურის სწავლებისა და ონლაინ ინტერაქციის ნაწილის ცალკე გამოკვეთის აუცილებლობა შესაბამისი აღწერებით და დისკრიპტორებით. დოკუმენტს ასევე დაემატა ადრეული ასაკის ენის შემსწავლელებისთვის ენის ფლობის აღმნიშვნელი A1-მდე დონე. გამდიდრდა დისკრიპტორები A1, C1 და, განსაკუთრებით C2 დონეზე. საგულისხმოა, რომ 21-ე საუკუნეში ენობრივი განათლება კურიკულუმში ენის ინტეგრირებულ მიდგომას დაეფუძნა. შემუშავდა ონლაინ ინტერაქციის, თანამშრომლობითი სწავლებისა და ტექსტების მედიაციის ამსახველი დისკრიპტორები. გადამუშავდა უკვე არსებული დისკრიპტორები იმგვარად, რომ მათში ასახულიყო გენდრულად ნეიტრალური, მეტად ინკლუზიური ენა, ახალ ვერსიას ასევე დაემატა ჟესტების ენის დისკრიპტორები. ეს და სხვა ცვლილებები ასახულია 2020 წელს გამოცემულ პუბლიკაციაში **ენათა ფლობის ზოგადევრობული კომპეტენციები: სწავლა, სწავლება და შეფასება (CEFR): დამატებითი გამოცემა**.

ცხადია, ერთ სტატიაში შეუძლებელია ყველა იმ მნიშვნელოვანი სიახლის მიმოხილვა, რომელსაც აღნიშნული დოკუმენტი გვთავაზობს. თუმცა ვფიქრობ, ენის სწავლებით დაინტერესებული საზოგადოებისათვის საინტერესო იქნება წინამდებარე ნაშრომში განხილული ორი მიმართულება: აქტივობაზე ორიენტირებულ სწავლება და მედიაცია. აღნიშნულ ასპექტებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც დოკუმენტის პირველ ვერსიაში, ასევე განახლებულ გამოცემაში.

აქტივობაზე ორიენტირებული მიდგომა

CEFR-ი იყენებს აქტივობაზე ორიენტირებულ მიდგომას, რომლის დროსაც ენის სწავლება და სწავლა საკომუნიკაციო ამოცანების შესრულებით ხორციელდება. აქტივობაზე ორიენტირებული მიდგომა სწავლების კონსტრუქტივისტულ პარადიგმას ეფუძნება და ის დავალებაზე დაფუძნებული სწავლების (Task based teaching) გაუმჯობესებულ ვერსიას წარმოადგენს. ამგვარი სწავლებისას საკლასო ოთახი და გარე სამყარო ინტეგრირებულია ავთენტურ კომუნიკაციურ ამოცანებში. სწავლების ამ მიდგომის გამოყენების დროს უკუსვლით დაგეგმვას ვიყენებთ და ათვლის წერტილი მოსწავლეთა ცხოვრებისეული საკომუნიკაციო

საჭიროებებია, რომელთაც ეფუძნება დაგეგმვა, სწავლება და შეფასება. დისკრიპტორები მიმანიშნებლების ფუნქციას ასრულებს ენის მომხმარებლებთან/შემსწავლელებთან კომუნიკაციის პროცესში და წინ უსწრებს კონკრეტული დავალებების „კოგნიტურ“ მიზნებს, რომლებიც თავად დავალების სცენარშია გათვალისწინებული. აქტივობაზე ორიენტირება საკლასო სივრცეში გულისხმობს პროექტებზე/დავალებებზე მუშაობას წინასწარ გაწერილი პირობის (სცენარის) შესაბამისად. მოსწავლეები ამ პროცესში აქტიურად და მიზნობრივად ჩართული აგენტები არიან, რომელთაც უნდა მოამზადონ განაცხადი, არტეფაქტი ან რაიმე სხვა სახის პროდუქტი გაწერილი პირობებისა და მოთხოვნების მიხედვით (Bourguignon 2010), რაც მათგან მოითხოვს ცოდნის კონსტრუირებას მედიაციისა და ინტერაქციის საშუალებით. სწორედ მედიაციის კომპონენტია დამატებული ახალ დოკუმენტში და მასში ეს ყველაფერი შემდეგი ფორმულირებით გვხვდება:

„აქტივობაზე ორიენტირებული მიდგომა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მიზნობრივ, თანამშრომლობით შესრულებულ დავალებებს, რომელთა უმთავრესი მიზანს სულაც არ წარმოადგენს ენა. ხოლო თუ დავალების უმთავრესი მიზანს არ წარმოადგენს ენა, მაშინ უნდა არსებობდეს რაიმე საბოლოო შედეგი ან პროდუქტი (როგორიც არის, მაგალითად, პოსტერის ანბლოგის მომზადება, ფესტივალის მოწყობა, შეხვედრის დაგეგმვა თუ კანდიდატის შერჩევა). დისკრიპტორები კი გვხმარება ამგვარი დავალებების შესაქმნელად, ასევე დაკვირვების, შეფასებისა და თვითშეფასების პროცესში, თუ როგორ იყენებენ შემსწავლელები ენას ამ დავალებაზე მუშაობისა და საბოლოო პროდუქტის წარმოდგენისას“ (ევროპის საბჭო 2020:30).

აქტივობაზე ორიენტირებული სცენარები მოიცავს რამდენიმე ნაბიჯს, რომლებშიც გაერთიანებულია რეცეფციის, პროდუცირების, ინტერაქციისა და მედიაციის ცნებებზე მორგებული კომუნიკაციური აქტივობები CEFR-ის დისკრიპტორებზე დაყრდნობით. სცენარის საბოლოო, კულმინაციური ფაზა, როგორც წესი, თანამშრომლობითი არტეფაქტის შექმნა ან პერფორმანსიაა. მოსწავლეები იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ როგორ შეასრულებენ დავალებას/პროექტს; მასწავლებელი მათ უზრუნველყოფს საჭირო ენობრივი საშუალებებით, რესურსებით და სხვა დამხმარე მასალებით. ამ ტიპის დავალებებზე მუშაობის დროს მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ავტონომიურობა და ავთენტური მასალა, თემები და სავარჯიშოები. ამ პროცესში მნიშვნელოვანია თვითშეფასება და ურთიერთშეფასება დისკრიპტორების გამოყენებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აქტივობაზე ორიენტირებული მიდგომა წინ გადადგმული ნაბიჯია კომუნიკაციურ მიდგომასა და დავალებაზე დაფუძნებულ მეთოდთან შედარებით. მისი მთავარი მახასიათებლები კი შეგვიძლია ასე შევაჯამოთ:

- სილაბუსი მკაფიო საგანმანათლებლო საჭიროებებზეა მორგებული (ისევე, როგორც კომუნიკაციური მიდგომის დროს). პროცესის დაგეგმვა საჭიროებებზე მორგებული საბოლოო პროდუქტის შესაბამისად ხდება და უკუსვლითი დაგეგმვის დიზაინის პრინციპებით ხორციელდება.
- მიდგომა უარს ამბობს სწორხაზოვან სილაბუსზე, სადაც გრამატიკული პროგრესია ამოსავალი და, მიუხედავად შესაძლო „კომუნიკაციური ჩართვებისა“, აქცენტი ტრადიციულად გრამატიკის ათვისებაზე კეთდება და არა ენის მიზნობრივ გამოყენებაზე (Waters 2011).
- კურსის და სილაბუსის შექმნისას სასწავლო მიზნები საჭიროებაზე მორგებული დისკრიპტორების მიხედვით განისაზღვრება. შესაბამისად, მათზე ხდება დავალებების მორგება, მოსწავლეებისთვის კომუნიკაციური მიზნების წარდგენა, მიღწეული შედეგების შეფასება და მოსწავლეების შეფასების პროცესში ჩართვა (North 2014, North et al. 2018).

- სწავლის პროცესი ორგანიზებულია ცხოვრებისეულ, ცოდნის გამთლიანებაზე ორიენტირებულ დავალებებზე, რაც თავისთავად განაპირობებს ქვედავალე-ბებისგან/ნაბიჯებისაგან შემდგარი რამდენიმე გაკვეთილის გაერთიანებას, რომელთაც მივყავართ საბოლოო პროდუქტამდე/დავალებამდე (Bourguignon 2010; Piccardo 2014; Piccardo and North 2019).
- მოსწავლეზე სრული ორიენტირებულობა – ისინი თავად იღებენ გადაწყვე-ტილებას დავალების, პროექტის შესახებ და თავადვე აკეთებენ სამუშაო პროცესის მონიტორინგს.
- კოლაბორაციული დამაგვირგვინებელი დავალებები, რომლებიც მოიაზრებს პატარა ჯგუფების მიერ კონკრეტული პროდუქტის შექმნას მათ მიერ წინასწარ დასახული „მისიის“ შესაბამისად.
- სცენარები და დამაგვირგვინებელი დავალებები ენაზე არ არის ორიენტი-რებული და არც უბრალოდ ენობრივი სავარჯიშოების ერთობლიობაა. ამის საპირისპიროდ სამიზნე ენის განსაზღვრა დავალების მიხედვით ხდება.
- ავთენტური მასალა და სავარჯიშოები არ მარტივდება მოსწავლეებისთვის, არამედ „ხარაჩოს“ მეთოდის დახმარებით მოსწავლეები იღებენ შესაბამის მხარდაჭერას ამ მასალასთან გასამკლავებლად.
- მოსწავლეები და მასწავლებლები აცნობიერებენ და იღებენ იმ სირთუ-ლეებს და ფაზების განხორციელებასთან დაკავშირებულ გარკვეულ ქაოსს, რომლებიც ჭეშმარიტი სწავლა-სწავლებისა და შემოქმედებითი პროცესის განუყოფელი ნაწილია (Piccardo 2017).

აქტივობაზე ორიენტირებული მიდგომა ენის მომხმარებლებს (და შემსწავ-ლელებს) „სოციალურ აგენტებად“ განსაზღვრავს, ანუ საზოგადოების წევრებად, რომელთაც აქვთ კონკრეტული დავალებები მოცემულ პირობებში, სპეციფიკურ გარემოსა და მოქმედების კონკრეტულ სფეროში.

კომუნიკაციური ამოცანა დოკუმენტში განმარტებულია „ნებისმიერ გამიზ-ნულ ქმედებად, რომელიც ინდივიდის მიერ აუცილებლად აა მიჩნეული, რათა მიღწეულ იქნეს მოცემული შედეგი გადასაწყვეტი პრობლემის კონ-ტექსტში, ვალდებულება, რომელიც უნდა შესრულდეს, ან მიზანი, რომელიც უნდა იქნეს მიღწეული“.

CEFR-ის უმთავრესი მეთოდიკური პოსტულატი ის არის, რომ ენების სწავ-ლებისას შემსწავლელებს უნდა დავებმართ ენა გამოიყენონ ცხოვრებისეულ სიტუაციებში, გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები და შეასრულონ განსხვავებული ამოცანები. აქცენტი კეთდება იმაზე, თუ რა შეუძლიათ შემსწავლელებს გააკეთონ ენის გამოყენებით (აქტივობაზე ორიენტირებული) და არა იმაზე, თუ რა იციან მათ



**ენის სწავლებით
დაინტენსივებული
საზოგადოებისათვის
საინტენსო იქნება
ენისა და კომუნიკაციის
განხილვის ორი მიმართულება:
აქტივობაზე ორიენტირება
სწავლება და მეთოდოლოგია.**





**CEFR-ი იყენებს ავტომატურ
ორიენტირებად მიდგომას,
რომლის დროსაც ენის სწავლა
და სწავლა საკომუნიკაციო
ამოცანების შესრულებით
ხორციელდება. ავტომატურ
ორიენტირებად მიდგომა
სწავლის კონსტრუქციულ
პარადიგმას ეფუძნება და ის
დავადგენს დაუქმებელი
სწავლის (TASK BASED
TEACHING) გაუმჯობესებელ
პრინციპ ნაწილადად.**



ენის შესახებ (ცოდნაზე ორიენტირებული). აქტივობაზე ორიენტირებული მიდგომა CEFR-ის კურიკულუმსა და სასწავლო კურსებში ასახულია კომპეტენციების დონეების პოზიტიური დისკრიპტორების („მე შემიძლია“) საშუალებით, ხოლო ენის შესწავლა და შეფასება ხორციელდება ფასილიტაციისა და შესაფერისი ცხოვრებისეული და პედაგოგიური დავალებების საშუალებით.

ენის შემსწავლელის/მომხმარებლის წარმოდგენა „სოციალურ აგენტად“ უზრუნველყოფს, რომ შემსწავლელები არა მხოლოდ იყენებენ ენას სოციალური მიზნებისთვის, არამედ წახალისებულნი არიან და მათგან მოელიან, რომ პასუხისმგებლობას აიღებენ სწავლის პროცესზე. კერძოდ, თავად განსაზღვრვენ მისაღწევ მიზნებს და მოახდენენ ენის სწავლის პროცესისა და პროგრესის რეფლექსიას.

CEFR-ისათვის მოსწავლეთა ავტონომიურობა უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. უფრო მეტიც, მოსწავლეები მოიაზრებიან როგორც „პლურილინგვური, პლურიკულტურული პირები, რაც ნიშნავს, რომ მათ აქვთ საშუალება გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ლინგვისტური რესურსები საჭიროებისამებრ, შეძლონ დაინახონ როგორც მსგავსებები და კანონზომიერებები, ასევე განსხვავებები ენებსა და კულტურებს შორის“. (COE 2020a: 30).


როგორც უკვე ვთქვით, კურიკულუმი/სილაბუსი ან კურსი, რომელიც CEFR-სა და აქტივობაზე ორიენტირებულ მიდგომას ეფუძნება, იწყება იმ სასწავლო მიზნების ჩამოთვლით, რომლებიც ენის გამოყენებას ეხმარება და შემდეგ განსაზღვრავს იმ შინაარსს, მეთოდოლოგიას, აქტივობების ტიპებსა და შეფასების ინსტრუმენტებს, რომლებიც ამ მიზნების მისაღწევად იქნება საჭირო. გამოიყენება უკუსვლითი დაგეგმვის დიზაინი (Richards 2013), სხვაგვარად რომ ვთქვათ, CEFR-ის დისკრიპტორები მოსწავლეებისთვის სასწავლო მიზნების როლს ასულებენ, ხოლო ენის ფლობის დისკრიპტორები კი შინაარსის არჩევანს განსაზღვრავენ. შეფასების დავალებები, რომლებიც მიემართება პოზიტიურ დისკრიპტორებს, კიდევ უფრო მეტად ეხმარება აქტივობაზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვას, რამდენადაც მასწავლებლებმა იციან, რომ მოსწავლეებს განხორციელებული დავალებებით შეაფასებენ.

შეჯამება

ენების სწავლებისა და სწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს მედიაცია წარმოადგენს. სწორედ CEFR-ში გაჩნდა პირველად მედიაცია ინტერაქციასთან ერთად იმ საკომუნიკაციო აქტივობების შემოსატანად, რომლებიც არ მიემართება მხოლოდ პროდუცირებას ან რეცეფციას. შესაბამისად, მედიაციამ ღირსეული ადგილი დაიკავა ენის სწავლება-სწავლის მეთოდოლოგიაში. მედიაციის შემოტანით აღიარებულ იქნა ენაში სოციალური განზომილების უნიკალური

როლი. ინტერაქცია არ არის მხოლოდ პროდუქციებისა და რეცეფციის ჯამი, მისი საშუალებით შემოდის ახალი ფაქტორი: მნიშვნელობის კონსტრუირება. მედიაციას მნიშვნელობა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აჭყავს და ხაზს უსვამს მუდმივ ბმას სოციალურ და პიროვნულ განზომილებებს შორის ენის გამოყენებისა და სწავლის პროცესში. ორივე ცნება, ინტერაქცია და მედიაცია, მნიშვნელოვანია სწავლის სოციო-კონსტრუქტვისტული/სოციო-კულტურული თვალთახედვით.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოჩნდეს მედიაციის როლი CEFR-ის კონცეპტუალიზაციის პროცესში, წარმოგიდგენთ ამ მიმართებებს ფიგურალურად:



როგორც რეცეფციის, ასევე პროდუქციების შემთხვევაში, მედიაციის წერილობითი და/ან ზეპირი აქტივობები შესაძლებელს ხდის კომუნიკაციას იმ პირებს შორის, რომელთაც რაიმე მიზეზით არ შეუძლიათ ერთმანეთთან პირდაპირი კომუნიკაცია. თარგმნა ან ინტერპრეტირება, პარაფრაზირება. მოკლე შინაარსის მომზადება ან ჩანაწერის გაკეთება მესამე პირისათვის უზრუნველყოფს საწყისი წყაროს (ტექსტის) (რე) ფორმულირებას იმ შემთხვევაში, როდესაც მას (მესამე პირს) პირველწყაროზე არ მიუწვდება ხელი. მედიაციაზე მიმართული ენობრივი აქტივობები, კერძოდ კი, პირველადი ტექსტების გადამუშავება, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი საზოგადოებების ნორმალური ლინგვისტური ფუნქციონირებისათვის. CEFR-ის პირველ გამოცემაში ინტერაქციას და მედიაციას არასათანადო ყურადღება ექცეოდა. განსაკუთრებულად ნაკლები აქცენტი კეთდებოდა წერილობით ინტერაქციაზე, თუმცა უკანასკნელ პერიოდში ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ ეს ფორმა ჩვენი ყოველდღიურობის უმნიშვნელოვანეს ნაწილად იქცა. ამიტომაც დოკუმენტის განახლებულ ვერსიაში მედიაციას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა. დაემატა მედიაციის ონლაინფორმაც. ახალ დოკუმენტში მოცემულია მედიაციის განვითარებაზე მიმართული აქტივობების ჩამონათვალი კონკრეტული მაგალითებით. ნიშანდობლივია, რომ ამ აქტივობების მიხედვით ენის მომხმარებელი საკუთარ აზრს კი არ გამოხატავს, არამედ ასრულებს ერთგვარი შუამავლის როლს იმ მოსაუბრეებს შორის, რომელთაც სხვადასხვა მიზეზით არ ესმით ერთმანეთის (მაგალითად, სხვადასხვა ენის მატარებლები არიან). მედიაციის აქტივობების მაგალითებია ზეპირი ინტერპრეტაცია, წერილობითი თარგმანი, ტექსტების მოკლე შინაარსის შექმნა, პარაფრაზირება და სხვა.



**CEFR-ის უმთავრესი
მეთოდოლოგიური პოსტულატი ის
აღი, რომ ენების სწავლებისას
შემსწავლელს უნდა
დაეხმარებოდეს ენა გამოიყენოს
სხვათაგანს სიტუაციებში,
გამოსატყონ საკუთარი
მოსაზრებები და შეასრულონ
მანუალური ამოცანები.**



მედიაციის ასპექტების მაილუსტრირებელი დისკრიპტორების განვითარებისთვის ევროპის საბჭოს ენობრივი პოლიტიკის პროგრამამ არაერთი პროექტი განახორციელა. 2020 წელს გამოქვეყნებულ დამატებით გამოცემაში სრულად არის გადმოცემული ყველა სიახლე და ამ მიმართულების ახლებური გააზრება.

მედიაციის მაილუსტრირებელი დისკრიპტორები ფართოა და სცილდება მხოლოდ ლინგვისტურ მახასიათებლებს. კერძოდ, წარმოდგენილი გვაქვს შემდეგი ტიპის მედიაციის ფორმები:

1. **ლინგვისტური**/ტექსტური მედიაცია (ინტერლინგვისტური და ინტრალინგვისტური);
2. **კულტურული** – კულტურული ცნობიერების განვითარებისთვის (შესაძლებელია როგორც ერთ ენაში, ასევე სხვადასხვა ენას, კულტურას შორის);
3. **სოციალური** (მედიის საშუალებით) – შუამავლის როლის შესრულება (ლინგვისტური და კულტურული მედიატორი).
4. **პედაგოგიური** – განმანათლებლები ახდენენ ცოდნის, ცნებებისა და აზროვნების მედიაციას (კოგნიტურად და უშუალო ურთიერთობით).

მედიაციაში ენის შემსწავლელი/მომხმარებელი ასრულებს სოციალური აგენტის როლს, რომელმაც უნდა შეძლოს ენობრივი საშუალებებით გადმოცემული ინფორმაციის მნიშვნელობის გაგება და გადატანა, ზოგჯერ იმავე ენაზე სხვა ფორმით, ზოგჯერ სხვა მოდალობაში (მაგ. სამეტყველოდან უსეტურ ენაში ან, პირიქით, ან სხვადასხვა მოდალობის საკომუნიკაციო სიტუაციებში), ზოგჯერ ერთი ენიდან მეორე ენაზე (ენათშორისი მედიაცია). ამ პროცესებში აქცენტირებულია კომუნიკაციისათვის და/ან სწავლისათვის შესაბამისი სივრცისა და პირობების შექმნა, თანამშრომლობა ახალი მნიშვნელობის კონსტრუირებისთვის, სხვების წახალისება და დახმარება, ახალი ინფორმაციის გადაცემა შესაფერისი ფორმით. კონტექსტი კი, მედიაციის ფორმების გათვალისწინებით, შესაძლოა იყოს სოციალური, პედაგოგიური, კულტურული, ლინგვისტური ან პროფესიონალური.

მედიაციის აქტივობები და სტრატეგიები:

მედიაციის ბევრი განსხვავებული ასპექტი არსებობს, თუმცა მათ ყველას საერთო მახასიათებლები გააჩნიათ. მაგალითად, მედიაციის დროს საკუთარ საჭიროებებზე, იდეებზე და მათ გამოხატვაზე მნიშვნელოვანი ის ადამიანები თუ კომუნიკაციის მონაწილეები არიან, რომელთათვისაც ვახდენთ მედიაციას. მედიაციის აქტივობებში მონაწილეებს აუცილებელია ჰქონდეთ ან უკვე კარგად განვითარებული ემოციური ინტელექტი, ან ღიაობა ამგვარი ინტელექტის განსავითარებლად, რათა შესაბამისი ემპათიურობით მიიღონ კომუნიკაციური სიტუაციების სხვა მონაწილეების აზრები და ემოციური მდგომარეობა.

ზოგადად, მედიაში მოიაზრება ნებისმიერი პროცედურა, მოლაპარაკება ან ქმედება, რომელიც ამცირებს დისტანციას ორ (ან მეტ) დაშორებულ პოლუსს შორის. მედიატორი აძლიერებს ცოდნაზე ხელმისაწვდომობას, ცნებების ათვისებას, ერთმანეთთან კავშირების დამყარებას, ამცირებს დაძაბულობას. CEFR-ის პირველად დოკუმენტში მხოლოდ მნიშვნელობის გადაცემის კატეგორიები იყო მოცემული, ახალ გამოცემაში კი დეტალურად არის გაწერილი მედიაციის აქტივობები და სტრატეგიები შესაბამისი აღწერილობებით/დისკრიპტორებით.

მედიაციის აქტივობები და სტრატეგიები

მედიაციის აქტივობები:

ტექსტის მედია

- კონკრეტული ინფორმაციის ამოღება
- მონაცემების განმარტება
- ტექსტის პროცესირება
- წერილობითი ტექსტის თარგმნა
- ჩანაწერების გაკეთება
- კრეატიულ ტექსტებზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმა
- კრეატიული ტექსტების ანალიზი და კრიტიკა

ცნებების მედია:

ჯგუფში კოლაბორაცია

- თანამშრომლობითი ინტერაქციის ფასილიტაცია
- თანამშრომლობა მნიშვნელობის კონსტრუირებისთვის

ჯგუფური სამუშაოს გაძღოლა

- ინტერაქციის მართვა
- კონცეპტუალური მსჯელობის წახალისება

კომუნიკაციის მედია

- პლურიკულტურული სივრცის ფასილიტაცია
- შუამავლის როლის შესრულება
- დელიკატურ სიტუაციებსა და უთანხმოების დროს კომუნიკაციის ფასილიტაცია



ზოგადად, მედიაციად მოიაზრება ნებისმიერი პროცედურა, მოლაპარაკება ან ქმედება, რომელიც ამცირებს დისტანციას ორ (ან მეტ) დაშორებულ პოლუსს შორის. მედიატორი აძლიერებს ცოდნაზე ხელმისაწვდომობას, ცნებების ათვისებას, ერთმანეთთან კავშირების დამყარებას, ამცირებს დაძაბულობას. CEFR-ის პირველად დოკუმენტში მხოლოდ მნიშვნელობის გადაცემის კატეგორიები იყო მოცემული, ახალ გამოცემაში კი დეტალურად არის გაწერილი მედიაციის აქტივობები და სტრატეგიები შესაბამისი აღწერილობებით/დისკრიპტორებით.



მედიაციის სტრატეგიები

ახალი ცნების გამოსახატავი სტრატეგიები

- კავშირი წინარე ცოდნასთან
- ენის ადაპტირება
- რთული ინფორმაციის დანაწევრება

ტექსტის გამარტივების სტრატეგიები

- დატვირთული ტექსტის გამარტივება
- ტექსტის გადანაწილება

აქტივობაზე ორიენტირებულ დავალებებში, სადაც ცოდნის კონსტრუირება ინტერაქციაში მედიაციის საშუალებით ხდება, ამ უკანასკნელს გააჩნია როგორც ფართო საგანმანათლებლო, ასევე ვიწრო ლინგვისტური პოტენციალი. ამდენად, მედიაციას საკმაოდ დიდი როლი აკისრია როგორც კონკრეტულ დავალებებზე მუშაობის დროს, ასევე შეფასებისას.

ნიმუშად მოგვყავს ტექსტის მედიაციის დისკრიპტორები, გაწერილი ენის ფლობის დონეების მიხედვით:

მედიაცია	A1	A2	B1	B2	C1	C2
ტექსტის მედიაცია	მე შემოძლია გადმოვცე მარტივი, პროგნოზირებადი ინფორმაცია მოკლე, მარტივი ტექსტებიდან ნიშნების, შენიშვნების, პოსტერის ან პროგრამის სახით.	მე შემოძლია გადმოვცე ძირითადი საკითხი/ საკითხები მოცემული მოკლე, მარტივ ტექსტებში ყოველდ ღიური საინტერესო თემების შესახებ, იმ პირობით, რომ ეს გადმოცემული იქნება მარტივი ენით.	მე შემოძლია გადმოვცე ინფორმაცია მოცემული მკაფიო, კარგად ფორმული რეზიუმე საინფორმაციო ტექსტებიდან ისეთ საკითხებზე, რაც ნაცნობია, ან წარმოადგენს ჩემთვის პროფესიულ ან მიმდინარე ინტერესს.	მე შემოძლია გადმოვცე დეტალური ინფორმაცია და არგუმენტები სანდოდ. მაგ. მნიშვნელოვანი ასპექტები რომელიც მოცემულია რთულ, მაგრამ მკაფიოდ სტრუქტურირებულ ტექსტებში ჩემი პროფესიული, აკადემიური და პერსონალური ინტერესების სფეროებიდან.	მე შემოძლია მკაფიოდ და გამართულად გადმოვცე კარგად სტრუქტურირებული ენით მნიშვნელოვანი იდებები გრძელი, რთული ტექსტებიდან, მიუხედავად იმისა, ისინი უკავშირდება თუ არა ჩემი ინტერესების სფეროს, იმ პირობით, რომ მე დროდადრო შემეძლება გადავამოწმო კონკრეტული ტექნიკური ცნებები.	მე შემოძლია განვმარტო მკაფიო, გამართული, კარგად სტრუქტურირებული ენით თუ როგორ არის ფაქტები და არგუმენტები წარმოდგენილი, გადმოვცე შეფასების ასპექტები და ყველა წვრილ- მანი დეტალი და მივუთითო სოციო-კულტურული მახასიათებლები (მაგ. რეგისტრის გამოყენება, დამცირება, ირონია და სარკაზმი).

როგორც ვხედავთ, CEFR-ის ახალი, შევსებული და გადამუშავებული გამოცემა ღირებული დოკუმენტია ენის სწავლება-სწავლით დაინტერესებული პირებისათვის. მისი ძირითადი მიზანია უზრუნველყოს ხარისხიანი ენობრივი განათლების შეთავაზება ჩვენი მოქალაქეებისათვის და ასევე, პლურილინგვური და ინტერკულტურული განათლებისათვის შესაფერისი კურიკულუმების განვითარება და დანერგვა. ეს არის ინსტრუმენტი, რომელიც გვცხმარება არა სტანდარტიზაციაში, არამედ საგანმანათლებლო რეფორმების პროექტების განხორციელებაში.



ბიბლიოგრაფია

1. Common European framework of reference for languages: Learning, teaching, assessment, Companion Volume; Council of Europe, 2020
2. The CEFR Companion Volume—What’s new and what might it imply for teaching/learning and for assessment? Brian North (CEFR and CEFR/CV co-author); CEFR Journal- Research and Practice, Volume 4 (December 2021)
3. Broadening the scope of language education: Mediation, plurilingualism, and collaborative learning: The CEFR Companion Volume – Enrica Piccardo, Brian North, Tom Goodier, 2019
4. ენათა ფლობის ზოგადევრობული კომპეტენციები: შესწავლა, სწავლება, შეფასება- ევროპის საბჭო, 2003
5. ევროპის საბჭოს ენათა სწავლების ინსტრუმენტები; ევროპის საბჭო, 2008
6. Developing illustrative descriptors of aspects of mediation, Brian North, Enrica Piccardo, Council of Europe, 2016



ნინო წიშვილი

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის ეროვნულ
უმცირესობათა ენების
ექსპერტ-კონსულტანტი

უმცირესობათა ენები საქართველოს სკოლებში



„საქართველოს კანონი
ზოგადი განათლების
შესახებ“ უზრუნველყოფს
ეროვნული უმცირესობების
უფლებას, უზღუდვის გარეშე
ისარგებლონ მოგბლიური ენით,
შეინარჩუნონ და გაუმჯობესონ
თავიანთი კულტურული
კუთვნილება. განათლების
უფლება შედის მოგბლიური
სწავლების გზით ეთნიკური
უმცირესობათა იდენტობის
მხარეჭეფას.



საქართველოში მრავალი საუკუნის განმავლობაში ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ განსხვავებული ეთნიკური, ენობრივი და რელიგიური მრწამსის ადამიანები. მიუხედავად დღევანდელი რთული პოლიტიკური თუ ეკონომიკური მდგომარეობისა, დიდი ყურადღება ექცევა განათლებას ეროვნულ უმცირესობათა ენებზე, რაც მიანიშნებს საქართველოში არსებულ მოქალაქეთა კულტურული და ენობრივი უფლებების პატივისცემაზე.

მრავალ ევროპულ ქვეყანას ჰყავს ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც მათ ტერიტორიაზე ცხოვრობენ და მოსახლეობის უმრავლესობისგან განსხვავებულ ენებზე საუბრობენ. ევროპის საბჭომ 1992 წელს „რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია“ მიიღო, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპის ტრადიციულ ეროვნულ უმცირესობათა ენების დაცვასა და ხელშეწყობას. ეს ქარტია ძალაში 1998 წელს შევიდა, ხოლო „რეგიონული ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის“ ხელმოწერისა და რატიფიცირების ვალდებულება საქართველომ 1999 წელს, ევროპის საბჭოში გაწევრიანებისას, აიღო. ქარტია უმცირესობათა ენებს კულტურულ მონაპოვრად მიიჩნევს. დოკუმენტის მიზანია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც შესაძლებელს გახდის უმცირესობათა ენების პატივისცემას და მათი გამოყენების ხელშეწყობას, რაც არ ეწინააღმდეგება ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, შესწავლის აუცილებლობას. ქარტიის მიზანია უმცირესობათა ენების შენარჩუნებასთან ერთად გააძლიეროს სახელმწიფო ენის როლი, წაახალისოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლები ქართულის შესასწავლად, რაც ხელს შეუწყობს ინტეგრაციას, კონკურენტუნარიანობას, მრავალმხრივი განათლების მიღების შესაძლებლობას.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმატებული სახელმწიფოსთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია უმცირესობების ინტეგრირება ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, რაც, ამასთანავე, ეთნიკური ქართველების იმ მნიშვნე-

ნელოვანი ნაწილის აზროვნების შეცვლასაც მოითხოვს, რომელსაც ნაკლები შეხება აქვს უმცირესობის წარმომადგენლებთან. ამასთანავე, უმცირესობათა ენების აღიარება და ამ ენებზე მოსაუბრეთა მიმართ პატივისცემა ხელს უწყობს სოციალურ ერთობას და ქვეყანაში აძლიერებს სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესს, აძლიერებს მათში ქვეყნისადმი მიკუთვნებულობის განცდას და ამცირებს სეპარატიზმის რისკებს.

საქართველოში მოსახლეობის დაახლოებით 13%-ს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები შეადგენენ. ამ ჯგუფებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი აზერბაიჯანელები არიან, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის 6 %-ს შეადგენენ, ხოლო ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 5% ეთნიკური სომეხია. ეს ადამიანები საქართველოში ცხოვრობენ, მუშაობენ, შესაბამისად, განათლებასაც საქართველოში იღებენ.

სტატიის მიზანია განვიხილოთ, თუ რა ხდება ამ მიმართულებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ, მიუხედავად სახელმწიფოს, განათლების სამინისტროს და დონორი თუ არასამთავრობო ორგანიზაციის არაერთი წარმატებული ღონისძიებისა, ნაბიჯისა თუ პროექტისა.

საქართველოს საკანონმდებლო დოკუმენტებს შორის ერთ-ერთი საბაზისო დოკუმენტია „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“, რომელშიც დაკონკრეტებულია სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული განათლების პოლიტიკის მოსალოდნელი შედეგები. კერძოდ, როგორ ახალგაზრდას ვზრდით და რა უნარებს ვუვითარებთ, როგორ ვამზადებთ ცხოვრებისთვის. ამ დოკუმენტის ერთ-ერთ პუნქტში ვკითხულობთ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მიზანია აღვზარდოთ კანონმორჩილი, ტოლერანტი, ქვეყნის ინტერესებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქე, რომელსაც გამომუშავებული ექნება ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი.

„საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ“ უზრუნველყოფს ეროვნული უმცირესობების უფლებას, შეზღუდვის გარეშე ისარგებლონ მშობლიური ენით, შეინარჩუნონ და გამოხატონ თავიანთი კულტურული კუთვნილება. განათლების უფლება გულისხმობს მშობლიური სწავლების გზით ეთნიკურ უმცირესობათა იდენტობის მხარდაჭერას. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, უნდა იყოს უზრუნველყოფილი უმცირესობათა ენაზე სწავლება. ამავე დროს, უმცირესობათა უფლება უნდა დაბალანსდეს უმცირესობათა ვალდებულებებით, ინტეგრირება მოახდინონ საზოგადოებაში. თავის მხრივ, სკოლამ უნდა უზრუნველყოს მოსწავლეებში შემწყნარებლობის, სხვისი უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება.

ჩა გამოწვევების წინაშე ვდგავართ და როგორ სწავლება ეს მოთხოვნები?

საქართველოს მთავრობა მაქსიმალურად ასრულებს ვალდებულებას, მისცეს მშობლიურ ენაზე განათლების მიცემის შესაძლებლობა სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან და რუსულენოვან მოსწავლეებს. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, არასამთავრობო ორგანიზაციების, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF), USAID-ის, სსიპ შურაბე ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის და სხვათა ჩართულობით არაერთი პროექტი განხორციელდა და ამ მიმართულებით საქმიანობა

ახლაც გრძელდება. ესაა ბილინგვური სწავლების მოდელის პილოტირება, ქართულ, ამერბაიჯანულ, სომხურ ენებზე სასწავლო რესურსების შექმნა, ქართულის, როგორც მეორე ენის, კონსულტანტ-მასწავლებლების მივლინება სკოლებში, ეთნიკური მასწავლებლების წახალისება სახელმწიფო ენის შესწავლის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს კარიერულ წინსვლაში და სტატუსის მოპოვებაში. თუმცა გვაქვს გამოწვევები, რომელთა გადაჭრაც უმნიშვნელოვანესია განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისათვის. უმცირესობათა ენების მშობლიური ენის სასწავლო გეგმა და პროგრამები შექმნილია დაწყებითი და საბაზო საფეხურებისთვის. მათი დამტკიცების შემდგომ, სხვა საგნებთან ერთად, მშობლიურ ენაშიც გამოცხადდა სახელმძღვანელოების გრიფირების კონკურსი, თუმცა, არცერთმა გამომცემლობამ ამ კონკურსში მონაწილეობა არ მიიღო. ამიტომ უმცირესობათა მშობლიური ენის (ამერბაიჯანული, სომხური, რუსული) სახელმძღვანელოების არარსებობა კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. შესაბამისად, არაქართულენოვანი სკოლები იყენებენ ამერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის სახელმძღვანელოებს. რა წერია ამ სახელმძღვანელოებში, რა მიდგომები და შინაარსია გამოყენებული და როგორ მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი, ბუნდოვანია. ადგილობრივი სახელმძღვანელოები არ შეესაბამება არც მესამე და არც წინა თაობების ეროვნულ სასწავლო გეგმებს, არ არის მორგებული იმ ძირითად პარადიგმებს, რომლებიც დღეს ძალიან აქტუალურია. ამას გარდა, ადგილობრივი სახელმძღვანელოების არარსებობა ამერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენასა და ლიტერატურაში ხელს უშლის მოქალაქეობრივი იდენტობის სწორ ფორმირებას საქართველოს არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებში.

საინტერესო საერთაშორისო გამოცდილება არსებობს ამ პრობლემის მოსაგვარებლად. მაგალითად, ესტონეთში ეთნიკური რუსებისთვის შექმნილია ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები სახელმწიფოს უშუალო ხარჯვით. ეს სახელმძღვანელოები აწყობილია ესტონეთში მოქმედი სასწავლო გეგმისა და სტანდარტების შესაბამისად.

ამ თვალსაზრისით გარკვეულ აქტივობებს ითვალისწინებს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული საბაზისო განათლების პროექტი, რომელიც გულისხმობს პროგრამის ფარგლებში დაწყებითი კლასებისთვის მშობლიურ ენაზე სასწავლო რესურსების შექმნას და მასწავლებელთა გადამზადებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში სასწავლო რესურსები ე.წ. მატრიცების სახით კეთდება სომხურ და ამერბაიჯანულ ენებზეც და ეფუძნება სამინისტროს მიერ ინიცირებული „ახალი სკოლის მოდელით“ დანერგილ მიდგომას, რომელიც გულისხმობს სასკოლო სასწავლო გეგმების შექმნასა და სკოლების გაძლიერებას ამ თვალსაზრისით. ეს მნიშვნელოვანი ინიციატივა და პროექტია, თუმცა სრულყოფილად ვერ ჭრის არაქართულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენის სახელმძღვანელოების შექმნის პრობლემას. მაგალითად, ასეთ პროექტებში არ არის ჩართული რუსულენოვანი სკოლა/სექტორი, რაც იზოლირებულს ხდის ამ სეგმენტს. დგება სხვა პრობლემაც – რუსულენოვან სექტორებში არ არსებობს არც პროგრამა, ამერბაიჯანულისა და სომხურისგან განსხვავებით, არც რესურსი და, სავარაუდოდ, მონიტორინგის სისტემაც. მინდობილები ვართ მასწავლებლებს, რომელთა განმარტებით, თვითონ თარგმნიან და აწვდიან მოსწავლეებს ამა თუ იმ რესურსს სახელმწიფო სტანდარტსა და რუსეთში დამტკიცებულ პროგრამაზე დაყრდნობით. ეს საკმაოდ სახიფათო თემაა, თუ გავითვალისწინებთ დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობას, გამოწვევას განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით. როდესაც ვსვამთ კითხვას, სად ყიდულობენ და ვინ აწვდის რუსულ სექტორებს/

სკოლებს ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოს, ვინ აკონტროლებს და აგებს პასუხს ამ სახელმძღვანელოების შინაარსზე, პასუხი არაერთგვაროვანი და ბუნდოვანია (მშობელი, იყენებენ ძველ წიგნებს, ყიდულობენ ბაზრობებზე, იწერენ რუსეთიდან და სხვ.). ცნობილია, რა პროპაგანდას ეწევა ეს სახელმწიფო ბოლო 20 წელია რუსეთში შექმნილი სახელმძღვანელოებისა და პროგრამების საშუალებით და რამდენად პოლიტიზირებულია საგანმანათლებლო სისტემა. თუნდაც გავიხსენთ სასწავლო მულტფილმი რუსეთ-უკრაინის ომთან დაკავშირებით, რომელიც შეიტანეს პროგრამაში, როგორც სავალდებულოდ განსახილველი საკითხი.

არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სერიოზულ სეგმენტს წარმოადგენენ და მნიშვნელოვანია მათთან დაკავშირებით მასწავლებელთა მომზადებისა და პროფესიული განვითარების პოლიტიკის გაუმჯობესება. ამჟამად საქართველოში ნათესაზე მეტი მასწავლებელი დასაქმებულია სომხურენოვან, აზერბაიჯანულენოვან და რუსულენოვან სკოლებში/სექტორებში.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 2015 წელს დამტკიცდა ეთნიკური უმცირესობების ენების მასწავლებლის სტანდარტი. სტანდარტზე დაყრდნობით არაქართულენოვანი სკოლების მშობლიური (აზერბაიჯანული, სომხური და რუსული) ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის შემუშავდა სამი 20-საათიანი სატრენინგო მოდული, რომლის მიზანია მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლებისა და შეფასების სტრატეგიები მასწავლებლებმა დაუკავშირონ საკუთარ საგანსა და პრაქტიკას, მორაგონ ინტერაქტიური სწავლების პრინციპები მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილს, გამოიყენონ სხვადასხვა მოდელი მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში უკეთ ჩართვისა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების მიზნით. 2022 წელს აზერბაიჯანული და სომხური ენებისა და ლიტერატურის მასწავლებლებისათვის პირველად ჩატარდა საგნის კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდა, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლებს მიიღონ უფროსი მასწავლებლის სტატუსი, შესაბამისად, დანამატი. გამოცდა ორგანიზებული იყო შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ, ხოლო საგამოცდო ტესტებზე იმუშავეს სომხეთისა და აზერბაიჯანის განათლების სამინისტროს ექსპერტებმა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მასწავლებელთა გამოცდისთვის შეიქმნა საგამოცდოდ მოსამზადებელი სატრენინგო მოდულები, გადამზადდნენ ტრენერები, შეიქმნა სასწავლო მასალა, პრაქტიკული დავალებები. გამოცდების შედეგებმა და მასწავლებლებთან გასაუბრებამ დაგვანახვა, რომ აზერბაიჯანული და სომხური ენების მასწავლებლებს ესაჭიროებათ გა-



ნაჩაბაძე
სახელმწიფო სკოლის
უპირველესად მნიშვნელოვანია
უმცირესობების ინტეგრირება
ქვეყნის პოლიტიკა,
ეკონომიკა და კულტურა
სწავლებაში, ჩაუ, ამასთანავე,
ეთნიკური ქართველების იმ
მნიშვნელოვანი ნაწილის
აზროვნების შეზღუდვა
მოითხოვს, რომელსაც ნაკლები
შეხება აქვს უმცირესობის
ნაწილსა და მათთან.
ამასთანავე, უმცირესობათა
ენების აღიარება და ამ ენებზე
მოსწავლათა მიერ პატივის-
ცემა ხელს უწყობს სოციალურ
ერთობას და ქვეყანაში
აღიარებას სამოქალაქო
ინტეგრაციის პროცესს,
აღიარება მათში ქვეყნისადმი
მიკეთვებადობის განხილვას
და აწივებს სპეციალური
ჩივიებს.



მოცდისთვის მოსამზადებელი უფრო ინტენსიური კურსები, შესაბამისად, გადავამუშავეთ და დავამტკიცეთ ახალი სატრენინგო მოდულები, რომელთა მიზანია მასწავლებლები გაეცნონ საგნობრივი გამოცდის სტრუქტურასა და ტექნიკებს, თავი მოუყარონ აზერბაიჯანული/სომხური ენის სწავლებისათვის აუცილებელ საგნობრივ და მეთოდურ ცოდნას, ასევე გაიღრმავონ ცოდნა გრამატიკასა და ლიტერატურული ტექსტების დამუშავებაში და სხვ. ცხადია, ეს წერტილოვანი ინტერვენციები არ არის საკმარისი პრობლემის მოსაგვარებლად, თუმცა სამინისტროს შემუშავებული აქვს მკაფიო გეგმა, რომლის განხორციელების შემთხვევაში, მხარდაჭერილი იქნება უმცირესობათა მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობი პროექტები, უზრუნველყოფილი იქნება მშობლიური ენის მასწავლებელთა აქტიური ჩართულობა პროფესიულ განვითარებაში, გაძლიერდება მშობლიურ ენაზე პროფესიული განვითარების შესაძლებლობები; მომზადდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისი მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები სამივე ენისთვის; დონორი და პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით განხორციელდება მიზნობრივი პროექტები.

ბიბლიოგრაფია

1. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები;
2. ეროვნული სასწავლო გეგმა;
3. კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
4. ევროპული ქარტია რეგიონალური და უმცირესობათა ენების შესახებ. (ქართული ვერსია)
5. ნ.ხაინდრაგა., ეთნიკური უმცირესობები: ძირითადი მარეგულირებელი საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი., პოლიტიკის კვლევის ჯგუფი ეთნიკური უმცირესობების პროგრამა., 2008 წელი.
6. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის შესრულების დასკვნითი შეფასება. 2021წ.
7. უმცირესობათა ენები საქართველოში (ბროშურა)., 2016 წელი;
8. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები. თანაცხოვრება კულტურულად მრავალფეროვან დემოკრატიულ საზოგადოებაში. ევროპის საბჭო. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი., 2017 წ.
9. დ.მალაზონია., შ.მალლაკელიძე., ინტერკულტურული განათლება., ილიას სახ.უნივერსიტეტი. 2017.

სიზრდი ინსტრუქციების დანერგვა საქართველოს საგანმანათლებლო პედაგოგებში



ლიანა სიდამონიძე

ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი



**ვერაინ ნაჩოიძეა, რომ
უახლოეს მომავალში მსოფლიო
ში საერთოვანი გამოწვევის
წინაშე აღეგებოდა, რომელსაც
“COVID 19” ჰქვია და რომ მოკლე
პერიოდში მოგვინდება
განათლების სისტემის
სწრაფი აღდგენა, ჯერ კიდევ
ჩამოუყალიბებული განათლების
სისტემის მოდერნიზაცია და
ონიანდინება განათლების
მიღების სხვადასხვა
ფორმაში.**



დავოსის 46-ე ყოველწლიურ ეკონომიკურ ფორუმზე, რომლის იდეოლოგი და დამფუძნებელი ცნობილი ეკონომისტი პროფესორი კლაუს შვაბია, გამოიკვეთა იდეა, რომ მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია, რომელიც დაკავშირებულია ინტერნეტიზაციასთან და რობოტიკასთან: „არ ცვლის იმას, თუ რას ვაკეთებთ, არამედ ცვლის ჩვენს ხედვას“.

უმაღლესი განათლების ტრანსფორმაციისა და გარდაქმნის იდეა ახალი არ არის. „მრეწველობა 4.0“-ის ეკონომიკური თეორიის კონტექსტში თანამედროვე სამყაროს დიგიტალიზაცია ხელს შეუწყობს ამ პროცესს. და, მართლაც, ბოლო ათწლეულების განმავლობაში ჩვენ, მასწავლებლებს, შეგვიძლია დავაკვირდეთ, როგორ იცვლება მიდგომები საგანმანათლებლო სფეროში, რამდენად სწრაფად მიმდინარეობს სისტემური ცვლილებები ამ სეგმენტში. საზოგადოების დიგიტალიზაციის სწრაფად განვითარებადი პროცესის გათვალისწინებით 21-ე საუკუნეში აუცილებელი გახდა განათლების სისტემის რესტრუქტურირება და სპეციალისტების გადამზადება. თუმცა ვერავინ წარმოიდგენდა, რომ უახლოეს მომავალში მსოფლიო იმ სერიოზული გამოწვევის წინაშე დადგებოდა, რომელსაც “Covid 19” ჰქვია და რომ მოკლე პერიოდში მოგვიწევდა განათლების სისტემის სრულად აღდგენა, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებული განათლების სისტემის მოდერნიზაცია და ორიენტირება განათლების მიღების სხვადასხვა ფორმატზე. ამ თვალსაზრისით გამოწვევის არც საქართველო ყოფილა. ჩვენ, მთელი მსოფლიოს მსგავსად, ახალი რეალობის პირისპირ აღმოვჩნდით და მივიღეთ ეს გლობალური გამოწვევა. ქვეყანამ, საზოგადოებმა და მთელი მსოფლიოს ახალ სოციალურ-პოლიტიკურ მოცემულობებთან მხარის გასწორების მიზნით, სწრაფად დაიწყო რეორგანიზაცია.

„რუსულის, როგორც უცხო ენის“, სწავლების კონტექსტში დღეისათვის უკვე შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გაკეთება, ამრებისა და პირადი გამოცდილების გაზიარება როგორც სტუდენტებისთვის, ასევე სკოლის მოსწავლეებისთვის დისტანციური სწავლების ფორმატის ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში საქართველოს განათლების სისტემაში დიდი ცვლილებები განხორციელდა, რომლებიც ახლაც მიმდინარეობს. სწავლება ხდება უფრო ინტერაქტიული, აქცენტი კეთდება პროექტზე დაფუძნებული სწავლების ფორმაზე, ლოგიკური აზროვნების უნარის განვითარებაზე და იკვეთება პროფილური სწავლებაზე გადასვლის ტენდენცია. მასწავლებლებს ჩაუთარდათ ტრენინგები, მათ ჩააბარეს გამოცდები, რითაც შემოწმდა მათი პროფესიული კომპეტენცია და განათლების სისტემის ახალ ტენდენციებზე სწრაფად რეაგირების უნარი. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდა, რომ ყველა სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი მზად არ იყო ონლაინ სწავლებისათვის, იმავე საგანმანათლებლო ტრაექტორიის შენარჩუნებისათვის, რომელსაც ადრე მიჰყვებოდნენ, არსებულ ვითარებაში მათ ვერ შეძლეს პრაქტიკაში გამოეყენებინათ უკვე შესწავლილი მედია რესურსები, ეხელმძღვანელათ ახალი მეთოდოლოგიებით.

საქმე ეხება არა იმდენად საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ექსტრემალურ პირობებში მუშაობის მზადყოფნას (საქართველოს საშუალო სკოლები და უნივერსიტეტები საკმარისად მოდერნიზებულია), არამედ მეთოდოლოგიური საკითხების გადაწყვეტას განათლების საყოველთაო დიგიტალიზაციის საწყის ეტაპზე. ჩვენ ვსაუბრობთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის ტექნოლოგიებზე, სწავლების პერსონალიზაციის ამოცანაზე. სწორედ ამ პერსპექტივიდან მსურს გავაკეთო კომენტარი ჩემს დაკვირვებებზე ონლაინ სწავლების პროცესში ამ ორი თვის განმავლობაში.

პირველი საკითხი, რასაც ყურადღება უნდა მივაქციოთ:

ელექტრონული სწავლების ინტერაქტიული ფორმატის სტრუქტურა ეფუძნება შემდეგ ფაქტორებს:

1. სასწავლო-მეთოდური სახელმძღვანელოები ელექტრონული ფორმატში;
2. ელექტრონული საპროექტო რესურსები (Power Point-ის პრეზენტაციები);
3. სასწავლო პლატფორმები (საქართველოში აქტიურად გამოიყენება Skype, Go to meeting, Hangouts, ZOOM, Quizzing Inc. პლატფორმები)
4. სასწავლო პროცესის პერსონალიზაცია, რომელიც ითვალისწინებს სწავლების ყველა სუბიექტის პიროვნულ შესაძლებლობებსა და თვითრეალიზაციის თავისებურებებს.

ყველა ამ ფაქტორების არსებობა მიგვიყვანს საგანმანათლებლო და ციფრული ინფრასტრუქტურის შემდგომი და სისტემატური განვითარებისა და მასწავლებლის სავალდებულო, როგორც ახლა ამბობენ, „ციფრული წიგნიერების“ აუცილებლობამდე.

მეორე დაკვირვება დაკავშირებულია ონლაინ სწავლების მობილურობასა და სენსიტიურობასთან.

სწავლების ახალი კულტურა აგებულია არა პედაგოგიური დისკურსის მონაწილეობაზე: მასწავლებელსა და მოსწავლეზე, არამედ მათ როლურ თანასწორობასა და მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობაზე სასწავლო პროცესში. ამ მხრივ ონლაინ სწავლების სისტემა არ განსხვავდება ოფლაინ სწავლებისაგან. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ელექტრონული სწავლება თავისი არსით გულისხმობს „ცოდნის მოძველების“ ფაქტორს და, აქედან გამომდინარე, იწვევს საგანმანათლებლო კონტენტის შექმნისა ან განახლების საჭიროებას რეალურ დროში სწრაფად და წერტილოვნად, რაც სწორედამ რომ ციფრული სისტემის მოქნილობისთვის არის დამახასიათებელი. საკმაოდ დიდი დრო სჭირდება აუდიტორიის საგანმანათლებლო საჭიროებებზე მორგებული სასწავლო მასალის შემუშავებას. ჩვენ, ფაქტობრივად, მოვამზადეთ მასალა სწავლების ორი რეჟიმისთვის: ცოცხალი ონლაინ კომუნიკაციისთვის და დროში

გაწეული დისტანციური სწავლებისთვის, როდესაც ჩვენ შევეცემებით პლატფორმა მომზადებული მასალის საფუძველზე დამოუკიდებელი სწავლებისთვის. ამავდროულად, მასალა შესავლის სახით უნდა შეიცავდეს ინსტრუქციას, რომელიც დააკავშირებს ონლაინ რეჟიმში ჩატარებულ გაკვეთილს მიღებული ინფორმაციის შემდგომი დამოუკიდებელი გაღრმავების ელემენტებთან და მის შემდგომ პრაქტიკულ გამოყენებასთან პრეტექსტურ და პოსტექსტურ დავალებებში.

ონლაინ სწავლის პროცესში წავაწყდით:

- ა) სასწავლო მასალასთან მუშაობის მკაფიო სისტემატური ორგანიზების ნაკლებობას და, შედეგად, ელექტრონული სწავლების სისტემების მოდულაციის ნაკლებობას;
- ბ) დილემანტიზმს სხვადასხვა ონლაინ სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობისა და სწორად გამოყენების საკითხებში;
- გ) აუდიტორიასთან მუშაობისას საფრთხეებისა და რისკების შეფასების სუსტ უნარებს;
- დ) სასწავლო პროცესის სოციალიზაციისა და კონტენტის მრავალმხრივი მიწოდების პრობლემებს.

„რუსულის, როგორც უცხო ენის“, ონლაინ და ოფლაინ სწავლების გამოცდილებით, შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ ამ ეტაპზე ონლაინ განათლება ვითარდება შერეული ტიპის (ჰიბრიდული) სწავლების მიმართულებით. ჩვენ გვჯერა, რომ სრულად „ციფრულ“ განათლებაზე გადასვლა არ შეიძლება და ამაზე საუბარი ნაადრევია. ჩვენი პროგრამების უმეტესობა აგებულია კლასიკური სწავლების პრინციპზე: ერთი და იგივე ყველა ჯგუფისთვის: ლექცია (გაკვეთილი)-ტესტები-დავალებები. ჩვენი ამოცანაა დავაჩქაროთ ჯგუფური სწავლის ფორმებიდან პერსონალურ სწავლებაზე გადასვლის პროცესი და ამის მიღწევა შესაძლებელია სასწავლო კონტენტის მოსწავლის ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე მორგებით, მისი მიდრეკილებების, პრიორიტეტებისა და ცალკეული თემების შესწავლის სიღრმის გათვალისწინებით.

ამ მხრივ, მოვიყვანთ მაგალითს პირადი გამოცდილებიდან. სტუდენტებთან ონლაინ მუშაობისას ვცდილობდით გამოგვეყენებინა შინაარსობრივი მასალის დიფერენცირებული მიდგომა ენის ცოდნის საფუძველზე (შევნიშნავთ, რომ აუდიტორია შერეულია, ენის ცოდნის დონე: A2.1 და B2.2). ონლაინ აუდიტორიას მიეწოდა სპეციფიკური რეგიონული ხასიათის ადაპტირებული ტექსტური მასალა სხვადასხვა ტიპის ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სავარჯიშოებით, სტუდენტთა მომზადების დონისა და მასალის ათვისების უნარის დონის გათვალისწინებით. ტექნიკური კუთხით სტუდენტთა სამუშაო მოიცავდა კითხვას, ლექსიკურ მუშაობას, სიტყვებისა და ფრაზების სემანტიკურ ანალიზს და მასალის პრაქტიკულ გამოყენებას. ერთი და იმავე კონტენტის პრეზენტაცია მოიცავდა მსგავს სემანტიკურ პასაჟებს, თუმცა განსხვავებულ ლექსიკურ-გრამატიკულ აქცენტებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო დიაგრამების, სლაიდების, სურათების და სხვადასხვა ტიპის თამაშის ელემენტების სახით ერთი და იმავე პრეზენტაციის ფარგლებში. ჩვენ ვიხელმძღვანელებთ ჰიპერტექსტის და ჰიპერმულეების ტექნიკით. შეგახსენებთ, რომ ჰიპერტექსტის დამახასიათებელი თვისებაა მისი არასრულყოფილება, უფრო სწორად, ღიაობა „რედაქტირებისადმი“. ლექცია მომზადდა Power Point-ის ფორმატში პოდკასტის (Podcast) გამოყენებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პოდკასტი წარმოდგენილი იყო ორი მოდელით: ავთენტურის, მშობლიურ ენაზე მოსაუბრე პირის ჩანაწერით (ამ შემთხვევაში ეს თავად მასწავლებელი იყო) და თავად სტუდენტების მიერ შექმნილი გასართობი პოდკასტი. სტუდენტებს შეუძლიათ შექმნან საკუთარი პოდკასტი (მოსაზრებები მოსმენილ თემებზე, კითხვები დავალების მასა-



**ელექტრონული სწავლება თავისი
ანიმთ ველისხმობს „ყოფნის
მოქმედების“ ფაქტორს და,
აქედან გამომდინარე, იწვევს
საგანმანათლებლო კონსენსუსის
შექმენისა ან განახლების
საჭიროებას ჩაადრე დროში
სწავლად და წარმოდგენად,
ჩაუ სწოვრად რთო სიფრული
სისუბნის მოქმედობისთვის
ჩაის დამახასიათებელი.**



ლებზე). ჩვენი დაკვირვებით, პოდკასტინგის ტექნოლოგია ძალიან კარგად არის
მორგებული სტუდენტის კლასგარეშე დამოუკიდებელ მუშაობაზე. ჩვენი პირველი
პოდკასტი ავთენტური იყო და მასთან მუშაობის პრინციპი შემდეგი იყო: ტექსტი
სამ ნაწილად დაიყო:

პირველი ნაწილში წარმოდგენილი იყო ტექსტი, რომელიც იკითხებოდა
ნელა, ფონეტიკური სირთულეების გათვალისწინებით. მეორე ნაწილი მოიცავდა
სიტყვიერ მუშაობას განმარტებებთან, სინონიმურ და ანტონიმურ წყვილებთან.
მესამე ნაწილი მოიცავდა ლოგიკურ-სემანტიკური კავშირების სახით მასალების
განზოგადებას (ბმულები და ჰიპერტექსტები) და სრულდებოდა შესასწავლი ტექს-
ტის სწრაფი განმეორებითი კითხვითი დავალებით A1 დონის ჯგუფისთვის, ხოლო
B2 დონის ჯგუფისთვის ბმულებთან და ჰიპერტექსტებთან მუშაობის ანგარიშით.

მიღებული გამოცდილების საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი
დასკვნა.

1. ასეთი ტექნიკა აფართოებს შერეულ ჯგუფებში მომუშავე მასწავლებლის
შესაძლებლობებს, ახდენს სწავლების პერსონალიზაციას და იძლევა ინდი-
ვიდუალური მიდგომების შესაძლებლობას სასწავლო პროცესის თითოეული
მონაწილის მიმართ. თავის მხრივ, ეს ხელს უწყობს სტუდენტის მეტ ინტერაქ-
ტიულობას, მის ჩართულობას მასალაში, თვითორგანიზებასა და რეფლექსიას.
2. ჰიპერბმულებზე მითითება და პოდკასტების არსებობა მოდერატორს (მას-
წავლებელს) საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს აუდიტორიის ინტერესი
მიღებული ცოდნის შემდგომი სოციალიზაციისთვის.
3. ონლაინ სწავლების რეჟიმში ხაზოვანიდან მრავალფეროვანსა და კონცენტ-
რირებულზე გადასვლის ფაქტორი აფართოებს სასწავლო და მეთოდური
კონტენტის ფუნქციონალურ შესაძლებლობებს.
4. ყალიბდება ზოგადი დიდაქტიკური ინფორმაცია ონლაინ რეჟიმში სასწავლო
პროცესის ხასიათის შესახებ, ჩნდება საგანმანათლებლო და მეთოდური
მასალის იერარქიზაციის, მისი სტრუქტურირების საჭიროება.

ჩვენ მიერ დასახული სასწავლო დავალებების გადაჭრის პროცესში სტუდენტ-
ების აქტიურობამ და შემოქმედებითობამ დაადასტურა მიღებული დადებითი
შედეგი, თუმცა, ამას თან ახლდა როლების დაუგეგმავი არევა, როდესაც ზოგიერ-
თი მოსწავლე ცდილობდა შეესრულებინა ის დავალება, რომელიც არ იყო გან-
კუთვნილი მისთვის, რაც, შესაბამისად, იწვევდა ხარვეზებს დროის მენეჯმენტში.

თუმცა, ეს გამოცდილება მოითხოვს შემდგომ დამუშავებას. ეს მიდგომა
აქტუალურია მრავალდონიან ენობრივ ჯგუფებში, რაც ზემოთ აღვნიშნეთ და
რასაც მუდმივად ვაწყდებით ჩვენს სასწავლო პრაქტიკაში. მეთოდოლოგიის
თვალსაზრისით, ჩვენთვის უფრო ნათელი ხდება, თუ როგორ უნდა გაუმჯო-

ბესდეს კონტენტი და მისი პრეზენტაცია. ეს საგანმანათლებლო პროცესის ყველა მხარისთვის საკმაოდ საინტერესო პროცესია, რაც ყველა საგანმანათლებლო სეგმენტში ონლაინ ინსტრუმენტების დანერგვის საშუალებას იძლევა.

ახლა ჩვენ აქტიურად ვიწყებთ მოდულების დიგიტალიზაციის საკითხის განხილვას, რაც მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს მასწავლებელს მუშაობას, სასწავლო პროცესს უფრო მდიდარსა და ნაყოფიერს გახდის. ჩვენი წარმოდგენით, ციფრული განათლების სისტემა უნდა შეიცავდეს შემდეგ ნაწილებს:

1. საინფორმაციო რესურსები: აუდიო-ვიდეო მასალები, ელექტრონული ბიბლიოთეკები, ფოტოგრაფიული მასალები;
2. სატელეკომუნიკაციო რესურსები: მობილური ქსელები, მასმედია;
3. მართვის სისტემა: ტესტირება, კონტენტი (რომელიც მოიცავს სტუდენტების საგანმანათლებლო საჭიროებებს), მონიტორინგის ტექნოლოგიები, რომლებიც ასევე მოიცავს ქრაუდსორსინგს;
4. თანამედროვე პროცესთან ადაპტირებული მეთოდოლოგიური რესურსები;
4. მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანები და სამიზნე აუდიტორიის პირადი და კოლექტიური საჭიროებები.

ამჟამად ერთი რამ ცხადია: საგანმანათლებლო პროგრამების პრიორიტეტი უნდა იყოს განათლების სფეროს ცვლილებებთან და ფორმატთან, ახალი ცოდნის ათვისების გზებთან მუდმივი ადაპტაციის უნარის განვითარება. განათლების მნიშვნელობისა და შინაარსის ცვლილება, განათლების ახალი მეთოდებისა და საშუალებების დანერგვის ხარისხი და სიჩქარე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის შემდგომ მოდერნიზაციას. ●

ბიბლიოგრაფია

1. Schwab Klaus. "The Fourth Industrial Revolution" World Economic Forum, 2011. www.weforum.org
2. <https://luminariaz.files.wordpress.com/2017/11/the-fourth-industrial-revolution-2016-21.pdf>



ნატუნა მჭედნიშვილი

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის
გერმანული ენის
ექსპერტ-კონსულტანტი

წიგნიერების პრობლემები და მათი გადაჭრის სწავლი გერმანიაში



**PISA-ს უახლესი კვლევის
შედეგების მიხედვით,
გერმანიის ფედერაციული
რესპუბლიკის მასშტაბით
სკოლის მოსწავლეთა კითხვის
უნარი იკლებს.**



გერმანიაში წიგნიერების საკითხი სულ უფრო მეტ ყურადღებასა და პრობლემების გადაჭრის გრძელვადიანი გზების დასახვას მოითხოვს. PISA-ს უახლესი კვლევის შედეგების მიხედვით, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მასშტაბით სკოლის მოსწავლეთა კითხვის უნარი იკლებს, რაც საგანმანათლებლო სისტემის მესვეურთა ზრუნვის საგანს წარმოადგენს. გერმანელებს ესმით, რომ წიგნიერება ერთ-ერთი საყრდენია, რომელზეც დაფუძნებულია თითოეული ახალგაზრდის შემდგომი საგანმანათლებლო გზა და წარმატება. PISA-ს კვლევის მიხედვით, გერმანიაში ყოველი მეხუთე თხუთმეტი წლის მოსწავლიდან ერთს დაწყებითი სკოლის დონეზე კითხვაც კი არ შეუძლია. აქედან გამომდინარე, ის აზრი, რომ კითხვა ყველას შეუძლია, სამწუხაროდ, გერმანული რეალობისთვის მცდარია. ბევრ ბავშვსა და მოზარდს უჭირს კითხვა. დაწყებითი საფეხურის ბოლოს (მეოთხე კლასი) მოსწავლეების თითქმის 20%-ს შეუძლია მხოლოდ ცალკეული სიტყვების და არა გრძელი წინადადებებისა ან ტექსტების გაგება. ამ ნეგატიური ვითარების შედეგს მოსწავლეები შემდგომ საფეხურებზე იმკიან, ხშირად სწავლასაც კი წყვეტენ და/ან ატესტატის გარეშეც კი რჩებიან. შექმნილ მოცემულობას მათ მომავალ ცხოვრებაზეც აქვს გავლენა. ამიტომ კითხვის ხელშეწყობა თითქმის დომინანტური თემაა გერმანულ საგანმანათლებლო სივრცეში და აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად შეიქმნა „კითხვის ეროვნული კავშირი (პაქტი)“, რომელშიც გაერთიანებულნი არიან კითხვის ფონდი, წიგნის მაღაზიათა ასოციაცია და 150 პარტნიორი, მათ შორის დიდი გერმანული გამომცემლობებიც.

დაისახა მოქმედების გზები და მისაღწევი შედეგებიც:

„კითხვის ნაციონალურმა კავშირმა“ მიზნად დაისახა ბავშვებსა და მოზარდებში წიგნიერებაში არსებული პრობლემების გადაჭრა:

- ყველა ბავშვს და მოზარდს უნდა შეეძლოს კითხვა;
- ყველა ადამიანს უნდა ესმოდეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კითხვა ყოველდღიური ცხოვრებისათვის;

- უნდა შეიქმნას სულ უფრო და უფრო უკეთესი მეთოდები და აქტივობები, რომლებიც გააადვილებს კითხვის შესწავლას და დაეხმარება მათ, ვინც ქმნის ბავშვის წიგნიერების ბიოგრაფიას.

ლიტერატურის მიზანმიმართული გამოყენება საკლასო ოთახში არის რეალური შესაძლებლობა ბავშვებისა და ახალგაზრდების კითხვის უნარების გასაუმჯობესებლად და ამით გრძელვადიან პერსპექტივაში ფუნქციური გაუნათლებლობის შესამცირებლად. ამისთვის აუცილებელია სკოლებისა და მასწავლებლების აქტიური მხარდაჭერა კლასში ლიტერატურული კითხვის შესანარჩუნებლად, რადგან ხშირად სწორედ ეს არის გამოწვევა, რომელსაც საფუძვლად კლასების ჰეტეროგენულობა და მოსწავლეთა განსხვავებული კითხვითი ქცევა/უნარი უდევს. იმისათვის, რომ ყველა ბავშვს და მოზარდს მივცეთ ლიტერატურაზე ოპტიმალური წვდომა, საჭიროა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და უნარებზე მორგებული საკითხავი მასალა. მხარდაჭერი პროცესის განსახორციელებლად განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოსწავლეებს, რომლებსაც ძალიან უჭირთ კითხვა, ან აქვთ ლიტერატურის მიმართ დაბალი ინტერესი, ან/და არასაკმარისი მხარდაჭერა. კითხვა/წიგნიერება არის დამოუკიდებელი შემსწავლელის ჩამოყალიბების საფუძველი.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, წიგნიერებაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად რამდენიმე ორგანიზაცია გაერთიანდა და ყველას თავისი წვლილი შეაქვს არსებული პრობლემის გადაჭრაში. თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ერთ-ერთი დიდი გამომცემლობის Klett-ის მოსაზრებასა და მის მიერ განხორციელებულ ინტერვენციებზე.

„ჩვენ უკვე წლებია ვცდილობთ მშობლიური ენისა და უცხო ენის გაკვეთილზე კითხვის უნარის განვითარებას შევუწყობ ხელი და პედაგოგებს სულ უფრო და უფრო მეტი ახალი შესაძლებლობითა და მასალით ვამარაგებთ, ჩვენ მათ ვთავაზობთ წიგნებსა და მრავალფეროვან მეთოდებს, თუ როგორ შეიძლება ლიტერატურა მიმზიდველი გახდეს გაკვეთილისთვის. ჩვენ ვაფინანსებთ ლიტერატურულ კონკურსებს და ვახალისებთ სხვადასხვა ინიციატივას ამ მიმართულებით. კითხვის კომპეტენცია მიზანმიმართულად უნდა დაიხვეწოს/გავარჯიშდეს. ჩვენ, როგორც გამომცემლობა, განათლების წინაშე თავს ვალდებული ვგრძნობთ, ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე ვიყოთ ამ სფეროში და მაქსიმალურად მხარი დავუჭიროთ პედაგოგებს სასწავლო პროცესის ამ მიმართულებით გაუმჯობესებაში, ვინაიდან ეს არის გზა ხარისხიანი განათლებისკენ,“ – ამბობს ელიზაბეტ ვებსტერი, გამომცემლობის გენერალური დირექტორი.

ლიტერატურა ავითარებს ენობრივსა და კითხვის კომპეტენციას და ასევე გონებასაც

როგორ გამოიყურება ენისა და ლიტერატურის იდეალური გაკვეთილი? წერით და ზეპირი კომპეტენციებთან ერთად კითხვის კომპეტენციასაც დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს და თანაც დაწყებითი საფეხურიდანვე. საკითხავი (არა მხოლოდ პროგრამული) მასალის გამოყენებით გაკვეთილზე მოსწავლეები თანმიმდევრულად გაუმჯობესებენ არა მარტო ენობრივ კომპეტენციას, არამედ შეძლებენ საზოგადოებრივი/სოციალური თემების რეფლექსიას, ექნებათ იდენტიფიცირებისა და სხვა, განსხვავებული „მსოფლიოს“ შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა. ლიტერატურულ კითხვას გარკვეული ზეგავლენა აქვს მოსწავლეთა ცხოვრების, განსაკუთრებით კი სასკოლო/ზოგადსაგანმანათლებლო, გზაზე. სკოლაში მიმდინარე მუდმივი სტრუქტურული ცვლილებების გამო ლიტერატურასთან ურთიერთობა არავითარ შემთხვევაში

არ უნდა დარჩეს ყურადღების მიღმა. ყველა ბავშვი როდია ლიტერატურის მოყვარული ან ბავშვობიდან ჩვეული წიგნების კითხვას, ამიტომ აუცილებელია მათი დაახლოება ლიტერატურასთან და უნდა ვეცადოთ, რომ ახალი და მრავალფეროვანი მეთოდებით შევაცვაროთ მათ კითხვა. გამომცემლობებმა დიდი ხანია ყურადღება მიაქციეს არსებულ პრობლემებს, გაამდიდრეს პროგრამა/რეპერტუარი ახალი საკითხავებითა და თანამედროვე მიდგომებით: მაგალითად, კომიქსის ჟანრი დააკავშირეს კლასიკურ ლიტერატურასთან, იყენებენ სხვადასხვა პერსპექტივასა და ქმნიან მასალას კითხვის/წიგნიერების სხვადასხვა დონისა და საფეხურისთვის და იმედოვნებენ, რომ ეს ყველაფერი, სხვა სარგებელთან ერთად, დაუზოგავს მასწავლებელს გაკვეთილისთვის მოსამზადებელ დროს. ქმნიან საკითხავი ტექსტების სერიას, რომელიც განკუთვნილია როგორც კითხვის პრობლემების მქონე ბავშვებისთვის, რომლებსაც შესაძლოა ოჯახში არ აქვთ კითხვის ხელშემწყობი გარემო, ასევე მოსწავლეებისთვის, რომლებიც უფრო სწრაფად სწავლობენ, კითხულობენ და ხელიც მიუწვდებათ ლიტერატურულ რესურსზე. აღსანიშნავია, რომ კითხვის კომპეტენციის განვითარება ხდება პოპულარული საბავშვო და მოზარდთა ლიტერატურის ავტორების ნაწარმოებების საფუძველზე.

ახლა კი მინდა გაგაცნოთ, თუ რა კონკრეტულ მეთოდებსა და მიდგომებს სთავაზობს კიდევ ერთი დიდი გამომცემლობა Cornelsen-ი მასწავლებლებს:

ლიტერატურული ნაწარმოებები მშობლიური და უცხო ენის გაკვეთილზე

10 რჩევა ჰეტიროგენული კლასებისთვის

რატომ უნდა ვიკითხოთ? არაერთმა კვლევამ დაადასტურა, რომ ექსტენსიური კითხვა (იგულისხმება ვრცელი მხატვრული ტექსტების კითხვა) არა მარტო კითხვის კომპეტენციას, არამედ სიტყვების დასწავლის უნარსა და, ზოგადად, ენობრივ კომპეტენციასაც ავითარებს. ექსტენსიური კითხვა ავითარებს დამოუკიდებლად სწავლის უნარს და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, აძლიერებს ემპათიას. მოზარდებს საშუალება ეძლევათ შეხედონ სამყაროს სხვა თვალით. დაბოლოს, ექსტენსიური კითხვა ზრდის თავდაჯერებულობას და ასევე ხელს უწყობს კითხვის ჩვევად ჩამოყალიბებას.

1. დასახეტი მიზანი

მოკლე ტექსტების, ანუ ინტენსიური კითხვისგან განსხვავებით, ექსტენსიური კითხვისას მკითხველის მიერ ინდივიდუალური აღქმა დგას პირველ ადგილზე. შესაძლოა, რომ სხვადასხვა მოსწავლემ წაკითხული თავისებურად აღიქვას და განსხვავებული ინტერპრეტაციაც ჰქონდეს. განუმარტეთ თქვენს მოსწავლეებს, რომ კითხვის მთავარი მიზანი კითხვის სურვილია და ყურადღება გაუმახვილეთ ექსტენსიური კითხვის თავისებურებებზე.

2. გულმოდგინეთ შეარჩიეთ საკითხავი ლიტერატურა

დაამატეთ საპროგრამო ლიტერატურას კლასგარეშე საკითხავიც. კითხვის გემოვნება სხვადასხვაგვარია: ზოგს სათავგადასავლო ლიტერატურა იტაცებს, ზოგს – საშიში ამბები, ზოგს დისტოპია და ზოგსაც ლიტერა-

ტურასოციალური თანასწორობის შესახებ. მიეცით თქვენს მოსწავლეებს ნაწარმოებების მათი გემოვნებისამებრ არჩევის თავისუფლება, ეს მათ მოტივაციაზე მხოლოდ დადებითად იმოქმედებს, ასევე ნუ დაუშლით, შეცვალონ წიგნი, თუ ის მათ ინტერესს არ გამოიწვევს.

3. მიეცით მოსწავლეებს კითხვისას თავისუფლება

კითხვა ეფექტიანია თუ ის დაბრკოლებების გარეშე მიმდინარეობს, თუ ის არ შეიცავს ზედმეტად ბევრ უცნობ სიტყვას ან სხვა რაიმე დაბრკოლებას. გაითვალისწინეთ თქვენი მოსწავლეების დონე. მიაწოდეთ მათ კითხვისა და უცხო სიტყვების გამოცნობის სტრატეგიები, მაგ. კონტექსტის გათვალისწინება. განუმარტეთ, რომ არ არის საჭირო ყველა სიტყვის გაგება, შესაძლოა უბრალოდ „გადაახტენ“ ან „გამოტოვონ“ იგი და დაახლოებით გაიგონ მნიშვნელობა. რაც მთავარია, მიეცით მათ იმდენი დრო, რამდენიც ესაჭიროებათ.

4. ჩართეთ / გამოიყენეთ სურათები

გამოიყენეთ წიგნის გარეკანი და სურათები წიგნიდან და სთხოვეთ მოსწავლეებს გამოთქვან ვარაუდი შინაარსის შესახებ. ეს გამოიწვევს მათ მოტივაციას/ გააღვიძებს ინტერესს, რათა წაიკითხონ ნაწარმოები და დარწმუნდნენ, გამართლდა თუ არა მათი ვარაუდები. წააკითხეთ მათ ნაწარმოების პირველი რამდენიმე გვერდი. ითამაშეთ მათთან ერთად მეხსიერების განსავითარებელი თამაში: დასვით შეკითხვა – რომელი სურათი იცანი? დაეხმარეთ კითხვებით: როგორია, თქვენი აზრით, ნაწარმოები? საინტერესო? საშიში/ უჩვეულო? როგორ ფიქრობთ, როგორ განვითარდება მოვლენები? რა მოხდება შემდეგ?

5. გაითვალისწინეთ ყველა ტიპის შემსწავლელი

ყველა მოსწავლე ვიზუალური მსწავლელი როდია. გაუღვიძეთ ინტერესი და წიგნის ნაწილი ჩაანაცვლეთ აუდიოწიგნით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან თავად ჩაწერეთ ერთი თავი, ან თავად მოსწავლეებს დაავალეთ აუდიო წიგნის მომზადება. ამით კითხვის პროცესს უფრო მრავალფეროვანსაც გახდით.

6. მიეცით სხვადასხვა დავალება/ გაანალიზეთ საკითხავი/ გაყავით

დაავალეთ ორ მოსწავლეს, რომლებიც არ არიან გაწაფული კითხვაში, წაიკითხონ ერთი ნაწარმოები: მიეცით საშინაო დავალებად რიგრიგობით წაიკითხონ რამდენიმე გვერდი ან თუნდაც ერთი თავი და შემდგომ ერთმანეთს



კითხვის სტრატეგია
თითქმის ღოშიანდური თემა
გენგანუდ სანგანანათეადო
სივსხუი და აღნიშნული
პრობლემის გადასაწყნად
შეიქმნა „კითხვის ეროვნული
კავშირი (კავშირი)“, რომელიც
განათიანებულნი არიან
კითხვის უფრდი, წიგნის
გაღვირთა ასოშიაში და 150
კანსნიონი, მათ შონის ღიდი
გენგანული გამოთხადობაიხ.



გაუზიარონ კლასში ინფორმაცია, დაუსვან ერთმანეთს შეკითხვები. ამგვარად ორივე (ან მეტ) მოსწავლეს ექნება წარმატების შეგრძნება და ნაკლები ძალისხმევით შეძლებენ მიზნის მიღწევას.

7. ხელი შეუწყვით ემპათიის განვითარებას

მოსწავლეები შეძლებენ თავი წარმოიდგინონ პერსონაჟების ადგილას და ემპათიით განიმსჭვალონ მათ მიმართ, თუ ისინი კითხვისას მოკლე შეტყობინებებს გაუგზავნიან პერსონაჟებს. მაგალითად, „ასე გააგრძელე!“ „რა ცუდიაა!“ „გაფრთხილდი!“ შეუძლიათ შეკითხვებიც დაუსვან (რატომ მიატოვე შენი მეგობარი გასაჭირში?) ან რჩევა მისცენ (შენს ადგილას მე...). უმჯობესია შეტყობინებები პირადულ ხასიათს ატარებდეს და მოსწავლეებს თავად შეეძლოთ გადაწყვიტონ, გაუზიარებენ თუ არა მათ სხვებს.

8. შეაქმნე მონათესაო მოსწავლეებს კითხვის დღიური

კითხვის სტრუქტურირებისთვის ურჩიეთ მოსწავლეებს აწარმოონ კითხვის დღიური, რომელშიც ისინი ჩაინიშნავენ ყველაფერს, რაც მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ან მოსწონთ, ან სულაც ჩამოაყალიბებენ შეკითხვებს.

9. დააკავშირეთ წიგნი ფილმთან

იმ შემთხვევაში თუ არსებობს წიგნის ეკრანიზაცია, აჩვენეთ მოსწავლეებს წიგნის წაკითხვის შემდეგ ფილმი. სთხოვეთ მათ შეადარონ ისინი ერთმანეთს. რა დააკლდათ ფილმში? რა მოეწონათ? ფილმის არარსებობის შემთხვევაში, შეაქმნე მონათესაო მოსწავლეებს მათ მიერ წარმოსახული ფილმის პლაკატი: ვინ არიან მთავარ როლებში? რა ფოტოთი ან ნახატით გააფორმებდნენ პლაკატს? რამდენი ვარსკვლავი მიენიჭება ფილმს და რა ზედსართავებით დაახასიათებდით მას? საბოლოო პროდუქტი ჩამოკიდეთ კლასში და ის, ამავდროულად, სხვა მოსწავლეებს, რომლებსაც არ წაუკითხავთ ეს ნაწარმოები, აღნიშნული წიგნის კითხვის ინტერესსაც აღუძრავს.

10. ინდივიდუალური უკუკავშირი

ძალიან მნიშვნელოვანია კითხვის დასრულების შემდეგ მიიღოთ ინდივიდუალური უკუკავშირი მოსწავლეებისგან: მოგეწონათ წიგნი? თუ – კი, რატომ? ან თუ – არა, რატომ? ვინ იყვნენ გმირები? რომელი გმირი მოგეწონათ ყველაზე მეტად და რატომ? რა ისწავლეთ ნაწარმოებიდან? რომელია თქვენი საყვარელი ეპიზოდი? შესაძლოა რომელიმე მოსწავლეს თავისი საყვარელი პერსონაჟის დახატვის სურვილიც გაუჩნდეთ. არ დაგავიწყდეთ: შეაქეთ თქვენი მოსწავლეები, რომ ასე კარგად გაართვეს თავის წიგნის კითხვას.

მასალა მომზადებულია

ელექტრონული ჟურნალის – Bildungsklick და

საიტების – <https://nationaler-lesepakt.de/> და cornelsen.de-ის მიხედვით.

მანადისოხის ესთეტიკური კაცობრიობა ქართ-კახური სუფიზი სიმღერებში



მია ბალაშვილი

ეთნომუსიკოლოგი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

წინამდებარე სტატია, პირველ რიგში, მუსიკის მასშავლებისათვისაა გამიზნული. თუმცა ამ საკითხის განხილვა პურობის ფენომენის კონტექსტში, კერძოდ, ხელოვნების, რელიგიის, ისტორიის, ფილოსოფიისა და ყოფის ერთიან სინკრეტულ ფონზე, ზოგადად, ჰუმანიტარული მიმართულების წარმომადგენლებს დააინტერესებს და ინსპირაციისა და იდეების გენერირების წყაროდ შეიძლება იქცეს საგანთშორისი პროექტებისათვის.

მუსიკალური აზროვნების ადრეულ ეტაპებზე, როცა სიმღერას პოლიფუნქციური ბუნება ჰქონდა და სინკრეტული მთლიანობის განუყოფელი ნაწილი იყო, სამყაროს შეცნობისა და მისი მოდელირების პროცესში რელიგიური, ყოფითი და მხატვრულ-ესთეტიკური მიმართებები განსაკუთრებული შინაგანი ერთიანობით ხასიათდებოდა (ბალაშვილი, 2005:8-16). ამიტომ სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ სუფრული ჟანრის ნიმუშები არსებობდა იმ დროიდან, რა დროიდანაც ჩამოყალიბდა ჩვენში პურობის ტრადიცია. ქართული ლხინის ფენომენი კი, მოგეხსენებათ, შორეულ წარსულში იღებს სათავეს და მას მნიშვნელოვანწილად მევენახეობა-მეღვინეობის მაღალი კულტურა განაპირობებს.

პალეონტოლოგიური და არქეოლოგიური მასალებით მეურნეობის ამ დარგის არსებობა ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასწლეულით ადრე დასტურდება (ჯავახიშვილი, 1964; ცქიტიშვილი, 1959, დავით ლორთქიფანიძე, 2017). საყურადღებოა, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ენაში ღვინის აღმნიშვნელი ტერმინი მსგავსია, რაც მათ საერთო წარმომავლობაზე მიუთითებს. აკადემიკოს გიორგი წერეთლის ვარაუდით, ეს სიტყვა, სწორედ, საქართველოდან უნდა გავრცელებულიყო (წერეთელი, 1958:30-41).

ქართული საისტორიო და ლიტერატურული წყაროები გაჯერებულია ვაზთან, მეღვინეობასთან, ლხინთან დაკავშირებული მასალით. სათაყვანებელი მცენარე ქართველ კაცს ეკლესია-მონასტრების ჩუქურთმებშიც ჩაუქარგავს. მრავალი განსაცდელის მიუხედავად, ჩვენს დრომდე ვაზის 500-ზე მეტი ადგილობრივი ჯიშია მოღწეული.



სწრაფი საუბრევი მკაცრს
ვიპაჩაულოთ, რომ სუფიზი
ქანის ნიშნები ანსაზობდა
იმ დროიდან, რა დროიდანაც
ჩამოყალიბდა ჩვენში
პურობის ტრადიცია. ქართული
ღვინის ფენომენი კი,
მოგეხსენებათ, შორეულ
წარსულში იღებს სათავეს
და მას, მნიშვნელოვანწილად,
მევენახეობა-მეღვინეობის
მაღალი კულტურა
განაპირობებს.



საქართველოში, საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული სუფრის ეტიკეტი, ისევე, როგორც ქართული სტუმართმოყვარეობა, უცხოელი მოგზაურების, ვაჭრების, მისიონერების, დიპლომატებისა თუ მწერლების აღფრთოვანებას იწვევდა. ამაზე წერდნენ აპოლონიოს როდოსელი, ქსენოფონტე, პროკოპი კესარიელი... არქანჯელო ლამბერტი, დონ კრისტოფორო დე კასტელი, ჟან შარდენი და სხვები.

ქართული ლხინის განუყოფელი ნაწილია სიმღერა. გამოჩენილი ქართველი მუსიკისმცოდნე, შალვა ასლანიშვილის *სუფრული სიმღერების წარმოშობას წინაქრისტიანულ ხანაში ვარაუდობდა და მათ აგრარული ღვთაებისადმი აღვლენილ ჰიმნებად მიიჩნევდა* (ასლანიშვილი, 1954:219).

ამ თვალსაზრისით, მთის რეგიონებმა უაღრესად საინტერესო რიტუალური *სუფრულები* შემოგვინახა, მაგრამ შემთხვევითი არაა, რომ *სუფრული* სიმღერის მაღალგანვითარებული ნიმუშები იმ რეგიონებში გვხვდება, სადაც ვაზისა და ღვინის კულტურა განსაკუთრებით იყო დაწინაურებული.

სუფრის ტრადიციები კიდევ უფრო განამტკიცა ქრისტიანულმა მსოფლმხედველობამ. ტრაპეზმა, სერობამ, პურობამ მაცხოვრის ტრაპეზზე მის სისხლსა და ხორცთან ზიარების სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა (გოცირიძე და ლამბაშიძე, 2008:485-486).

სალხინო სუფრაზე საგალობლებისა და საერო სიმღერების შესრულების ტრადიცია კარგად ჩანს ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ ჟურნალ *ცისკარში* გამოქვეყნებულ წერილში „ივერიანელთა სიმღერა, გალობა, ღიღინი“:

„სადაც დიდი სადილი იქნებოდა, ნადიმი, სადაც იქ პირველი გუამი დაჯდებოდა თავზე, იმის პატივისცემისათვის იმის სუფრის წინ პირდაპირ უნდა მოსულიყვნენ მგალობლები და სალხინოსა გალობასა მოჰყოლოდნენ დახოქილნი – დღეს საღვთო მან მაღლმან წმიდისა სულისამან შეგვკრიბნა ჩუენ და სხუანი... მას უკან მომღერალნი მოვიდოდნენ სოფლიური სიმღერების მთქმელნი, სხუასა და სხუა სიმღერასა იტყოდიან, თავისი ღიღინებით. თავის სადღეგრძელოს, მრავალჟამიერის და სამადლობლის გადახდით. ამისთანა ნადიმზე ავდენი წართქმებოდა და ავდენი სიმღერა სულ სხუა და სხუა, რომ ოთხი საათი თუ მეტ-ნაკლები გრძელდებოდა მოლხენილი ნადიმი...“ (ჯამბაკურ-ორბელიანი, 1861:146).

საგულისხმოა, რომ ამ სიმღერების ყოფიერებას, მათ ონტიურ ბუნებას ქართველი კაცი შეიმეცნებდა ერთდროულად – წარსულში, აწმყოსა და მომავალში, ვინაიდან ეს ნიმუშები მამა-პაპათაგან (წარსულიდან) მომდინარეობდა, ზეპირი გზით გადმოეცემოდა მას (აწმყოს). შემსრულებელი კი, თავის მხრივ, გადასცემდა მომდევნო თაობას (მომავალს), ანუ, სიმღერა, მის ცნობიერებაში არსებობდა წარსულში, აწმყოსა და მომავალში. სიმღერის ამგვარი გააზრება ქმნის და ამყარებს მარადისობასთან წილნაყარის განცდას. სწორედ ამიტომ, ონტიური თვალსაზრისით, ხალხური სიმღერა მარადისობაში განიცდება.

თუკი მომღერალი ვერ ახერხებდა სიმღერის გადაცემას მომავალი თაობისათვის, მძაფრად განიცდიდა ამას. ისე, როგორც ეს კახურ სამხმთან სიმღერა „ჩონგუროშია“: „მამამ იცოდა ჩონგური, მე ვერ ვისწავლე შვილმამო ...“ როგორ საოცრად ეხმიანება ეს სიმღერა აკაკი წერეთლის „ჩანგურის“ სულისკვეთებას: „ჩანგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შველაო“. ცნობილ ესპანელ ფოლკლორისტს, რამონ მენენდეს პიდალს რომ დავესესხოთ, თუკი ერთხელ, ერთმა რომელიმე თაობამ მსოფლმხედველობითი, ესთეტიკური, სოციალური თუ რაიმე სხვა მოტივით უარი თქვა ფოლკლორულ ნიმუშებზე, აღარ გადასცა ისინი მომავალ თაობას და ამოშალა საკუთარი მეხსიერებიდან, არ არსებობს მათი გადარჩენის არანაირი გზა. გადარჩენის ერთადერთი საშუალება იქნება, თუკი თავად ხალხი იწებებს ამ ფოლკლორული ნიმუშების რეანიმაციას და მოახდენს მათ აქტუალიზებას. ისიც, იმ შემ-

თხვევაში, თუ ისინი ხალხის ცნობიერების რომელიმე შრეშია დაღეჭილი. (პიდალი, 1961)

ამრიგად, მრავალხმიანი სიმღერა, ერთი მხრივ, ეროვნული იდენტობის შენარჩუნების მძლავრ საშუალებად მიიჩნეოდა, მეორე მხრივ, წარსულის (მამა), აწმყოს (მე) და მომავლის (შვილი) ერთიანობა ფილოსოფიური გააზრებით შეიმეცნებოდა, როგორც მარადისობა!

თუმცა, ეს არსებითად ყველა ჟანრის ხალხურ სიმღერაზე ითქმის. რითია გამორჩეული *სუფრული სიმღერა*? ამ კუთხით ძალზე საინტერესოა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის, მერაბ მამარდაშვილის, მოსაზრება: „რას ნიშნავს ეს უძველესი, მაგრამ ცოცხალი ძალა სუფრისა? მისი შთამბგონებელი სული?... სუფრის ეპიკური ჟესტები. სამყარო, რომელშიც ჩვენ გადავინაცვლებთ, და რომელშიც წამიერად ვცხოვრობთ, გარდასახული სუფრის რიტუალით, მისტერიითა და ეპოსით. სიწმინდის მფენი ჟესტებისა და ბგერებისგან გამოწვეული ელაცია და გარდასახვის სიხარული... სუფრა – რელიგიური მოვლენაა. მასში არის ის, საიდანაც იზრდება რელიგიური და ლამის მისტიკური გრძნობები. ვიღებთ „სისხლსა და ხორცს“ ჩვენი მეხსიერებისა...“ (მამარდაშვილი, 1995:8-9)

აქ მამარდაშვილი პირდაპირ საუბრობს ქართული პურობის/სუფრის ექვარისტულ ბუნებაზე. ექვარისტია (ბერძნ. *εὐχαριστία* – ბედმიწევნით „სამადლობელი“) – უფლის სერობა, უფლის ტრაპეზი, ქრისტეს სისხლისა და ხორცის საიდუმლო, რომლის დროსაც შეწირული პური და ღვინო სულიწმიდის მოქმედებით გარდაიქცევა უფალ იესო ქრისტეს ჭეშმარიტ ხორცად და ჭეშმარიტ სისხლად. შემდგომ მას ეზიარებიან მორწმუნენი ქრისტესთან მჭიდრო ერთობისა და საუკუნო ცხოვრებისათვის (გოცირიძე და ლამბაშიძე, 2008:486).

ექვარისტია ქრისტიანობის უდიდესი საიდუმლოა. მასში ქრისტეს იდეა მარადისობასთან მიმართებით ორგვარად ვლინდება:

1. ქრისტე, როგორც „სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“, ანუ მარადიული სიცოცხლის მომტანი.
2. ქრისტედან მომდინარე ექვარისტიის საიდუმლო, რომლის დროსაც შეწირული პური და ღვინო სულიწმიდის მოქმედებით გარდაიქცევა უფალ იესო ქრისტეს ჭეშმარიტ ხორცად და ჭეშმარიტ სისხლად. შემდგომ მას ეზიარებიან მორწმუნენი ქრისტესთან მჭიდრო ერთობისა და საუკუნო ცხოვრებისათვის.

ქრისტე ამბობს: „რომელი ჭამდეს ჯორცსა ჩემსა და სუმიდეს სისხლსა ჩემსა, აქუნდეს ცხოვრება საუკუნოდ, და მე აღვადგინო იგი უკუანასკნელსა მას დღესა“ (იოანეს სახარება, თავი 6). ანუ, წარსულში მომხდარი სასწაული აღესრულება აწმყოში და მსწრაფლია მომავლისკენ. წარსულის, აწმყოსა და მომავლის ერთიანობა შეიმეცნება სწორედ მარადისობად!



საქართველოში,

საუკუნოა განმავლობაში

რამოყალიბებული სუფრის

ეტიკეტი, ისევე, როგორც

ქართული სოფლიანო-სოფლიანო,

უძველესი მოგზაურობის,

ვაჭრობის, მისიონერების,

დიპლომატიისა თუ პენიონის

აღმართობას იწვევდა.





**მნავალხიანი სიმონა, ანთი
მხივ, ეროვნული იდეოლოგიის
შენარჩუნების მძლავრ
საშუალებად მიიჩნეოდა, გეორგი
მხივ, წაჩხარის (მამა), ანთოს
(მე) და მომავლის (შვილი)
ანთიანობა უილოსოფიური
მანერებით შეიძლება, ანთოს
მომავალ მანერობა!**



მერაბ მამარდაშვილის სიტყვებს ქართული სუფრის ევქარისტულ ბუნება-სასთან დაკავშირებით ადასტურებს ქართული ღვინისთვის ისტორიულად დამახასიათებელი, ტრადიციული ატრიბუტები:

უფროსუმცროსობის იერარქიული წესები, თამადის ინსტიტუტი (თამადისა, რომლის ერთ-ერთი სახელი პურისუფალი გახლავთ), ერთი სასმისის ჩამოტარება, ჯვრის ფორმით ხელგადაცდობილი სმა, ამბორის სახით გამოხატული ურთიერთსიყვარულისა და ძმობის იდეა, თავშეკავებული, დარბაისლური ქცევა და სიტყვა-პასუხი, ზომიერება სასმელის მიღებაში, გაჭირვებულთა დაპურება, დალოცვა (სეკულარიზაციის შედეგი)—აი, ესაა ქართული სუფრის ტრადიციული ნიშან-თვისებები, რაც, იმავდროულად, მის ლიტურგიკულ ბუნებას ცხადყოფს (გოცირიძე და ლამბაშიძე, 2008:488-489). ამასვე ადასტურებს ღვთის სადიდებელი, წინაპართა მოსაგონარი, სამშობლოს, გმირების, სუფრის წევრების, ყველაწმინდის და სხვა სადღეგრძელოები, რომლებსაც საქართველოს კონკრეტული რეგიონისათვის დამახასიათებელი მრავალხმიანი სიმღერები და საგალობლები მოსდევდა (შილაკაძე, 2008:506).

სუფრულ სიმღერებში თავად სიმღერის შინაარსი, თემატიკა, ვერბალურ მასალაში მოცემული, ხშირად ეხება ფილოსოფიური ხასიათის საკითხებს, მარადიულ თემებს, პირველ რიგში, ეს ითქმის სიკვდილ-სიცოცხლის თემაზე: „წუთისოფელი ასეა, დღეს ღამე უთენებია...“, „ძნელია მოკვდეს ვაჟკაცი უდროოდ დაიკარგოსა, მისი კოკორი უღვაში მიწაში დაიმარხო...“, „...ჩვენ რას წავიღებთ იმ ქვეყნად? — სხვას არა წაუღია რა“ და სხვა.

ამისდა მიუხედავად, ქართულ *სუფრულ სიმღერაში* არ შეინიშნება სასოწარკვეთილება, არც ემოციურად და არც თემატურად (ჭოხონელიძე, 2003:4). როგორც მერაბ მამარდაშვილი აღნიშნავს: „არავითარი ტრაგედია, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი საგანი ტრაგიკულია...“ (მამარდაშვილი, 1995:9). სასოწარკვეთილება კი არ არის იმიტომ, რომ აქ არის რწმენა მარადიული სიცოცხლისა, რადგან ქრისტე „...აღდგა მკვდრეთით, არღარა მოკუდეს და სიკუდილი მის ზედა არღარა უფლებდეს“ (რომ. 6,9)

შემთხვევითი არაა, რომ ვაჟკაცობისა და მომავლის რწმენის იდეა, მიუხედავად დუხჭირი აწმყოსი, ორმა უდიდესმა ქართველმა პოეტმა სიმღერასა და ღვინოს დაუკავშირა. შოთა რუსთაველთან ვკითხულობთ: „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოვჰკრეფ კიტრად ბერად, ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად.“ (რუსთაველი, 1975:157).

ვაჟა-ფშაველაწერს: „სიცოცხლემ შხამი მასმია, მე კახურ ღვინოდ შავირგე“—ო. (ვაჟა-ფშაველა, 1977:170).

მერაბ მამარდაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „...მე მივხვდი ქართული ტრაგედიის აზრს. თუკი ხარ მძიმე, სერიოზული — ჯერ არ ხარ თავისუფალი.

ჩიტის მოზეიმე ფრენა – ყველაფრის მიუხედავად...სასწაული – სასოწარკვეთილების მიღმა. სხვა, ახალ ცხოვრებაში...” (მამარდაშვილი, 1995:10).

სუფრული სიმღერის ჟანრის მნიშვნელობას განსაკუთრებულს ხდის ისიც, რომ მუსულმანურ მონო-დიურ სამეზობლოში (რომლის აგრესიის მსხვერპლიც ხშირად გამხდარა საქართველო თავისი მრავალსა-უკუნოვანი ისტორიის მანძილზე) ქართულ მრავალხმიანობასთან, ღვინოსთან და სუფრის კულტურასთან დაკავშირებული ყოველივე ეროვნული თვითმყოფადის გამოვლინებად აღიქმებოდა.

საინტერესო ფაქტი, რომელიც ქართული სუფრის ექვარისტულ ბუნებას კიდევ უფრო ცხადყოფს, არის ის, რომ საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც არ არის ვაზი და ღვინო, საერო სიმღერებში არ არის გავრ-ცელებული *მრავალჟამიერი*. ეს კი, სავარაუდოდ, იმიტომ ხდება, რომ ექვარისტიაში სხვა სასმელი, გარდა ღვინოსა, არ მონაწილეობს.

ქართულ სუფრას, რიტუალურობასთან ერთად, ერთგვარი ავტონომიურობა ახასიათებს. ამიტომაც არის იგი თავშესაფარი სხვადასხვა ჟანრის სიმღერებისთვის და, იმავდროულად, ასპარეზი ეროვნული იდენ-ტობის რეფლექსიისა. ის არამცთუ არ ზღუდავს სხვადასხვა ჟანრის, სხვადასხვა ემოციური შეფერილობის სიმღერებს, მათ შორის ლირიკულს, ნაღვლიანს, ტკივილიანს, დრამატულს, სიკვდილ-სიცოცხლის თემასთან დაკავშირებულს თუ სხვა, პირიქით, ქართული სუფრა მათ მარადისობის ესთეტიკურ კატეგორიაში აქცევს, სადაც ყველა ეს ემოცია ზედროულად განიცდება. ალბათ, ამიტომ ამბობს მამარდაშვილი ქართულ ლხინ-ზე: „...საგნებისა და ჟესტების ეპოსი, „სუფთა ობიექტებისა“ (პრუსტი) რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ისტორიასთან“. (მერაბ მამარდაშვილი, 1995:9).

გფიქრობ, ქართული *სუფრული სიმღერების* ჰიმნური ხასიათიც პირდაპირ თუ ირიბად, სუფრის ევ-ქარისტულ გააზრებას უკავშირდება, რადგან ექვარისტია არის უფლის ქებისა და მადლობის მსხვერპ-ლი. იგია სავედრებელი მსხვერპლიც – „ყოველთა და ყოვლისათვის“, ვინც შემწეობას ითხოვს. ასეთი გააზრება აფართოებს ქართული *სუფრული სიმღერების* სახეობრივ პალიტრას და ხელს უწყობს არა მხოლოდ ჰიმნური და სადიდებელი, არამედ მავედრებელი, ლირიკული თუ სხვა ემოციური მიმართებების წარმოშობა-განვითარებას.

სემიოტიკურ ასპექტში ბუნებრივად ჩნდება იმის ასოციაცია, რომ მრავალხმიანი სიმღერის ვერტიკალი მარადისობის სივრცული გააზრებაა, ხოლო ჰორიზონტალი – დროითი. ამ მხრივ, ქართლ-კახური *სუფ-რული სიმღერების* (სადაც ბურდონული მრავალხმიანობაა განსაკუთრებით განვითარებული) გაბმული ბანი განგრძობადობის, დროითი კავშირის უწყვეტობის, მუდმივობის გამოხატულებად შეგვიძლია მი-ვიჩნიოთ. იმავდროულად, ის არის საყრდენი, მიწა, რომელსაც მითოსური ანთეოსივით ეყრდნობა ცაში ატყორცნილი ზედა ხმები.

მარადისობის ესთეტიკურ კატეგორიას უნდა უკავშირდებოდეს ქართულ (განსაკუთრებით კი ქართლ-კახურ) სიმღერებში ფართოდ გავრცელებული სამღერისები – არალი, ვარალი, ჰარი-ჰარალი და სხვ. საუკუნეების განმავლობაში შინაარსდაკარგული, მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული წარმართული პოლითეისტური პანთეონის ღმერთის სახელის სამღერისებად ქცევა მკაფიო მაგალითია იმისა, რასაც ფილოსოფიაში რელიგიურ ასპექტში მოხსნისა და ესთეტიკურ ასპექტში შენახვის მექანიზმს უწოდებენ. ქრისტიანობის დამკვიდრების კვალდაკვალ, წარმართული ღვთაებისადმი ოდინდელი რელიგიური მი-მართების დაკარგვის შემდგომ, სწორედ მარადისობის ესთეტიკურმა იდეამ შემოინახა მისი სახელი და ახლებური მხატვრული ფუნქცია გამოუძებნა.



**„ჰანალი, არი-არილის“ ყოველი
აქლანაგისაჲ ქართული კაჲთი
თითჱჲს მანადისოგის აჲყჲდს
ასჲჲს სიჲღჲნას, ისჲ, რომონს
ფინოსჲნი სჲსჲს სოღჲჲ
საღინინინოს მადს მონათჲნი
სჲნჲჲს. იჲი ისჲჲ ახღჲნს
მონიჲს საჲნადიჲსჲს,
რომონს ფინოსჲნი
მონათჲნი სჲნჲჲს მონაჲჲ
საღინინინოს სიჲგოღოს,
მონადის, მამოსაჲნიჲს.**



ვფიქრობ, არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ასეთი ტიპის შინაარსდა-
კარგულ სიტყვებს, როგორც წესი, მისამღერში ვხვდებით. თავად მისამღერიც
ამბივალენტურად შეიძლება წავიკითხოთ: „მისამღერი“ (როგორც მიმღერება)
და „მის სამღერი“ (ანუ მისი ან მისთვის სამღერი, „ვისიც არ ითქმის სახელი...“).

„ჰარალი, არი-არილის“ ყოველი აჲღერებისას ქართველი კაცი თითქოს
მარადისობის ბეჭედს ასვამს სიმღერას, ისე, როგორც ფიროსმანი სცხებს ხოლმე
სულიწმინდის მადლს ორთაჭალის ტურფას. იგი ისევე ახდენს მუსიკის საკრა-
ლიზაციას, როგორც ფიროსმანი ორთაჭალის ტურფების მხრებზე სულიწმინდის
სიმბოლოს, მტრედის, გამოსახვისას.

დაბოლოს, მარადისობის ესთეტიკურ კატეგორიასთან დაკავშირებით, გე-
ნიალური მუსიკოსის, მსტისლავ როსტროპოვიჩის, სიტყვები მსურს გავიხსენო,
სადაც ქართული ხალხური სიმღერის ესთეტიკური არსი, ვფიქრობ, უზუსტესად
არის განცდილი დიდი ხელოვანის მიერ: „ქართული სიმღერა საოცრად ლამა-
ზია, სევდიანია და მხიარული, ძალმოსილია და ალერსიანი, მრავალხმიანობის
მხრივ ანალოგი არ მოეპოვება, ყოვლისმომცველია და ნატიფი, ერთხელაც რომ
გაიგონო, მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა ს გაგრძნობინებს“. (ციტ. ვსარგ. ნაკაშიძე, 2011:64).

ბიბლიოგრაფია

1. ასლანიშვილი, შალვა. (1954). *ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ*. თბილისი: ხელოვნება. (ქართულ ენაზე).
2. ბაღაშვილი, გია. (2005). *ქართული მუსიკალური ფოლკლორის სა-
თავეებთან*. ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის
ავტორეფერატი. თბილისი: ჩოხი (ქართულ-ინგლისურ ენებზე).
3. გოცირიძე, გიორგი და ლამბაშიძე, ნინო. (2008). *ქართული
ტრადიციული სუფრის ლიტურგიკული ბუნება, საღიდელოები და
საღვინო სავალოებები*. წურჭუმია, რუსუდან, ჟორდანია იოსებ
(რედაქტ.). ტრადიციული მრავალხმიანობის მესამე საერთაშო-
რისო სიმპოზიუმი (გვ. 485-504). თბილისი: თსკ ტმკსც (ქართულ-
ინგლისურ ენებზე).
4. ვაჟა-ფშაველა. *სიცოცხლემ მხამი მასმია* (სიმღერა). იხ. ქართუ-
ლი პოეზია, ტ. 9. თბილისი: ნაკადული. (ქართულ ენაზე).
5. Mamardashvili, Merab. (1995). *Merab Mamardashvili – Lekcii o
Marsele Pruste*. Moskva: Ad Marginem (რუსულ ენაზე).
6. ნაკაშიძე, ნინო (შემდგ.). *ქართული ხალხური მუსიკის უცხოელი
მკვლევრები და შემკრებლები*. თბილისი: უსტარი (ქართულ-ინგ-
ლისურ ენებზე).
7. რუსთაველი, შოთა. (1975). *ვეფხისტყაოსანი*. თბილისი-ბერლინი:
საბჭოთა საქართველო-ფორტშრიტტ ერფურტი. (ქართულ ენაზე)
8. შილაკაძე, მანანა. (2008). *სუფრული სიმღერები ტრადიციულ-
ყოფითი კულტურის კონტექსტში*. წურჭუმია, რუსუდან, ჟორდა-
ნია იოსებ (რედაქტ.). ტრადიციული მრავალხმიანობის მესამე
საერთაშორისო სიმპოზიუმი (გვ. 504-516). თბილისი: თსკ ტმკსც
(ქართულ-ინგლისურ ენებზე).
9. ცქიტიშვილი, გიორგი. (1959). *მევენახეობის ისტორიისათვის
საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით*. იხ.
ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 4. თბილისი: მეცნიერება
(ქართულ ენაზე).
10. წერეთელი, გიორგი. (1947). *„სემიტური ენები და მათი მნიშვნე-
ლობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის“*. თბი-
ლისი: თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახ. უნივერსიტე-
ტის სამეცნიერო სესიათა მოხსენებების კრებული, 1. (ქართულ
ენაზე).
11. ჭოხონელიძე, ევსევ. (2003). *ღვინო და ქართული სუფრულები*.
გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 22/ 03. (ქართულ ენაზე).
12. ჯავახიშვილი, ივანე. (1964). *მასალები საქართველოს ეკონომიკუ-
რი ისტორიისათვის*. წ. 1. თბილისი: მეცნიერება (ქართულ ენაზე).
13. ჯამბაკურ-ორბელიანი, ალექსანდრე. (1861). *ივერიანელების
გალობა, სიმღერა და ღიღინი*. ჟურნალი „ცისკარი“. გვ. 141-160
(ქართულ ენაზე).
14. Пидаль Р. (1961). *«Избранные произведения»*. Пер. с испанского. М.
(რუსულ ენაზე).
15. David Lortkipanidze, (2017). *Georgia, the Cradle of Viticulture*.
Georgian National Museum. (ინგლისურ ენაზე).

ზოგადი სამუსიკო განათლების ხედულებური პროექტები და მათი როლი საზოგადოების განვითარებაში



ნუსტა ტყაიშვილი

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრის
მუსიკის ექსპერტ-კონსულტანტი

„ზოგადი სამუსიკო განათლების
სამიზნე აუდიტორია ფართო საზოგადოება,
მთელი მოსახლეობა“ (1).



მუსიკის საგანი დღესდღეისობით ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის აუცი-
ლებელ ნაწილს წარმოადგენს. მუსიკის საგნის სწავლების მიზნები და დიზაინი
სხვადასხვა ქვეყნის სასწავლო გეგმების მიხედვით რამდენადმე განსხვავდება,
ამავე დროს, ეს დოკუმენტები არ სცილდება ზოგადი განათლების ფარგლებს და
მსგავსი მიმართულებები აქვს.

მაგალითად, **საქართველოში**, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მუსიკის
სწავლება მიზნად ისახავს:

- მოსწავლეს დაეხმაროს პირად თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუსიკის რო-
ლის გააზრებასა და საკუთარი ესთეტიკური შეხედულებების ფორმირებაში;
- მოსწავლეს დაეხმაროს მუსიკალური ენის სხვადასხვა კონტექსტში გააზრებაში;
- მოსწავლეს შესძინოს მუზიციურობისა და დარგობრივი ენით ოპერირების
უნარი (2).

ინფორმაცია – მოსწავლემ უნდა შეძლოს:

- წარმოადგინოს, მოისმინოს, განიხილოს და შეაფასოს მუსიკა ისტორიულ
ჭრილში, ერკვეოდეს ჟანრებში, სტილებსა და ტრადიციებში;
- ისწავლოს მღერა და საკუთარი ხმის გამოყენება, შეთხზას და შეასრულოს
მუსიკა სხვებთან ერთად;
- აცნობიერებდეს, როგორ არის აგებული, პროდუცირებული და შესრულებული
მუსიკა ურთიერთდაკავშირებული მონაცემების – ბგერათსიმალის, გრძლი-
ობის, ტემპის, ტემბრის, ფაქტურისა და ფორმის მეშვეობით და იცნობდეს
მუსიკალურ დამწერლობას.

სამუსიკო განათლებას

საფუძველი ოჯახში, საბავშვო

ბაღსა და სკოლაში უყრია,

შემდეგში მისი განვითარება

დამოკიდებულია კონკრეტული

მოქალაქის ინტენსივობაზე, მის

ქვეყანაში არსებულ პოტენციალზე –

საგანმანათლებლო სტრუქტურასა

და ადგილობრივ პოტენციალზე. ამ მხრივ

დიდი გავლენა აქვს ქვეყანაში

არსებულ საკონსერვატორიულ,

თეატრალურ, საფანჯარო და

საკონკერტო სფეროებს, მისი

კომპლექსური განვითარების

სამსახურებისა და მასშტაბის

საზოგადოებრივ. ამავე დროს,

უდიდეს მნიშვნელობას იქონის

მუსიკალურ-საგანმანათლებლო

პროექტები.



სინგაპური – მუსიკის სწავლებამ მოსწავლეს უნდა

- მისცეს ცოდნა და ჩამოუყალიბოს დადებითი დამოკიდებულება სხვადასხვა კულტურის მუსიკალური ხელოვნების მიმართ და შეძლოს, შეაფასოს მუსიკის როლი ყოველდღიურობაში;
- განუვითაროს მუსიკის მეშვეობით თვითგამოხატვის უნარი;
- ჩამოუყალიბდეს მუსიკის მიმართ მუდმივი ინტერესი (მთელი სიცოცხლის განმავლობაში) და იყოს განსწავლული ამ სფეროში (3).

მართალია, ზოგადსამუსიკო განათლებას საფუძველი ოჯახში, საბავშვო ბაღსა და სკოლაში ეყრება, შემდგომ მისი განვითარება დამოკიდებულია კონკრეტული მოქალაქის ინტერესებზე, მის ქვეყანაში არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ტრადიციასა და ატმოსფეროზე. ამ მხრივ დიდი გავლენა აქვს ქვეყანაში არსებულ საკონცერტო, თეატრალურ, საფესტივალო და საკონკურსო ცხოვრებას, მისი პოპულარიზაციას შესაბამისი სამსახურებისა და მასმედიის საშუალებებით. ამავე დროს, უდიდეს მნიშვნელობას იძენს მუსიკალურ-საგანმანათლებლო პროექტები (4).

განხილვას საქართველოში განხორციელებული პროექტებით დავიწყებთ:

„მოდი, ერთად ვიმღეროთ“ 2021 წლის აპრილისა და მაისის თვეში რუსთავის ცენტრალურ პარკში დირიჟორ თამარ ბუაძის ინიციატივით განხორციელებული პროექტია, რომელიც მიზნად ისახავდა პანდემიით გამოწვეული კარჩაკეტილობის, გაუცხოების დაძლევის მუსიკის მეშვეობით. ყოველ შაბათს, საღამოს 6 საათზე, გუნდი „თუთარჩელა“ თამარ ბუაძის ხელმძღვანელობით მართავდა კონცერტს, სადაც მონაწილეობის მისაღებად იწვევდა სიმღერის მოყვარულებს (5). კონცერტების სერიის სამიზნე ქალაქის ახალგაზრდა თაობა იყო, რომელიც მართლაც დიდი ინტერესით ჩაერთო ამ პროექტში. თამარ ბუაძის სიტყვებით, „ჩამოყალიბდა გარკვეული აუდიტორია, რომელიც რეგულარულად ესწრებოდა კონცერტებს. აქედან, ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები ჩართულები იყვნენ შემოქმედებით პროცესში და მხარს უჭამდნენ ჩვენი გუნდის წევრებს, ხოლო უფროსი ასაკის წარმომადგენლები მსმენელის როლით კმაყოფილდებოდნენ და ჩვენს მიწვევაზე აცხადებდნენ, რომ დასწრებით მიღებული სიამოვნება საკმარისია მათთვის“.

კონცერტების მიმდინარეობისას ერთმანეთს ენაცვლებოდა ორი „თუთარჩელა“: მოყვარულთა ახალგაზრდული გუნდი, რომელიც მსოფლიო ხალხთა სიმღერებს ასრულებდა და ქალთა ფოლკლორული ანსამბლი, რომელიც ქართული ხალხური შემოქმედების სწავლებას ისახავდა მიზნად.



2021 წლის მაისსა და ივნისში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისა და პროგრამა „დღის კოდის“ ერთობლივი პროექტი „კულტურის ოკუპაცია“ მიეძღვნა საქართველოს ოკუპაციის 100 წლისთავს და მიზნად დაისახა ოკუპირებულ საქართველოში მუსიკის როლის, მისი განვითარების პერსპექტივის, მუსიკოსების დანიშნულებისა და მდგომარეობის ჩვენება.

ფილმი, ძირითადად, პროფესიული მუსიკის განვითარების გზას აღწერს, თუმცა, ერთ-ერთი ეპიზოდი მთლიანად ეძღვნება ხალხურ შემოქმედებას. ეპიზოდები უხვად მოიცავს მუსიკალურ ფრაგმენტებსა და დოკუმენტურ კადრებს. ყოველი პრემიერის დროს გადაცემაში მიწვეული იყო იმ ეპიზოდის მონაწილე მუსიკოსი-მკვლევარი, რომელიც მაყურებლისათვის ფართოდ წარმოაჩენდა განხილულ თემას.



შეიძლება ითქვას, რომ ფილმის საპრემიერო ჩვენებები საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენად იქცა, რაც იშვიათობას წარმოადგენს დღევანდელ დღეს. ექვს ეპიზოდში, რომლებშიც ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლები მონაწილეობენ, ოკუპაციის დროს ქართული მუსიკის განვითარების გზისა და მისი კონტექსტის თვალსაჩინო, მრავალმხრივი ასახვით მთელი ეპოქის სურათი იხატება, რაც არა მარტო მუსიკით დაინტერესებული მაყურებლის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის აქცევს მას საგანმანათლებლო რესურსად (6).

Yamaha School Project— „კვლევების შედეგად ირკვევა, რომ მსოფლიოში ხშირად არაა შექმნილი ინსტრუმენტული მუსიკალური განათლების შესაფერისი გარემო. ჩვეულებრივი მოვლენაა საკრავების, პედაგოგებისა და კურიკულუმების ნაკლებობა; ბევრ ბავშვს კი არასდროს ეძლევა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრის ან თუნდაც მასთან შეხების საშუალება.“ ამ განაცხადის საპასუხოდ პროექტი ინსტრუმენტულ სამუსიკო განათლებას უწყობს ხელს და საერთაშორისო პროექტისათვის შემუშავებული მეთოდისა და ინსტრუმენტების ინდუსტრიის დანერგვის საშუალებით ცდილობს, სასკოლო განათლების ნაწილად აქციოს ის მთელ მსოფლიოში,

„რათა მეტ ბავშვს მიეცეს მუსიკალური ინსტრუმენტებზე დაკვრის შესაძლებლობა და მუსიკითა და ინსტრუმენტებით მოგვრილი სიხარულის განცდა“ (7).



ნიელ ბარენბოიმის მიერ ინიცირებულ სხვა მრავალ პროექტს შორის პროექტი „Five minutes on...“ კლასიკური მუსიკის საჯარო გავრცელების საკითხს ეძღვნება. 3-8-წუთიან ვიდეოჩანაწერებში მუსიკოსი კონკრეტული ნაწარმოების—საფორტეპიანო რეპერტუარის რომელიმე ცნობილი ნიმუშის—განხილვის საფუძველზე მოსმენის, მუსიკის ემოციური აღქმის, ესთეტიკური განცდის უნარებს უვითარებს მსმენელს და კლასიკური მუსიკისადმი დამოკიდებულებას უყალიბებს მას. ეს პროექტი ზოგადი მუსიკალური ცნობიერების ამაღლებისკენაა მიმართული და ყველა ტიპის მსმენელს გულისხმობს, რასაც ხაზს უსვამს მისი მცირე მოცულობაც. შეიძლება ითქვას, ბარენბოიმი კლასიკური მუსიკის აღმქმელი რეცეპტორების გახსნას, ამოქმედებას ისახავს მიზნად, და ყურადღებას ამახვილებს სხვადასხვა გამომსახველობით საშუალებაზე, საშემსრულებლო ხერხებზე, ტემბრულ მიგნებებზე. მაგალითად, კ. დებიუსის „მთვარის შუქის“ საწყისი და დასკვნითი ეპიზოდების შესრულებისას „...ყური დაუგდეთ ჩემს მარცხენა ხელს“ (8), აუდიტორიას საშუალება ეძლევა, შეადაროს ორი ეპიზოდი, გაიაზროს არა მხოლოდ მარცხენა ხელის პარტიის—ჰარმონიული ფუნქციის მნიშვნელობა ნაწარმოებში, ამ დეტალებზე ყურადღების გამახვილებით მუსიკოსი ახერხებს, ნაწარმოებში ჩაფლოს მსმენელი და, ზოგადად, მოსმენის სურვილი გააჩინოს მასში.



ასეთი ეპიზოდები საფორტეპიანო ლიტერატურის სხვადასხვა, ძირითადად, ქრესტომათიულ ნიმუშებს ეხება – ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის „მთვარის სონატა“, 32 ვარიაცია, მოცარტის საფორტეპიანო კონცერტი N23 და N27, ფ. შოპენის ბალადა N1, პრელუდია N27, ი. ბრამსის საფორტეპიანო კონცერტი N1 და ა.შ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პროექტი მაინც გარკვეულ სოციალურ ფენაზეა მიმართული და ელიტარული აღმოჩნდა, რასაც მნახველთა არცთუ დიდი რაოდენობაც ადასტურებს. 2018 წელს განხორციელებული ამ პროექტის წინ უძღოდა შეხვედრების ციკლი ცნობილ მუსიკოსებთან „Parallels & Paradoxes“. 2021 წლის თებერვალში განახლდა დიალოგების ციკლი „მუსიკის მნიშვნელობის შესახებ“ მსახიობ და რეჟისორ კრისტოფ ვალცთან. (9)

თანამედროვეობის გამოჩენილი მუსიკოსის, იო-იო მას „ბახის პროექტმა“ ნ კონტინენტზე, 36 სხვადასხვა ქვეყანაში, გამართული 36 კონცერტი მოიცვა, სადაც მან ი. ს. ბახის ნ სუიტა შეასრულა სოლო ჩელოსთვის. პროექტი მოიცავს თითოეული ქვეყნის ტრადიციებისა და კულტურის გაცნობას მუსიკოსისა და მისი თანმხლები პირების მიერ, იქნება ეს მუსიკა და ლიტერატურა თუ მეცნიერება და სამზარეულო. მისი აზრით, კულტურა მოიცავს არა მხოლოდ ხელოვნებას, არამედ „ყველაფერს, რაც გვეხმარება გავიგოთ ჩვენი გარემო, ერთმანეთი და საკუთარი თავი“ (10).

ბახის პროექტის მასშტაბისა და მნიშვნელობის, მისი აუდიტორიის დასახასიათებლად მოვიყვანოთ საკონცერტო სივრცის ორ ნიმუშს:

ღია საკონცერტო სივრცე	ქვეყანა, ქალაქი	აშენების თარიღი	ადგილების რაოდენობა
მილენიუმ პარკი Jay Pritzker Pavilion	აშშ, ჩიკაგო	2014 წ.	11000 (4000 – ფიქსირებული, 7000 – ბალახზე) 7800 – პარკინგი
ოდეონის ამფითეატრი	საბერძნეთი, ათენი	161 წ.	5000

იო-იო მასთვის ბახის 300-წლიანი მუსიკა ერთ-ერთი არაჩვეულებრივი მაგალითია იმისა, თუ როგორ გვაკავშირებს და გვეხმარება კულტურა უკეთესი მომავლის წარმოდგენასა და შექმნაში. „ბახის პროექტი აღმოაჩენს და მონიშნავს ყველაგზას, რომლითაც კულტურა გვაძლიერებს როგორც ინდივიდებს, როგორც თემს, როგორც საზოგადოებასა და როგორც პლანეტას“.

ზემოთ დასახელებული ადგილობრივი და საერთაშორისო მუსიკალურ-საგანმანათლებლო პროექტები საზოგადოების მუსიკალური კულტურის ამაღლებისკენაა მიმართული. ეს პროექტები განსხვავდება აუდიტორიის, მიზნის, შინაარსის, გეოგრაფიული არეალის მიხედვით. სრულიად განსხვავებულია მათი მასშტაბიც – ზოგიერთი მთელ მსოფლიოს მოიცავს, ზოგი კი შეიძლება ერთი ქალაქით შემოიფარგლოს. აუდიტორიის მხრივ კი შეიძლება საზოგადოდ ყველასთვის იყოს განკუთვნილი ან განსხვავებოდეს ასაკობრივი, რეგიონული, სოციალური ნიშნით.

განხილული პროექტების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მათი მნიშვნელობა სცილდება სამუსიკო განათლების სფეროს და გლობალურ მნიშვნელობას იძენს როგორც საზოგადოების განვითარებისა და მისი ზოგადი კულტურის ამაღლების, ასევე კაცობრიობის გაერთიანებისა და გამთლიანების საქმეში.

ბიბლიოგრაფია

1. Carlos R. Abril The “General” in General Music <https://carlosabril.wordpress.com/2015/12/23/should-we-keep-using-the-term-general-in-general-music/>
2. საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024
3. რუსუდან თაყაიშვილი „ზოგადი მუსიკალური განათლების მახასიათებლები XXI საუკუნეში“. ბზსუ, 2014
4. რუსუდან თაყაიშვილი „მუსიკალური პროექტი, როგორც კულტურის მართვისა და განვითარების საშუალება“ კრებულში „კულტურა და ხელოვნება: კვლევა და მართვა“ ბზსუ, 2015
5. <https://www.facebook.com/tutarchelachoir>
6. <https://1tv.ge/video/kulturis-okupacia-stumari-dato-shughliashvili-etnomusikologi/>
7. https://www.yamaha.com/en/about/activities/school_project/
8. https://www.youtube.com/watch?v=XiWfPJLp2ko&list=PLErHuBsy75wzNtl5pjaDqwyM_C_RdipXn&index=1
9. https://www.youtube.com/watch?v=XHQ_ut4MJBA
10. <https://bach.yo-yoma.com/>

გუჯი ამაგუჰადი — ხელოვანი, რომელმაც შექმნა ღრმ და სივრცე



სოფიო ჟაჟუნია

ხელოვნებათმცოდნეობის
დოქტორი

ვფიქრობდი, სტატიას ეპიგრაფად გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცის ციტატა — „აწმყო — შობილი წარსულისაგან არის მშობელი მერმისისა“ — ხომ არ წარვუძღვარო-მეთქი, ილია ჭავჭავაძის მიერ ნათარგმნი, მაგრამ ეს შესანიშნავი აზრი მხოლოდ ცალსახად ეხმიანება იმას, რისი გაზიარებაც გვინდა თქვენთვის. წარსული-აწმყო-მომავალი ერთგვარ ვერტიკალად გვესახება, ხოლო ის, რაზეც აქ ვისაუბრებთ, ჰორიზონტალსაც გულისხმობს, ანუ დედამიწის გარშემო შემოვლას აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, ყველა კულტურის მონაპოვარის გამთლიანებას. ამ თვალსაზრისით რევამ გაბრიადის ციტატა უფრო გამოგვაღებოდა ეპიგრაფად — „სიყვარული ვერტიკალურია და ბრუნვადი“. არც სიყვარულის ხსენებაა უადგილო. სკოლაში სახვითი ხელოვნების შესწავლის მიზანი ხომ მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობისადმი სიყვარულისა და დაფასების უნარის გაღვივებაა. მხოლოდ ასე შევძლებთ კულტურათაშორისი გაუცხოების დაძლევას და პლანეტაზე ესოდენ განსხვავებულ ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის მიღწევას, თანაარსებობისას ომების გარეშე.

არსებობენ ხელოვანები, რომელთა შემოქმედება შორს სცდება ვიწრო ქრონოლოგიურ ჩარჩოებსა და რეგიონალურ კულტურულ სივრცეს. მათი ნაწარმოებები არა მხოლოდ გარკვეული დროის მონაკვეთისა და ადგილობრივი ისტორიული კონტექსტის მნიშვნელოვანი დოკუმენტებია, არამედ უფრო ფართო დიაპაზონის მომცველი, ზოგადასაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის ერთგვარი თავმოყრა და შეჯამებაა. ასეთი იყო პაბლო პიკასო, რომელმაც წინაისტორიულით დაწყებული, კაცობრიობის კვალდაკვალ ლამის ყველა ცივილიზაცია, ყველა ეპოქა საგულდაგულოდ შეისწავლა და საკუთარ „პრიზმაში“ გაატარა. რა შესძინა მას წარსულისა და სხვა კულტურების ცოდნამ? როგორ მოხდა, რომ ხელოვნების ისტორიის საფუძვლიანად მცოდნე პაბლო პიკასო XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გაბედულ ნოვატორად იქცა?

წინამდებარე სტატიის მიზანი პიკასოზე საუბარი არ გახლავთ. მასზე უჩვენოდაც ბევრი დაწერილა და თქმულა, მისი შემოქმედება ყველა შესაძლო რაკურსით არის შესწავლილი. ჩვენი მიზანი ზოგადად მსოფლიოს მხატვრული გამოცდილების შესწავლის მნიშვნელობის წარმოჩენაა, რადგან მხოლოდ ასე პასუხობს



სკოლაში სახვითი ხელოვნების
შესწავლის მიზანი ხომ
მსოფლიოს კულტურული
მემკვიდრეობისადმი
სიყვარულისა და დაფასების
უნარის გაღვივებაა.
მხოლოდ ასე შევძლებთ
კულტურათაშორისი გაუცხოების
დაძლევას და პლანეტაზე
ესოდენ განსხვავებულ ხალხთა
მშვიდობიანი თანაარსებობის
მიღწევას, თანაარსებობისას
ომების გარეშე.



ადამიანი კითხვას—საიდან მოვედი, ვინ/რა ვარ ახლა და საით მივდივარ? პასუხი კი აუცილებლად მიიყვანს ადამიანს იმის გააზრებამდე, თუ რამდენი რამ აქვს საერთო სხვა კულტურებთან.

ხელოვანი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხზე საუბრის საშუალებას იძლევა, ჩვენი თანამედროვე და თანამემამულე, საფრანგეთში მცხოვრები ოქრომქანდაკებელი გუჯი ამაშუკელია (დაბ. 1941 წ.). სამწუხაროდ და უსამართლოდ, ის ფართო საზოგადოებისთვის კვლავ უცნობ შემოქმედად რჩება. თავს ყოველთვის და ყველგან ქართველად აცხადებს, მაგრამ ევროპამ რა ხანია აღიარა, რომ მისი შემოქმედება მსოფლიო კულტურის მონაპოვარია.

გუჯი ამაშუკელი თანაბრად სარგებლობს ძველი ცივილიზაციების, წარმართული, წინაქრისტიანული თუ შუა საუკუნეების ლითონპლასტიკისა და ხელოვნების სხვა დარგების მოტივებით, აღმოსავლური და დასავლური მსოფლიო ხელოვნების საუკეთესო გამოცდილებით (მათ შორის, ქართულით). ის ქმნის ყველა დროისა და კულტურისთვის ღირებულ, უნივერსალურ, მაღალმხატვრულ ნაწარმოებებს. გუჯი ამაშუკელი თანამედროვეობას ტრადიციების ერთგულებით ქმნის და არა მხოლოდ საკუთარის. მისი გეომეტრიული, ზოო-, ბიო- თუ ანთროპომორფული სტილიზებული მოტივები მოდის პალეოლითის ხანიდან, შუამდინარეთიდან, ეგვიპტიდან, ანტიკური მითებიდან, ლეგენდებიდან, შუა საუკუნეების რელიგიური იკონოგრაფიიდან, რაინდული რომანებიდან, ფოლკლორიდან. ცხოველების, ფრინველებისა და ფანტასტიკური არსებების მოტივები არქეტიპების სიცოცხლისუნარიანობას მოწმობს.

მაგალითისთვის, ხარის გამოსახულება გუჯი ამაშუკელის ნაკეთობებზე ერთმანეთს უთავსებს შუმერულ თუ ეგვიპტურ ხარისთავა ღვთაებებს, კრეტულ მინოტავრს, ლუკა მახარებლის სიმბოლოს, რითაც ამ საკრალური არსების მემკვიდრეობითობას, მის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას შეგვახსენებს. ოსტატის ნაწარმოებები აშკარად ატარებენ ავტორისეული, განუმეორებელი სტილის დაღს და, ამავდროულად, გადაგვამისამართებენ ვანის თუ სკვითების განძთან, ოქრომრავალ მიკენთან, აქემენიდურ სპარსეთთან, პტოლემეთა ეგვიპტესთან, მეროვინგულ თუ კაროლინგურ ფრანკებთან. მისი შთაგონება იკვებება არა მხოლოდ ოქრომქანდაკელობით, არამედ ხელოვნების სხვა დარგების შედეგებით: სარკოფაგების რელიეფებით, რომანული და გოთიკური ტაძრების არქიტექტურით, ბიზანტიური მოზაიკებით, გერბებით, ხელნაწერებით, რენესანსული მხატვრობით. ამ თვალსაზრისით, ზემოთ ნახსენებ დროის ვერტიკალსა და სივრცის მბრუნავ სპირალს დარგების მაჩვენებელი დიაგონალებიც ემატება (ესეც ჩვენი გრაფიკული სქემა). თავადაც რენესანსული, უნივერსალური შემოქმედებით ის მოქანდაკეცაა, ოქრომჭედელიც, დურგალიც, ხარატიც, ზეინკალიც, შემდუღებელიც, მეთუნეც, მხატვარიც და დიზაინერიც. გუჯი ამაშუკელის შემოქმედება არის ხელოვნება „საზღვრების გარეშე“. სწორედ

შუმერული ლირა ურიდან,
ძვ.წ. XXV ს.



ამ თვალსაზრისით არის ის ერთ-ერთი ღირებული მაგალითი იმისა, თუ რაზე უნდა აღიზარდოს მომავალი თაობა.

კულტურათა გასაყარზე მდებარე საქართველო ძველ ცივილიზაციებთან შეხების კვალს დღემდე ინახავს. ეს ნაკვალევია მუზეუმების ექსპონატები, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. ისინი ჩვენ გარშემოა. სწორედ ასეთ გარემოში ჩამოყალიბდა გუჯი ამაშუკელის მგრძნობელობა აღმოსავლური და დასავლური კულტურების მიმართ. ამიტოა ის უნივერსალური, ყველასთვის გასაგები და მშობლიური. თუმცა უნდა აღინიშნოს მისი შემოქმედების ქართული ფესვების „მამხილებელი“ თავისებურებაც. ის არ ილტვის მდიდრულობისკენ. გუჯი ამაშუკელის საყვარელი ლითონი ვერცხლია და არა ოქრო. და კიდევ ერთი – რასაც არ უნდა ქმნიდეს ოსტატი, სამკაულით დაწყებული, ავეჯით დამთავრებული, ყველაფერში ჩანს სკულპტურული საწყისი, პლასტიკური ამოცანები.

შუა საუკუნეების ბიზანტიურ, ევროპულ თურქულ ნაწარმოებებში, როგორც წესი, დეკორატიულობა სძლედა სკულპტურულ ამოცანებს. ძვირფას ლითონთა შორის უპირატესობა ოქროს ენიჭებოდა. სილამაზის ცნების მდიდრულობასთან გაიგივებას, გარკვეულწილად, იმპერიული აზროვნება განსაზღვრავდა. მით უმეტეს, რომ შესაბამისი სახელოსნოები, როგორც წესი, საიმპერატორო და სამეფო კარს ემსახურებოდა. ამ მიდგომით აღბეჭდილ ნაწარმოებებს სახელმწიფო და დიპლომატიურ სამსახურშიც იყენებდნენ. მდიდრულობა მხოლოდ პრესტიჟულობის, პრაქტიკულობის (კოროზიისა და ჟანგვისადმი გამძლეობა), ან მხოლოდ ესთეტიკური თვალსაზრისით განპირობებული თვითმიზანი როდი იყო. ძვირფასეულობას საკრალური მნიშვნელობა ენიჭებოდა. ოქრო იყო იმსამ ძღვენს შორის, რომლებიც მოგვებმა ახალმობილ მაცხოვარს მიართვეს. იოანე ღმრთისმეტყველი ქრისტიანულ სარწმუნოებაში განსამტკიცებლად მეტაფორულად მოუწოდებდა: „გირჩევ იყიდო ჩემგან ოქრო, ცეცხლით გაწმენდილი, რათა გამდიდრდე“ (გამოცხ., 3-18). ოქროსი იყო სოლომონის ტაძრის ნაწილები, ნივთები და ჭურჭელი. მეფე სოლომონი „ქებათა-ქებაში“ წერდა ეკლესიის სიმბოლურ ხატზე – სძალზე: „მშვენიერია შენი ღაწვები, მძივებით შემკულნი, და ყელი, მანიაკით მორთული. ოქროს საყურეებს გაგიკეთებთ, ვერცხლით დაწინწკლულთ“ (ქება, 1-10, 11). ყველაფერი, რაც ღმრთისმსახურებასთან იყო დაკავშირებული, უფლის სილამაზის ანარეკლით უნდა ყოფილიყო გამშვენებული და თავისი ფუნქციური და სიმბოლური დატვირთვის ადეკვატური მხატვრული ფორმით უნდა წარმოჩენილიყო. ამ მხრივ ოქროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა.

განვითარებული შუა საუკუნეების ქართული ლითონპლასტიკა უმეტესწილად ვერცხლითაა წარმოდგენილი. ვერცხლი მკაცრია და თავშეკავებული. მისი ლივლივი იდუმალი ბურუსივით ეფინება ზედაპირს. ის არ ჩაგრავს სხვა ფერის ჩანართებს. პირიქით, თითქოს თავაზიანად უთმობს მათ გზას, წინ წამოსწევს და ჩვენს ყურადღებას მათკენ მიმართავს. ქართული ნაკეთობა იმთავითვე მოიაზრებოდა



**კულტურათა გასაყარზე
მდებარე საქართველო
ძველ ცივილიზაციებთან
შეხების კვალს დღემდე
ინახავს. ეს ნაკვალევია
მუზეუმების ექსპონატების,
კულტურული მემკვიდრეობის
ძეგლების. ისინი ჩვენ
გარშემოა. სწორედ ასეთ
გარემოში ჩამოყალიბდა
გუჯი ამაშუკელის
მგრძნობელობა აღმოსავლური
და დასავლური კულტურების
მიმართ. ამიტოა ის
უნივერსალური, ყველასთვის
გასაგები და მშობლიური.**



სადა, ერთიან, ორგანულ, არქიტექტონიკულ კომპოზიციად. ვერცხლი არ არის თვალისმომჭრელი. ვერცხლის ზედაპირზე ნათლად იკვეთება დეკორი. აქუფრო თვალნათლივია პლასტიკური ამოცანები (ინტერესის გაძლიერება იქნება ეს თუ შესუსტება).

ის ლტოლვა სისადავისადმი, ინტერესის კულპტურული ფორმების გამოვლენისადმი, თემატური მრავალფეროვნებისა თუ მხატვრული პრობლემების გადაწყვეტისადმი, რაც ნიშანდობლივი იყო X-XI სს-ის ქართული ლითონპლასტიკის ძეგლებისთვის, შემდგომი ეპოქების ძეგლებში საგრძნობლად შენედა. გუჯი ამაშუკელი სწორედ იმ „ოქროს ხანის“ ტრადიციებს მიჰყვება. ვერცხლის მასალა იქნება ეს, კომპოზიციური აგება თუ ფიგურის მოცულობითი „ხორცშესხმა“, მისთვის უპირატესი მნიშვნელობის მინიჭება თუ ორნამენტიკა, ის ნაწარმოებს უდგება არა როგორც იუველირი, არამედ როგორც მოქანდაკე. მის ნახელავზე ფიგურა არ „იკარგება“, არ „ინთქმება“ საერთო დეკორატიულ სისტემაში. მთავარისა და მეორეხარისხოვანის ასე მკაფიოდ გამიჯვნის უნარი, როგორც ჩანს, ქართული მხატვრული აზროვნებისათვის დამახასიათებელი სისადავის, სტილის სიმკაცრისადმი ერთგულების ნიშანია.

თრიალეთისა და ანტიკური ხანის ნივთები მოწმობენ, რომ საქართველო ოდითგან იყო მეტალურგიისა და ლითონის მხატვრული დამუშავების მნიშვნელოვანი კერა. აქ ცნობილი იყო გავარსი, რჩილვა, ჭვირვა, ჩამოსხმა, თევვა, პუნსონირება, ცვარა, ინკრუსტაცია... გუჯი ამაშუკელი ამ ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია, ერთგვარი ხიდია, გადებული წარსულსა და თანამედროვეობას, აღმოსავლურსა და დასავლურს შორის. სამხატვრო აკადემიაში ქანდაკებისა (პედ. შ. მიქატაძე) და ხატვის კურსის (პედ. ვ. შუხაევი) გარდა, ოსტატი განსაკუთრებული მადლიერებით იხსენებს ორ მჭედელს, თურქეთიდან ბათუმში იმიგრირებულ ბერძენსა და სომეხს, რომელთაგანაც ორი თვის განმავლობაში

გუჯი ამაშუკელი. რითონები



შეუსწავლია სპილენძზე მუშაობის ხელობა. მათთან დაეუფლა ტექნიკურ ხერხებს, რისიკოდნაც შემდგომში ასე გამოადგა. აქნასწავლს, ნანახსა და გაგონილს უცხოც დაამატა და შედეგად მრავალ „სახვით ენაზე მოსაუბრე“ შემოქმედად ჩამოყალიბდა.

ის არასდროს იმეორებს საკუთარ ნახელავს. ყოველი ნივთი უნიკალურია. ნაკეთობის გაწყობის წესი და მრავალფეროვნება, ერთი მხრივ, საერთოდ ტორეტიკის, ანუ ლითონმქანდაკელობის კულტურასთანაა დაკავშირებული, მეორე მხრივ კი, ტექნიკური ხერხები, მხატვრულ-სტილისტური და იკონოგრაფიული მოტივები ამა თუ იმ ქვეყნის ტრადიციებთანაა დაკავშირებული.

ხელოვნებათმცოდნე ნინო ხუციშვილი წერს: „...გუჯი ამაშუკელის მიერ შექმნილი თითოეული ნივთის საბოლოო სახე მეტწილად ტრადიციული ტექნიკის დემონსტრირებას ახდენს, თანამედროვე ტექნიკის მიღწევების გამოყენება კი უფრო შეუმჩნეველი რჩება მაყურებლისთვის, თუმცა სწორედ ის ანიჭებს ნამუშევარს სრულყოფილ სახეს“.

გუჯი ამაშუკელის ნაწარმოებები ერთდროულად მონუმენტურია (არაზომით, არამედ თვისებრივად), შეკრული, მონოლითური და ერთიანი, სადა, გემოვნებიანი, ზოგჯერ ასკეტურიც, ზომიერად დეკორატიული, ძვირფასი ლითონების პრიალა და ხაოიანი ფაქტურებისა და თავშეკავებულად პოლიქრომული ფერადოვნების დელიკატური თანახმიანობით ჰარმონიული. თრიალეთის ყორღანული კულტურიდან მოყოლებული, ქართულ საოქრომჭედლო ძეგლებზე ძვირფასი ქვა, ტრადიციულად, მისი კოლორისტული ეფექტის გამო გამოიყენება რელიეფურ ზედაპირზე ფაქიზი, ფრთხილი და თავშეკავებული ფერადოვანი აქცენტების გასათამაშებლად. გუჯი ამაშუკელიც თვლებს ნაკეთობის ფორმისა და მასალის ხაზგასასმელად მათ წარმოსაჩენად იყენებს.

ამ სისადავეს ერთხმად აღნიშნავს ქართული ოქრომჭედლობის ყველა მკვლევარი. ყველა თანხმდება, რომ ქართველი ოსტატები არ ამულავნებდნენ სწრაფვას მდიდრულობისა და დეკორატიულობისაკენ. რაკი ძვირფასი თვლები ვახსენეთ, აქვე შეგახსენებთ ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში ასევე არაერთხელ აღიარებულ ფაქტს, რომ, საპირისპიროდ ამისა, კაროლინგური და ოტონური ოქრომჭედლობა ხშირად თვლების ფერადოვნებას უფრო ჭარბად დეკორატიული ბუდეებით ახშობს.

გუჯი ამაშუკელი ქართული სისადავის პრიზმაში ატარებს მსოფლიოს სხვადასხვა დროისა და სივრცის კულტურულ მონაპოვარს, რადგან ის გახსნილია უცხო გამოცდილებისადმი. ამ გახსნილობის დასტურია მისივე სიტყვები: „როდესაც ეპისკოპოსმა შარტრის ტაძრის სალიტურგიო სივრცის მოწყობა მომანდო, არ უკითხავს, კათოლიკე ვარ, მართლმადიდებელი თუ ებრაელი. მხოლოდ ჩემი ხელოვნება აინტერესებდა. ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე“.



**ნანსუღისა და
თანამედროვეობის, საკუთარი
და უსხო კულტურების, საფუაროს
მრავალფეროვანი მხატვრული
ფორმების სოფნა აყალიბებს
პიროვნების ღირებულებათა
სისტემას. ამ კონსერვაციის
ნაშთმა აღვივებს საკუთარი
თავის შეფასებისა და
იდეოლოგიის ძიების სუნილს.**



უნებურად გახსენდება მარკ შაგალი, რომლის ვიტრაჟები ამშვენებს სინაგოგას, ანგლიკანურ, კათოლიკურ და ევანგელისტურ-რეფორმაციულ ტაძრებს, ნიუ იორკის გაეროს შტაბ-ბინას. განსაკუთრებით შთამბეჭდავი და შთამაგონებელია ის ფაქტი, რომ უკვე ხნიერი ებრაელი მხატვარი ნაცისტების მხრიდან ებრაელების მიმართ განხორციელებული გენოციდის შემდეგ მიტევებისა და შერიგების ნიშნად ვიტრაჟებით ამკობს გერმანიის ქალაქ მაინცის ეკლესიას. ეს არ არის მოკლე მეხსიერების შედეგი. შეგახსენებთ, მარკ შაგალი არის ე.წ. „ბროლის ლამისადმი“ პროტესტის ნიშნად შექმნილი „თეთრი ჯვარცმის“ ავტორი. ეს დამოკიდებულების საკითხია, სიკეთისა და სიყვარულის პოზიციით ნაკარნახევი. სწორედ ამ პოზიციას უნდა გუნერგავდეთ სკოლაში მოსწავლეებს.

გუჯი ამაშუკელის დამკვეთი, განურჩევლად წარმომავლობისა და სარწმუნოებისა, მაღალი ხელოვნების დამფასებელია. ამ ლითონმქანდაკებლის სამჭედლოდან გამოსული საერო თუ ლიტურგიკული ნივთები, ავეჯი, ჭურჭელი, სამკაული არაერთი ქვეყნის საკათედრო (პარიზისა და შარტრის ღვთისმშობლის) ტაძარს, სააბატოს, მუზეუმსა და კოლექციას ამშვენებს. მის დამკვეთთა შორის იყვნენ რომის პაპი, პოლიტიკოსები, დიპლომატები, კერძო კოლექციონერები. შარტრის ღვთისმშობლის ტაძრისთვის შექმნილი ნაკეთობები საფრანგეთმა ეროვნულ საგანძურად აღიარა.

კვლავ ნინო ხუციშვილს დავესესხებით: „გუჯი ამაშუკელის ხელოვნებას ახასიათებს კაცობრიობის მხატვრულ ტრადიციებთან კავშირი, მათი თავმოყრა, შემოქმედებითი ინტერპრეტაცია და თანამედროვე ფორმით წარმოჩენა, თანაც ისე, რომ ეპოქალური, თავდაპირველი მნიშვნელობა გარკვეულწილად შეუნარჩუნდეს. ტრადიციების ახალი ფორმით ხაზგასმულად ნათელი გამოვლენა მისი ესთეტიკის დამახასიათებელი მხარეა“.

სასკოლო განათლება გულისხმობს თაობიდან თაობაში შემეცნებისადმი ინტერესის, ცოდნის, გამოცდილების და უნივერსალური ზნეობრივ-ეთიკური ღირებულებების სისტემურ გაღვივებას. ეს არის გარანტი იმისა, რომ ტოლერანტული, სამართლიანი, ემპათიური საზოგადოების განვითარება განხორციელდება უწყვეტად, მემკვიდრეობითობის საფუძველზე. მით უმეტეს, რომ თანამედროვე მომხმარებლური საზოგადოებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია წონასწორობის დაჭერა მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს შორის. ხელოვნების (ზოგადად, ესთეტიკური აღზრდის საგნების) სწავლება საუკეთესო ინსტრუმენტი იმისთვის, რომ ავაშენოთ უკეთესი სამყარო.

წარსულისა და თანამედროვეობის, საკუთარი და უცხო კულტურების, სამყაროს მრავალფეროვანი მხატვრული ფორმების ცოდნა აყალიბებს პიროვნების ღირებულებათა სისტემას. ამ კონცეფციების წვდომა აღვივებს საკუთარი თავის შემეცნების და იდენტობის ძიების სურვილს. მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმირებულობა და ამ გლობალურ კონტექსტში საკუთარი



ადგილის გააზრება ამჟამად ჰუმანური პოზიციებიდან ეთიკური არჩევანის გაკეთების უნარს, ანუ სოციალური თუ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განცდას მოვლენებზე რეაგირების დროს. დემოკრატიული მრწამსისა და ინკლუზიური მიდგომების დანერგვა უფრო სიღრმისეულად განხორციელდება, თუ მრავალფეროვნებასთან შეხება მოსწავლეებს მსოფლიოს სხვადასხვა კულტურების შესწავლით მოუხდებათ. სწორედ ამას ითხოვს ჩვენგან ეროვნული სასწავლო გეგმა: „სკოლამ... ხელი უნდა შეუწყოს: **კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულებისა და ტოლერანტობის დამკვიდრებას** – შემწყნარებლობა (ტოლერანტობა) გულისხმობს ქვეყანასა თუ მსოფლიოში არსებული მრავალფეროვნების მიმღებლობასა და პატივისცემას, რაც ადამიანთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. სკოლის საერთო კულტურამ ხელი უნდა შეუწყოს მოზარდს იმის გააზრებაში, რომ ყოველი ადამიანი წარმოადგენს გარკვეული ენის, კულტურის, ტრადიციის მატარებელ ინდივიდს, რომელსაც თავისი უნიკალური წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნისა თუ საზოგადოების წინსვლაში. ეს სტიმულს მისცემს მოზარდის სრულფასოვან განვითარებას და დაეხმარება მას კულტურათშორისი დიალოგის წარმართვაში როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ“ (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2018–2024, მუხლი 18, ე).

1996 წლის იუნესკოს ანგარიშში, XXI საუკუნის განათლების საკითხებისადმი მიძღვნილ მოხსენებაში, ევროკომისიის ყველაზე წარმატებულმა, იმ დროს უკვე

აქემენიდური რითონი. ძვ.წ. V ს.

თრაკიული რითონი. ძვ.წ. IV ს.



**დაკავშირება შინაგონი და
თანამედროვეობას შორის
მანადგავს ან სუფაჟ მოიხსნება
თუ შემთხვევითი, თუ მოსწავლე
დინასტიაში მათ შორის
კავშირებს, თუ კვდება და
ახალი ის აღმოაჩენს დროის
მიღმა ანსაზად მანადგავს
კონსტრუქციას, მიზან-
შედეგობრივი კავშირების
დოქტრინას. ხელმძღვანელი
ანსაზად, თვითმართვის
მანადგავს უფროსად
შესაბამის და მათზე
ანადგავს**



ყოფილმა პრეზიდენტმა ჟაკ დელორმა დასახა XXI საუკუნის გამოწვევები, რომელთა წინაშეც დღეს აღმოვჩნდით: წინააღმდეგობა გლობალურსა და ლოკალურს, საზოგადოსა და ინდივიდუალურს, ტრადიციებსა და თანამედროვეობას, კონკურენციასა და თანასწორ შესაძლებლობებს, სულიერ და მატერიალურ ღირებულებებს შორის. ჟ. დელორი იქვე აღნიშნავს, რომ განათლება კაცობრიობის ღრმა და ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა, რომელიც დაგვეხმარება, ვებრძოლოთ სიღარიბეს, გაუცხოებას, უმეცრებას, ჩაგვრასა და ომს, დავამკვიდროთ დემოკრატიული იდეალები, რომლებიც ადამიანებს შორის სოლიდარობის განცდას წარმოშობს.

ბევრთა ხსენებით წინააღმდეგობების დაძლევაში მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება ხელოვნების ეროვნული ძეგლების შესწავლა და მათი განხილვა უფრო გლობალურ, მსოფლიო კონტექსტში. დაძაბულობა ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის განელდება ან სულაც მოიხსნება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე დაინახავს მათ შორის კავშირებს, თუ ძველსა და ახალში ის აღმოაჩენს დროის მიღმა არსებულ მარადიულ კონცეფციებს, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ლოგიკას. ხელოვნებაში არსებულ, თვითგამოხატვის მრავალფეროვან ფორმებთან შეხება და მათზე არაერთგვაროვანი თვალსაზრისების განხილვა მოსწავლეებში დიალოგის კულტურას ჩამოაყალიბებს.

როგორც მეცნიერება მიიწევს ახალი აღმოჩენებისკენ კაცობრიობის მიერ აგურ-აგურ ნაშენები ცოდნის საფუძველზე, ასევე ხელოვნება მიიწევს წინ წარსულის და სხვა კულტურების გამოცდილებაზე დაყრდნობით. ხელოვანი შთაგონებას საკუთარ სულში გაატარებს, თავისი დროის გადასახედიდან შეაფასებს და შემოქმედებითად გადაამუშავებს. ასე იქმნება ახალი ფორმა, სახე-ხატი თუ ტექნიკა. ჩვენმა მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, თუ როგორ და რა ფაქტორების ზემოქმედებით ყალიბდება ხელოვნება. უნდა გადახედონ ხელოვნების ისტორიას, აღმოაჩინონ იქ მათთვის ახალი, მიუსადაგონ აწმყოს და დაფიქრდნენ—რა გადაძახილს ხედავენ წარსულთან ისეთს, რომ დღევანდელი სათქმელი გამოხატონ? რა გამოწვევები იყო ადრე, როგორია დღევანდელი სამყაროს გამოწვევები? საით მივდივართ, რა შეიცვლება ხვალ და რას იტყვის კაცობრიობა მომავალში?

ცხადია, ამ კავშირების აღმოსაჩენად არც გუჯი ამაშუკელია ერთადერთი და არც პაბლო პიკასო. ხელოვნება სავსეა საამისო მაგალითებით. ჩვენ მხოლოდ უსამართლოდ მივიწყებული ქართველი შემოქმედის დაფასება გვინდოდა, ოქრომქანდაკებისა, რომელმაც თითოეულ ნაწარმოებში ერთმანეთს გადაანასკვა დრო და სივრცე; რომელმაც ჩვენი, კაცობრიობის საერთო წარმომავლობა, საერთო ფესვები შეგვახსენა. ●

მოღანიცხუდი ხელოვნების სწავლება სკოლაში



ირინა ჯორჯაძე

ხელოვნებათმცოდნე

საქართველოს სკოლებში ჩვენი ქვეყნის ავანგარდული ხელოვნების სწავლებას ბევრი სირთულე ახლავს თან. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, საკითხის გარშემო საგანმანათლებლო რესურსების ნაკლებობაა. უახლესი კვლევები, როგორც წესი, მხოლოდ პროფესიულ წრეებში ვრცელდება და შედარებით იშვიათადაა ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი პოპულარული სამეცნიერო ლიტერატურისა თუ გამოფენების სახით; მეორე მხრივ, უკანასკნელი პერიოდის ბევრი საინტერესო და სიღრმისეული ნაშრომისა და ექსპოზიციის მიუხედავად, საქართველოს ავანგარდული ხელოვნება სათანადოდ არც არის გამოკვლეული და ამ მიმართულებით ხელოვნებისა თუ სხვა დარგის მკვლევრებს კიდევ ბევრი აქვთ სამუშაო. შედეგად ჩვენს სკოლებში მეოცე საუკუნის დასაწყისის ხელოვნება მეტწილად ფრაგმენტულად ისწავლება. მოდერნისტულ ხელოვნებაზე საუბარი და სხვადასხვა მხატვრული პრაქტიკა კი მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვანი ავანგარდისტი მხატვრის შემოქმედებით შემოიფარგლება. სასწავლო თემებიც ძირითადად დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილისა და ელენე ახვლედიანის შემოქმედების აღწერა-ანალიზითა და ფიროსმანის ლეგენდებით სრულდება.

წინამდებარე ტექსტის მიზანია, მეოცე საუკუნის 20-იანი წლების უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი გამოცემების, ფართო საზოგადოებისთვის შედარებით უცნობი ფიგურებისა და მათი შემოქმედების განხილვა. ეს კი, არა მარტო მათი მხატვრული ღირებულებისა და თბილისური ავანგარდის კონტექსტის მიმოხილვისთვის, არამედ, პირველ რიგში, ამ ხელოვნების შემოქმედების სწავლებისა და ავანგარდული გამოცემების საგანმანათლებლო რესურსად გამოყენებისათვისაა მნიშვნელოვანი. საგულისხმოა, რომ ამ პერიოდის ხელოვნება არა მხოლოდ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლებისთვის არის უაღრესად მნიშვნელოვანი, არამედ უამრავ შესაძლებლობას გვთავაზობს ინტერდისციპლინური თემების, პროექტებისა თუ წრეების დასაგეგმად. უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული ავანგარდი და თანადროული ცნობილი ჟურნალები არა მარტო რადიკალურად განაპირობებულ მხატვრულ მიმდინარეობებს, არამედ სხვადასხვა დისციპლინასა და მათ განსხვავებულ მეთოდებს უყრის თავეს. ამგვარად შეგვიძლია, რომ ჩვენც ჩვენივე საკლასო ოთახში ისეთი შემოქმედებითი,



საქართველოს ავანგარდული
ხელოვნება სათანადოდ არ
აის გამოკვლეული და ამ
მიმართულებით ხელოვნებისა
თუ სხვა დარგის მკვლევრებს
კიდევ ბევრი აქვთ სამუშაო.
შედეგად ჩვენს სკოლაში
მეოცე საუკუნის დასაწყისის
ხელოვნება მეტწილად
ფრაგმენტულად ისწავლება.
მოდერნისტულ ხელოვნებაზე
საუბარი და სხვადასხვა
მხატვრული პრაქტიკა
კი მხოლოდ რამდენიმე
მნიშვნელოვანი ავანგარდისტი
მხატვრის შემოქმედებით
შემოიფარგლება.





**ენაშენიანი ტექსტის
მიზანია, მოუხა საუკუნის
20-იანი წლების უაღრესად
საინტერესო და მნიშვნელოვანი
გამოცემების, ზნათო
საზოგადოებრივი პოლიტიკით
უხსოვი უიზიუიზი და მათი
შეფარებადის განხილვა. ეს კი,
ანა მანსო მათი მხატვრული
ლინაჟებისა და თეორიული
აპანაჟის კონსტრუქციის
მიმოსილვისთვის, ანაჟი,
პინჟი ნიჟი, ამ ხელოვნების
შეფარებადის სანაჟისა
და აპანაჟული გამოცემების
საგანაჟოტაჟო ნაჟისად
გამოყანაჟისათვისაა
მნიშვნელოვანი.**



თამამი და მრავალმხრივი აზროვნებისა და მხატვრული მუშაობის მეთოდები გამოვიყენოთ, თბილისურმა ავანგარდმა რომ წარმოშვა.

იმისათვის, რომ ქართული ავანგარდული ჟურნალები დაზოგიერთი მეთოდი დღევანდელ საგაკვეთილო მასალად წავიკითხოთ, პირველ რიგში, ქართული მოდერნიზმის ძირითად მახასიათებლებს უნდა შევხებით. ქართული ავანგარდი მეოცე საუკუნის დასაწყისის დაახლოებით სამ ათწლეულს ითვლის და არა ვიზუალური ხელოვნებიდან, არამედ ლიტერატურიდან, არა თბილისიდან, არამედ დასავლეთ საქართველოს კულტურული ცენტრიდან – ქუთაისიდან, „ცისფერყან-წელთა“ ჯგუფიდან, იღებს სათავეს. საგულისხმოა, რომ მხატვრულ დაჯგუფებებს ნეოსიმბოლისტური თუ ფუტურისტული პროგრამების გარშემო პოეტების და არა ვიზუალური ხელოვნების წრეში ვხვდებით. თბილისში მოღვაწე ხელოვანები ხშირად იცვლიდნენ მხატვრულ მიმართულებას და განსაკუთრებულ უპირატესობას არცერთს არ ანიჭებდნენ. ეს ადგილობრივი მოდერნიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა. ამის გარდა, თბილისური ავანგარდის გამორჩეულად საყურადღებო ნიშანი კულტურული მემკვიდრეობის მიმართ მძაფრი ინტერესია, რაც გარკვეულწილად, უცხო იყო ამ პერიოდის ევროპული ავანგარდისთვის. გავიხსენოთ თუნდაც ილია ზდანევიჩის – მხატვრის, პოეტის, დრამატურგის და წიგნის დიზაინერის, ქართულ ავანგარდში ერთ-ერთი ყველაზე რადიკალური პოზიციის მქონე ხელოვანის, „ვსიჩეჩეტოს“ თეორიის ავტორის – განსაკუთრებული კვლევითი ინტერესი ქართული კულტურული მემკვიდრეობის მიმართ; ან დავით კაკაბაძის მიერ ქართული ორნამენტისა თუ ოქრომქანდაკელობის ზედმიწევნით შესწავლა, ასევე ექსპედიციები სხვა მხატვრების მონაწილეობით.


როგორც ითქვა, საქართველოში ავანგარდული ხელოვნების პირველი წლები ქუთაისს უკავშირდება, თუმცა მალევე ცენტრი თბილისში ინაცვლებს. ცარიზმის დამხობის შემდეგ, ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობამდე, რუსეთიდან ბევრმა პოეტმა თუ ხელოვანმა იმ პერიოდის კავკასიის კულტურულად ყველაზე ცოცხალ და მრავალფეროვან ქალაქს – თბილისს – შეაფარა თავი. 1916 წელს ალექსეი კრუჩინიხი ჩამოვიდა თბილისში, სადაც ილია ზდანევიჩთან და იგორ ტერენტიევთან ერთად ფუტურისტული სკოლა „Футурвсечуище“-ს ხელმძღვანელობდა. 1917 წელსვე თბილისში მემარცხენე ხელოვნების დიდი გამოფენა გაიხსნა. 1918 წელს არსდება ფუტურისტთა სინდიკატი, რომლის წევრებიც იყვნენ ალექსეი კრუჩინიხი, ლადო გუდიაშვილი, ილია და კირილე ზდანევიჩები, კოლაუ ჩერნიშევსკი და ყარა დერვიში. ხელოვანები იკრიბებოდნენ არტისტულ კაფეებში – „ფანტასტიკური დუქანი“, „ქიმერიონი“, „არგონავტების ნავი“, ასევე დუქნებსა და კოსერვატორიაში, სადაც კითხულობდნენ ლექსებსა და ლექციებს, მართავდნენ დისკუსიებს. არსდება ჯგუფი „41 გრადუსი“, რაც თბილისის განედს და შესაძლოა სხეულის ტემპერატურასაც აღნიშნავს – მდგომარეობას, როდესაც გადახურებული სხეული მანიფესტირებას იწყებს. ამ პერიოდში უამრავი


პერიოდული გამოცემა არსებობდა, იბეჭდებოდა უნიკალური სტრუქტურისა და განსაკუთრებული მხატვრული ღირებულების წიგნები ფუტურისტული თუ დადაისტური ტექსტებითა და ტიპოგრაფიით. ეს გამოცემები გამორჩეულ მხატვრულ ნიმუშებად წარმოგვიდგება და ნათლად გვაჩვენებს თბილისური ავანგარდის ეთნიკურ, სტილურ მრავალფეროვნებასა და მხატვრულ მიმდინარეობებთან თავისუფალ და თამამ დამოკიდებულებას. მაგალითისთვის სოფია მელნიკოვას ალბომს მოვიყვანთ, სადაც რუსული, სომხური და ქართული ტექსტები ერთად გვხვდება. (იხ. ფოტო 1. შენიშვნა: ფოტოები აღებულია საიტიდან modernism.ge)

რაც შეეხება პერიოდულ გამოცემებსა და ჟურნალ-გაზეთებს, ერთი მხრივ, ისინი დოკუმენტურად ასახავენ მიმდინარე მოვლენებს, დისკურსებს, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ დაპირისპირებებს, მეორე მხრივ კი, ბეჭდვითი პროდუქცია მხატვრულ სახეს იძენს. 1920-იანი წლების თბილისში მიმდინარე დისკუსიებსაც, ალბათ, ყველზე უკეთ ეს ჟურნალ-



ფოტო 1.






ფოტო 2.

გაზეთები და წიგნები ასახავს. მათ შორის 20-იანი წლების ბოლოს დაბეჭდილ ჟურნალ „H₂SO₄“-ს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს (იხ. ფოტო 2,3).

ჟურნალი საკმაოდ დაძაბულ და რთულ პოლიტიკურ ველში რადიკალური განაცხადებით იჭრება და, შეიძლება ითქვას, ყველაზე თანმიმდევრულ და უჩვეულო პროგრამას ავითარებს. ჟურნალის მხოლოდ ერთი ნომერი გამოიცა, მოგვიანებით კი ჯგუფმა კიდევ ერთი ჟურნალი, „ლიტერატურა და სხვა“ გამოსცა. H₂SO₄ გოგირდმჟავის ფორმულაა, რომელსაც, ავტორების თანახმად, ქართულ სალიტერატურო სივრცეში მძიმე ჰაერი უნდა გაეწმინდა. ამგვარი „ჰიგიენა“ კი, ავტორების მიხედვით, ზუსტად გათვლილი პროგრამული ნაბიჯებით უნდა დამყარებულიყო. იმავდროულად, სხვა მხატვრული ჯგუფები თუ გამოცემები იწყებენ „ცისფერყანწელთა“ კრიტიკას და ხელოვნების სივრცეში ახალ შეკითხვებს სვამენ, რომლებიც, უპირველესად, ხელოვნების საზოგადოებრივ როლსა და დანიშნულებას უკავშირდება და აქამდე არსებულ ზოგიერთ მიდგომას ეჭვქვეშ აყენებს. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ეს კრიტიკა სხვადასხვა ფლანგიდან ისმის და ხშირად არგუმენტაციაც აკლია. „H₂SO₄“-ის პროგრამას ამ საერთო კრიტიკის რაობის გასაგებად დიდი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, ჟურნალის ერთ-ერთი ავტორისა და 1920-იანი წლების თბილისური ავანგარდის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მემარცხენე მხატვრის, ბენო გორდემიანის, ტექსტებში ყველაზე ნათლად იკითხება კრიტიკული და შემოქმედებითი მეთოდების შემოწმებისა და დასაბუთების აუცილებლობა. ბენო გორდემიანი – მხატვარი, მწერალი, პუბლიცისტი, ხელოვნების მკვლევარი და თანადროული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო კრიტიკოსი – დღეს, სამწუხაროდ, მეტწილად მივიწყებული ფიგურაა. გორის სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ის ჯერ თბილისის სასულიერო სემინარიაში, 1925 წლიდან კი მოსკოვში, ეპოქის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო სამხატვრო სკოლა „ვხუტემასში“ (ВХУТЕМАС), სწავლობდა. საქართვე-

ლოში დაბრუნების შემდეგ სწავლა იმ ხანად ახლად გახსნილ თბილისის სახალხო უნივერსიტეტში გააგრძელა. მოგვიანებით მუშაობა დაიწყო სახელმწიფო გამომცემლობაში. მეორე მსოფლიო ომის დროს სხვადასხვა სააგიტაციო ლიტერატურის და პოლიტიკური პლაკატების გამოცემით იყო დაკავებული. მრავალიწელი ბენო გორდემიანი ქართულ შრიფტზე მუშაობდა. 1952 წლიან გამოდის მისი მონოგრაფიები და გამოკვლევები იოსებ შარლემანზე, გრიგოლ. ტატიშვილზე, დავით ქუთათელაძეზე, ქართულ მხედრულ შრიფტზე, მ. ბიჩიზე, ქართულ გრაფიკაზე და სხვა. 1960-იანი წლების დასაწყისში შემოქმედის სახელოსნოში მომხდარი ხანძრის გამო მისი ქმნილებები განადგურდა. ჩვენამდე მოღწეულ ნამუშევრებს შორის, ორი დაზგური ნამუშევრის გარდა, „H2SO4“ და წერილები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. მემარცხენე წრეები ერთგვარად გადაარჩივნ და ჩამოთვლიან პროგრესულ მიმდინარეობებსა თუ მხატვრებს, როგორც წესი, ფრანგული დადას, ექსპრესიონიზმის და ნეო სიმბოლიზმის ნაცვლად, ისინი ინტერესდებიან ოტო დიქსის, გეორგ გროსცის, კეტე კოლვიცის და ბერლინის დადას ხელოვნებით. შალვა ალხაბიშვილი სამაგალითო ხელოვნად ფერნანდ ლეჟეს მიიჩნევს. ლეჟესთან მონუმენტალიზმი და დინამიზმი ერთმანეთს ხვდება. ამორი პრინციპის ერთიანობაზე 1920-იანი წლების თბილისის სახელოვნებო სცენის დიდი ნაწილი თანხმდებოდა და აგრძელებდა კამათს მასალის და პროლეტარული ხელოვნების რაობის შესახებ. თუმცა, რას გულისხმობს ეს რეალობა, პროგრამულად არ იყო გაწერილი. სწორედ ამგვარ პროგრამულ თანმიმდევრობას, ფორმალისტური დამოკიდებულების ნაცვლად, შინაარსობრივ სიღრმესა და მეთოდურ დამუშავებას ითხოვდა ბენო გორდემიანი, ეწინააღმდეგებოდა რა იმგაკერპებულ უკრიტიკო სწორხაზოვნებას, რომელიც, მის თანახმად, არაერთ მემარცხენე პუბლიკაციაში გვხვდება. წერილში „მემარცხენეები ქართულ ლიტერატურაში“ ბენო გორდემიანი თანადროულ გამოცემებს რადი-

ფიგურა 3.



კალურობას უწუნებს და ზედაპირულობაში, ადგილობრივი კონტექსტის და ენის გაუცნობიერებლობაში, ინდუსტრიალიზაციის გადაუდებლობის ვერგააზრებაში სდებს ბრალს. ამგვარი მემარცხენეობა მისთვის მისტიფიკაცია და ერთგვარი პროვინციალიზმია. გორდემიანი კი მეთოდურად უდგება საკითხს და ნაბიჯ-ნაბიჯ ამუშავებს თეორიისა და შემოქმედების პრობლემებს და შემდეგ ფორმულირებას გვთავაზობს:


საჭიროა:

- „1. ენის რევოლუცია,
2. სიტყვის ქმედითობა აზრისა და ხმის მიხედვით,
3. შინაარსი,
4. სიახლე
5. ენის ცოდნა.“


ის მიუთითებს „H₂SO₄“-ის პროგრამაზე – ინდუსტრიალიზაციის გადაუდებლობისა და ახალი ხელოვნების რაობასთან ერთად, წარსულის საკითხსაც ეხება. ბენო გორდემიანი ამბობს, რომ ჭეშმარიტი ქართული კლასიციზმი ხალხური ხელოვნებაა და მემკვიდრეობიდან აღებული ნებისმიერი ენობრივი თუ ესთეტიკური საკითხი კონკრეტულ ისტორიულ მომენტში უნდა დამუშავდეს. ენის დამუშავება „H₂SO₄“-ის ცენტრალური პრობლემაა. ავტორთა თანახმად, ახალი დროის ლექსი პოეზიის მანამდე არსებულ სტრუქტურას ანადგურებს. ახალი დროის იმპერატივი კი ახალი ქალაქების და ინდუსტრიალიზაციის ხმების გადმოცემას ცდილობს და საკუთარ ხედვას საფეხურებად აგებს, როგორც ერთგვარ კვლევას და არა მიმდინარეობათა ეკლექტურ შერწყმას. ახალი ხელოვნების განმარტება ჟურნალის ფურცლებზე ჩანახატების, სქემების, ტიპოგრაფიული ექსპერიმენტების, ფორმულების, პოეტური ტექსტების სახით იკითხება, ბასრი ენით ყოველ ფურცელზე ვერბალურ-ოპტიკურ მხატვრულ სახეს ქმნის. ჟურნალის სატიტულო გვერდზე თითოეული ავტორის გვარის გასწვრივ მიმდინარეობაა მიწერილი, რაც, ცხადია, ერთმნიშვნელოვან განმარტებად არ გამოგვადგება: „ბენო გორდემიანი – „მხატვარი დადაისტი (?)“, ნიოგოლ ჩაჩავა – „წმ. წყლის ფუტურისტი“, ირაკლი გამრეკელი – „მხატვარი ფუტურისტი“, პავლე ნოზაძე – „წმ. წყლის დადაისტი“, ჟანგო ლოლობერიძე – „ანკარა დადაისტი“, აკაკი ბელიაშვილი – „ფუტურისტი“, სიმონ ჩიქოვანი – „ანკარა ფუტურისტი“, ნიკოლოზ შენგელაია – „კომ. ფუტურისტი (აშკარა)“, შალვა ალხაზაშვილი – „კომ. ფუტურისტი“. „H₂SO₄“-ის ავტორებს არ სჭირდებათ მხოლოდ ფუტურიზმის ყოვლისმომცველი მოძრაობა, არც პარიზის დადას ნიჰილიზმი და აბსურდი ან კონსტრუქტივიზმის უტილიტარიზმი, არამედ მათი თანმიმდევრობა მხატვრული და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. პირველი ამ მიმდინარეობებს შორის დადაა, რომელიც, ფრანგული დადასგან განსხვავებით, საგნების დამალვას არ ისახავს მიზნად, არამედ ფსიქიკის ბურჟუაზიული სტრუქტურისგან გაწმენდას ემსახურება და ფუტურიზმისთვის, მომავლის საგნებისთვის გზას ათავისუფლებს, რაც, ჯგუფის თანახმად, კონსტრუქტივიზმია, მაგრამ კონსტრუქტივიზმის სიხისტე ვერ იქნება საბოლოო სადგური, თუმცა იქნება ახალი აპარატის გაჩენის შესაძლებლობა, რომელიც პოეზიის რომანტიკულობას არ შეუშინდება და კონსტრუქტივიზმში პოეზიის უტყუარ ნიშანს შეიტანს ისე, რომ მის პლასტიკურ მატერიალიზმს უცვლელს დატოვებს. ეს მეთოდი, ავტორების თანახმად, ახალი კინოხელოვნების თანადროულობასა და მონტაჟის პრინციპზე დგას. მასალის ამგვარი დალაგებით ახალი კონსტრუქცია იქმნება, სადაც მხატვარს დირიჟორის როლი აკისრია.

იმისთვის, რომ ახალი ენა შექმნან, ჯგუფის წევრები, ერთი მხრივ, ცდილობენ ახალი ქალაქების ხმების გადმოცემას, შეუჩერებელი რიტმის ერთგვარი ჟურნალისტური დაკვირვებით მიყოლას და შემდეგ ირონიით ლექსებში ამ „კადრებს“ მონტაჟის პრინციპით ამუშავებენ. პარალელურად აკადემიური ენის დასამსხვრევად რეგიონების დიალექტებსა და ენებს იკვლევენ და მასალად შელოცვებისა და სხვადასხვა პოეტურ სტრუქტურას იყენებენ. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ხალხური ხელოვნება „H2SO4“-ს ფორმალურად კი არაა, სტრუქტურულად აინტერესებს, მისი ყველა განზომილებით. ამ მხრივ ის მეტად განსხვავდება კოლონიური ან რომანტიზებული დამოკიდებულებისგან და ცდილობს, გაცილებით უფრო ღრმა, სტრუქტურულ და, ამავე დროს, მხატვრულ-პოეტური ხასიათის განვითარებას მხატვრულობის და ყოფის გადაკვეთით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფი უარყოფს თეატრს და კინოს ქალაქის ახალ და პროგრესულ ხელოვნებად აცხადებს, რაც იმ ეპოქაში გასაგებიცაა. როგორც თანადროულ კინემატოგრაფისტებთან, „H2SO4“-ის ავტორებთანაც კინოს ენა მასალის ხელახალი დალაგების შესაძლებლობას იძლევა (ფოტო 4).


ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო „H2SO4“-ის ორი მნიშვნელოვანი ფიგურის – ირაკლი გამრეკელი-სა და ბენო გორდემიანის – ერთობლივი მუშაობაა. გამრეკელი ჟურნალის დიზაინის – მონტაჟის – ავტორია. ის ასევე ქართული სცენოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. სხვა ქართველი მოდერნისტებისგან განსხვავებით, მას ევროპაში არ უსწავლია. 1921 წელს, მისი გამოფენის ნახვის შემდეგ, იგი კოტე მარჯანიშვილმა თეატრში სამუშაოდ მიიწვია. პირველ ეტაპზე, მაგალითად, „სალომეას“ გაფორმებაში ირაკლი გამრეკელი ექსპრესიონისტულ მიმდინარეობას მიმართავს და მის ნამუშევრებში იუგენდშტილის ინტერესიც კი ჩანს, თუმცა კოტე მარჯანიშვილთან და სანდრო ახმეტელთან მუშაობის პერიოდში ირაკლი გამრეკელი ქართული თეატრალური მხატვრობის



ფოტო 4.



ფოტო 5.



ფოტო 6.

რეფორმატორი ხდება და ნელ-ნელა უპირატესობას კუბო-ფუტურიზმსა და კონსტრუქციზმს ანიჭებს (ფოტო 5.).

ბენო გორდემიანთან ერთად ის გამოყოფს იმ მიმდინარეობებს, რომლებიც პროგრამულად მნიშვნელოვანია ხელოვანთა ჯგუფისთვის, რომელსაც წარმოადგენდნენ პოლ სეზანი, უმბერტო ბოჩონი, პაბლო პიკასო, ვასილი კანდინსკი, გეორგ გროსცი, ალექსანდრე როდჩენკო და ჟან კოქტო; მიმდინარეობებიდან კი იმპრესიონიზმს, კუბიზმს, ფუტურიზმს, ლუზიზმს, სუპრემატიზმს, პუანტელიზმს და, რა თქმა უნდა, კონსტრუქტივიზმს ასახელებს. „H2SO4“-ის წინამორბედად ქართულ ხელოვნებაში ისინი მიიჩნევენ ნიკო ფიროსმანაშვილს, დავით კაკაბაძესა და ლადო გუდიაშვილს. გამრეკელისა და გორდემიანის თანამშრომლობას რამდენიმე გვერდზე შეგვიძლია გავადევნოთ თვალი და არაერთი საინტერესო მხატვრული მეთოდი თუ თეორია აღმოვაჩინოთ. მაგალითად, სქემად აწყობილი პოლარული წინააღმდეგობების შეკავშირების, გონებისა და აზროვნების მოდელი: (იხ. ფოტო 6).

„ანბანი – ხმის გადმოცემა ნიშანი. თანამედროვე ნიშანის საწყისი არის ბუნება (სოფელი).

ქალაქი განვითარებული ტექნიკით იძლევა ისეთ ხმებს, რომლის გამომთქმელი ნიშანი ჯერ არ გაკეთებულა“,

იმისთვის, რომ საკვანძო საკითხები და ახალი მეთოდოლოგიის გამოყენების გზები უკეთ გამოჩნდეს, გამრეკელი და გორდემიანი სამომავლო პროექტებზეც წერენ. პირველი ლაბორატორიული პროექტია, რომელიც ხმის, ენის, ანბანის, გრაფიკული ნიშნებისა და მხატვრობის ექსპერიმენტებით აპირებს მუშაობის გაგრძელებას და ამგვარი კავშირებით ყოფასთან შესატყვის ხელოვნებას შექმნის – თუ ძველი სიტყვები სოფლად წარმოშვა, ახალი სიტყვები ამ ახალ ქალაქებში უნდა შეიქმნას. გამრეკელის სურვილი

ახალი ცირკის შექმნისა არა მარტო შენობის პროექტს მოიაზრებს, არამედ ცირკის არსებული, ვულგარული განმარტების გადაზრებას და მის სახალხო ხასიათს უსვამს ხაზს. აკრობატიკის ცნება, რომელიც გარკვეულ-წილად ცირკის იდეიდან იღებს სათავეს, პოეზიაზეც ვრცელდება და სიტყვის/სმენის აკრობატიკად იქცევა, ან მხატვრობაში ხედვის/მხერის აკრობატიკად, საბოლოოდ კი საგანში სხეულდება. ამგვარ სინქრონულობას, კუბო-ფუტურისტულ და კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, ბენო გორდემიანისა და ირაკლი გამრეკელის ნამუშევრებში ჟურნალის სხვადასხვა გვერდზე შეგვიძლია დავაკვირდეთ.

„H2SO4“-ში ინტონაციები ვიზუალურად იკითხება, განსაკუთრებული სიცხადით კი ხმის ძალა, თითქოს როგორც წამოყვრება, ირონიული კომენტარი ან მანიფესტაცია.

მასალა იმდენად მრავალშრიანია, რომ მის განხილვასა და კვლევას, როგორც ვთქვით, კიდევ ბევრი დრო სჭირდება. თუმცა ზემოთ განხილული კომპონირების მეთოდი ამ ფორმითაც არაერთ საგანთაშორის კავშირზე დაგვაფიქრებს. სიტყვები, წინადადების ნაწილები, მარცვლები, ერთიან კომპოზიციებად იკითხება და თითქოს ისმინება კიდევ, რაც სხვადასხვა დარგის კომპოზიციების გადაკვეთის ხარჯზე მუსიკისა და ხელოვნების, შრიფტსა და ინტონაციაზე მუშაობის თანაბარ შესაძლებლობას გვაძლევს. მეორე ნიშანდობლივი კავშირი შეიძლება გამრეკელის, სამწუხაროდ, განუხორციელებელ ცირკის იდეას დავუკავშიროთ არა მხოლოდ ფიზიკური აღზრდის, აკრობატიკისა და ბალანსის ესოდენ თვალსაჩინო კავშირით, არამედ ფიზიკასაც. ჟურნალის ყველა გვერდზე წარმოდგენილია და ცირკის კონტექსტში ყველაზე ფართოდ გაშლილია მხატვრულად საოცრად თამამი წონასწორობის საკითხი. წონასწორობა, ეროვნულ სასწავლო გეგმას თუ ჩავხედავთ, არა მარტო ხელოვნების, არამედ ფიზიკის სამიზნე ცნებაც არის. მოდერნიზმის ეპოქის დაპირისპირებული მიმდინარეობების და ამ დაპირისპირების მიზეზების გარკვევისთვის, ამ თემაზე პროექტის მომზადებისთვის ყველაზე თვალსაჩინოა ქართულ ენასა და ლიტერატურასთან, ასევე ისტორიასთან კავშირი. ასევე შეიძლება მსგავსი ექსპერიმენტული პოეტური წრის შექმნაც კი მეოცე საუკუნის მემარცხენე პოეტებისა და მხატვრების კვალდაკვალ, ჩვენი გადაღლილი და უიმედო ქალაქების ხმების გადმოსაცემად. ამ პროგრამულ ტექსტებში პლაკატურობის, დიდი და მცირე ზომის ასოების, ინტერვალების, წვრილი, მოხდენილი და ნატიფი შრიფტის (უხეშ, სტანდარტულ სქელ ბეჭდვას რომ ენაცვლება), მხატვრული პოეზიის, ენისა და ვიზუალური ხელოვნების შეკავშირების საინტერესო მაგალითის აღმოჩენის გარდა, უაღრესად მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა თავად იმუშაონ მსგავსი მხატვრული ფორმებით. შეეცადონ შექმნან დინამიკური და კომპლექსური კომპოზიციები, რათა ამ გამოცდილებით, ერთი შეხედვით, საპირისპირო ცნებები სულ სხვა მნიშვნელობით გადაიზარონ. ამგვარი მხატვრული მიდგომა – მეცნიერული ფორმულის მსგავსი, მაგრამ მხატვრული სტრუქტურის მქონე ოპტიკური აკუსტიკა – თანადროულ სმენას და გარკვეულ პოლიფონიურ პრაქტიკას გვასწავლის. ხელოვნების გაკვეთილი ამგვარი აღქმის სივრცეა, რომელიც ჩვენი მემკვიდრეობის კვალდაკვალ მოზარდმა – ახალმა თვალმა, უნდა დაინახოს და მისი ნიშანი ყველა სასწავლო დისციპლინაში აღმოაჩინოს. ●

ბიბლიოგრაფია

1. ქართული მოდერნიზმი 1910–1930, მაია ციციშვილი; ნინო ჭოლოშვილი, თბილისი, 2006.
2. ქართული მხატვრობა განვითარების ისტორია– XVIII–XX საუკუნეები, მაია ციციშვილი; ნინო ჭოლოშვილი, თბილისი, 2013.
3. Modernism.ge



ლევან ახველიძე

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი,
ილიას უნივერსიტეტის პროფესორი



ლევან ახველიძე

მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის
ისტორიის ექსპერტ-კონსულტანტი

არქეოლოგიის სწავლება საშუალო სკოლაში

ნაწილი I

საშუალო სკოლებში არქეოლოგიის სწავლება, მისი ყველა ასპექტის გათვალისწინებით, ჩვენს საზოგადოებაში არ ყოფილა ფართოდ განხილვის საგანი. ჩვენი ნაშრომის მიზანია ეს საკითხი დავძრათ გაყინული წერტილიდან, თუმცა სტატიის ფორმატი არ იძლევა საშუალებას განსახილველი თემა მთელი მოცულობით წარმოვაჩინოთ. არქეოლოგიის სწავლება საშუალო სკოლებში შემდეგი კუთხით გვინდა განვიხილოთ: როგორაა ასახული არქეოლოგია სკოლის ისტორიის სახელმძღვანელოებში? ჩვენ მიერ დასახული მიზნის განსახორციელებლად ძირითად წყაროებად ვიყენებთ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებს.

უკეთ რომ წარმოვადგინოთ, თუ როგორაა წარმოჩენილი არქეოლოგია ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში, ამისათვის საჭიროა განვიხილოთ ამ დარგის სპეციფიკა. არქეოლოგია სხვა ჰუმანიტარული მეცნიერებებისაგან გამოირჩევა იმით, რომ მას საკვლევად გააჩნია კაცობრიობის ისტორიის ყველაზე უფრო დიდი ქრონოლოგიური მონაკვეთი (სადაღესოდ 7 მილიონი წელი) – პირველი ჰომინინების გაჩენიდან ფაქტობრივად ახალ ხანამდე. „საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ განმარტავს: *არქეოლოგიური*

ობიექტი – 100 ან მეტი წლის წინ ნაწილობრივ, ან სრულად განამარხებული, ან წყალქვეშ მოქცეული ნაშთი, კულტურული ფენა, რომელიც შექმნილია ადამიანის მიერ, ან ადამიანის ბუნებაზე გემოქმედების შედეგად, ან რომელსაც ატყვია ადამიანის გემოქმედების კვალი. მეორე – არქეოლოგიური წყაროები წარმოადგენენ მატერიალურ ობიექტებს, რომლებიც იყოფიან არტეფაქტებად და ეკოფაქტებად.

არქეოლოგიის თვალსაზრისით კაცობრიობის ისტორია ორ ძირითად პერიოდად იყოფა: ესაა პრეისტორიული ხანა და ისტორიული ხანა. პრეისტორიული ხანა განეკუთვნება კაცობრიობის ისტორიის იმ პერიოდს, როდესაც არ არსებობდა დამწერლობა. ისტორიული ხანა კი ის პერიოდია, როდესაც ჩნდება ისტორიის წერილობითი წყაროები. პრეისტორიული ხანის მკვლევარები კაცობრიობის ისტორიას შეისწავლიან არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული წყაროების მეშვეობით. ისინი მოპოვებული მასალის თავისებურებიდან გამომდინარე სწავლობენ ძველი საზოგადოებების კულტურას, განვითარების ეტაპებსა და ამ განვითარების კანონზომიერებებს. რაც შეეხება ისტორიული ხანის მკვლევარებს, მათ განკარგულებაშია როგორც ნივთიერი, ასევე წერილობითი წყაროები და ძველი საზოგადოებების კულტურის შესწავლასთან ერთად იკვლევენ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებს, როგორებიცაა, მაგალითად, ომები, პოლიტიკა, ცალკეულ პიროვნებათა ღვაწლი და სხვა.

ამორ მონაკვეთს შორის ზოგჯერ ჩნდება გარდამავალი ხანაც – პარაისტორიული პერიოდი. იგი ასახავს იმ ვითარებას, როდესაც შესასწავლად აღებულ საზოგადოებას თვითონ არ გააჩნია წერილობითი წყაროები, მაგრამ მისი ისტორია გადმოცემულია განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე მყოფი საზოგადოების წარმომადგენლის ან წარმომადგენლების მიერ.

იმისათვის, რომ გავაანალიზოთ არქეოლოგიის სწავლება სკოლაში, ერთი მხრივ, საჭიროა გავითვალისწინოთ ის ეპოქა, რომელშიც დაიწერა ესა თუ ის სახელმძღვანელო, ხოლო, მეორე მხრივ, თვალი გავადევნოთ არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარების დონეს.

საბჭოთა ეპოქა ხასიათდება მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ბატონობითა და მისი პროპაგანდით. მისი მსოფლმხედველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენდა კაცობრიობის ისტორიის განხილვა საზოგადოებრივი ფორმაციების თვალსაზრისით და ამ ფორმაციების ცვლილებების მიზეზების დადგენა. ამ პრობლემის გარშემო თვით მარქსისტულ ლიტერატურაში განსხვავებული თვალსაზრისი და ვრცელი ლიტერატურა არსებობს. სტატიაში ამ საკითხების სრულფასოვნად განხილვა შეუძლებელია, ამიტომ მოვიყვანთ მხოლოდ საბჭოთა კავშირში გავრცელებულ შეხედულებებს, რომლებმაც დოგმატური ხასიათი მიიღეს. ამ იდეოლოგიის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო ფენგელსის ნაშრომი „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“



იმისათვის, რომ

გავაანალიზოთ არქეოლოგიის სწავლება სკოლაში, ერთი მხრივ, საჭიროა გავითვალისწინოთ ის ეპოქა, რომელშიც დაიწერა ესა თუ ის სახელმძღვანელო, ხოლო, მეორე მხრივ, თვალი გავადევნოთ არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარების დონეს.





სკოლის სახელმწიფო
 შექმნა ზეპირსიტყვიერი
 როლი ითავაზა ანაქსაგორის,
 რომელიც შეხვედრის,
 განვითარების დონე. პერიოდ,
 სახელმწიფო ისტორიის
 პირველი სახელმწიფო
 დანართის ან იყო
 შექმნა ზეპირსიტყვიერი
 ხანის ქვეყნის აბსოლუტური
 თანადრობით (აბსოლუტური
 ეროვნული – ესაა
 ის ისტორიული მოვლენა
 განსაზღვრულია კანონიერ
 სისტემით, სოციალური
 ეროვნული ასახვის
 სხვადასხვა ისტორიული
 მოვლენის ერთგვარობის
 დროის თვალსაზრისით
 მიმართებას) განსაზღვრა
 სახელმწიფო
 განვითარების მეთოდის
 გამოყენებით.



[Энгельс, 1934]. ნაშრომში კაცობრიობის ისტორია სამ ძირითად ეპოქად არის დაყოფილი: ველურობა, ბარბაროსობა და ცივილიზაცია. პირველი ორი ეპოქა კიდევ სამ-სამ საფეხურად არის დაყოფილი. თითოეულ ეპოქისა და საფეხურისთვის დამახასიათებელია სამუშაო იარაღის წარმოება, რომელთა საშუალებით სიცოცხლის უზრუნველსაყოფისთვის საჭირო რესურსები მოიპოვებოდა. შემდგომში ამ იარაღის გაუმჯობესებით უფრო მეტი რესურსის დაგროვება ხერხდებოდა, შესაბამისად, საზოგადოება განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ადიოდა.

ველირობა. ქვედა საფეხური – ამ დროს ადამიანები ძირითადად ცხოვრობენ იმ ადგილებში, სადაც ისინი გაჩნდნენ – ტროპიკულ და სუბტროპიკულ ტყეებში. საკვებად, უმეტეს შემთხვევაში, იყენებდნენ მცენარეთა ნაყოფს. შუა საფეხური – დაიწყო ცეცხლისა და უხეშად დამუშავებული ქვის პალეოლითური იარაღის გამოყენება. საკვებ რაციონში გაჩნდა თევზი. ამან ადამიანს საშუალება მისცა გადაადგილებულიყო დიდ მანძილებზე – მდინარეებისა და ზღვების ნაპირების გაყოლებით და სხვადასხვა კლიმატურ პირობებში. უმაღლესი საფეხური – გამოიგონეს მშვილდ-ისარი, რამაც ნადირობა უფრო ეფექტური გახდა. ქვის ცულების გამოგონებამ ადამიანს საშუალება მისცა ხისგან დაემზადებინა ნავები, რომლებითაც იგი წყალზე გადაადგილდებოდა.

ბარბაროსობა, ველსაფხური – ჩნდება მეთუნეობა (კერამიკის დამუშავება). **შუასაფხური** – იწყება მიწათმოქმედება და მესაქონლეობა. **ველირობის საფხური** – ადამიანმა ხელი მიჰყო რკინის წარმოებას. ამ მასალისგან დამზადებულმა იარაღებმა შესაძლებელი გახდა კაცობრიობა ცივილიზებულ ცხოვრებაზე გადაეყვანა (სახელმწიფოს, დამწერლობის და სხვათა წარმოქმნა).

საზოგადოების განვითარების ენგელსისეულ თეორიას (საწარმოო იარაღების განვითარება იწვევს საზოგადოების განვითარებას) იზიარებს ი. სტალინიც, რომელმაც საბჭოთა კავშირის იდეოლოგიისათვის ჩამოაყალიბა საფუძვლები დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის სახით [Сталин, 1947:535-563]. ი. სტალინის აზრით, საზოგადოების განვითარების ისტორია არის, უპირველეს ყოვლისა, წარმოების ისტორია. ამ პროცესში უპირველესია *საწარმოო იარაღები*, რომელთა საშუალებითაც იქმნება დოვლათი და ადამიანები, რომლებიც ჩართულნი არიან ამ პროცესში. ორივე ერთად ქმნის *საწარმოო ძალებს*. მეორე მხრივ, წარმოების პროცესში ადამიანებს შორის იქმნება *საწარმოო ურთიერთობები*, რაც განაპირობებს საზოგადოებრივ წყობას. ისტორია იცნობს ხუთ ძირითად წყობას: პირველყოფილ-თემურს, მონათმფლობელურს, ფეოდალურს, კაპიტალისტურს და სოციალისტურს. ანუ ი. სტალინს, ისევე როგორც ე. ენგელსს, მიაჩნიათ, რომ საზოგადოების განვითარების უპირველესი მამოძრავებელი არის იარაღების, განსაკუთრებით შრომის იარაღების განვითარება.

გარდა ზოგადად მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის გაბატონებისა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს დაწერის წინაპირობა იყო ის კონკრეტული ცვლილებები, რომლებიც საბჭოთა მსოფლმხედველობამ განიცადა XX ს-ის მეორე ნახევარში. ჩვენ არ შევუდგებით ამ საკითხის ფართოდ და ყოვლისმომცველად განხილვას. მოვიყვანთ მხოლოდ იმ მაგალითებს, რომლებიც არქეოლოგიას შეეხება – კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 1934 და 1941 წლებში მოწყობილ გამოფენებს. თუკი 1934 წლის გამოფენა მიზნად ისახავდა არქეოლოგიური მასალის საშუალებით მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდას, 1941 წლის ექსპოზიცია უკვე ასახავდა „საქართველოს“ უძველეს კულტურას [აბულაშვილი და სხვა, 2010, 253-258], ანუ საბჭოთა იდეოლოგიამ ნაციონალური ელფერი შეიძინა. ამ ცვლილებების წინაპირობად გამოკვლევის ავტორები მიიჩნევენ „ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის“ (ენიმკი) შექმნას (1936 წ.) ლ. ბერიას ხელშეწყობით, სადაც საქართველოს ისტორიისა და კულტურის ფართო კვლევა-ძიება გაიშალა [ბერძენიშვილი და სხვა, 1943:3].

სკოლის სახელმძღვანელოს შექმნაზე უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარების დონემ. კერძოდ, საქართველოს ისტორიის პირველი სახელმძღვანელოს დაწერისთვის არ იყო შემუშავებული პრეისტორიული ხანის ძეგლების აბსოლუტური თარიღების (აბ-



სოლუტური ქრონოლოგია – ესა თუ ის ისტორიული მოვლენა განსაზღვრულია კალენდარული სისტემით, ხოლო შედარებითი ქრონოლოგია ასახავს სხვადასხვა ისტორიული მოვლენის ერთმანეთთან დროის თვალსაზრისით მიმართებას) განსაზღვრა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მეთოდების გამოყენებით. ამიტომ ამ ეპოქის ძეგლები მხოლოდ შედარებითი ქრონოლოგიით არიან განსაზღვრულნი. გარდა ამისა, ჯერ სრულად არ იყო დაწერილი საქართველოს არქეოლოგია.

საქართველოს ისტორიის პირველი სახელმძღვანელო გამოიცა 1943 წელს სიმონ ჯანაშიას რედაქტორობით – ავტორები ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი (გარდაცვალების შემდეგ), ს. ჯანაშია [ბერძენიშვილი და სხვა, 1943]. სახელმძღვანელო შედგება შესავალისა და 21 თავისაგან, რომლებიც, თავის მხრივ, პარაგრაფებად იყოფა, ეს უკანასკნელი კი – ქვეთავებად. შესავალსა და პირველი ოთხ თავში საქართველოს ისტორია დაყოფილია სოციალური და კულტურული თვალსაზრისით, ხოლო დანარჩენი ჩვიდმეტი – კონკრეტული ისტორიული მოვლენების გათვალისწინებით (მაგ. თავი V არაბობა საქართველოში; თავი XIV საქართველო მე-15 საუკუნეში. სამეფოს დაშლა და სხვა). შესავალში ასახულია კავკასიის უძველესი დრო, როდესაც ამ ტერიტორიაზე ჯერ კიდევ მღვა იყო, ხოლო შემდეგ ხმელეთის აწევამ და შესაფერისმა გარემომხელი შეუწყო ამ ტერიტორიაზე უძველესი ადამიანის განსახლებას. საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებული უძველესი საზოგადოებების განვითარების ისტორია დაყოფილია ოთხ ძირითად პერიოდად: პირველყოფილი ჯგუფის, გვარის, ტომის, საზოგადოებრივი კლასებისა და სახელმწიფოს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საზოგადოების განვითარების ეტაპები, სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე (ისტორიულ ხანამდე) მოცემული არ არის აბსოლუტური ქრონოლოგიის გათვალისწინებით. ყოველ, უფრო მაღალ ეტაპზე გადასვლა, სახელმძღვანელოს ავტორების აზრით, დაკავშირებულია იარაღის ხარისხის გაუმჯობესებასთან.

რაც შეეხება არქეოლოგიას – მისი მონაცემები ყოველი ეტაპის საილუსტრაციოდ არის გამოყენებული: პირველყოფილ ჯგუფს შეესაბამება ძველი ქვის ხანა, ანუ პალეოლითი, როდესაც საზოგადოება ძირითადად მონადირეობას და შემგროვებლობას ეწეოდა. სახელმძღვანელოში მოცემულია საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი პალეოლითური იარაღის ჩანახატები.

ადამიანის მიერ იარაღების გაუმჯობესებამ გააუმჯობესა მეურნეობა: მონადირეობისა და შემგროვებლობის ადგილი დაიკავა მიწათმოქმედებამ და მესაქონლეობამ. საკვები პროდუქტების მოპოვების გაუმჯობესებამ მოსახლეობის ზრდა გამოიწვია და მათი ცხოვრება უფრო ბინადარი გახდა. ყველაფერმა ამაღ, თავის მხრივ, შეცვალა საზოგადოება – გაჩნდნენ გვარები და ტომები. სახელმძღვანელოს ავტორების აზრით, თითოეულ ტომს თავისი ენა ჰქონდა. ამ პერიოდში ყალიბდება ქართული ენა. მაშინ ქართველები ცხოვრობდნენ „სახლებად“, რომელიც ერთი დიდი ოჯახი იყო და სახლს (გვარს) წარმოადგენდა. სახლების კრებული შეადგენდა თემს. თემთა კრებული კი – „ნათესავს“, ანუ ტომს. არქეოლოგიურად ამ პერიოდს „ახალი ქვის ხანა“, „ნეოლითი“, ჰქვია. ამ ეპოქაში დაიწყო ქვის იარაღის ხარისხის გაუმჯობესება, გაიზარდა მისი ასორტიმენტი. გაჩნდა მიწის დასამუშავებელი ძვლის იარაღი, მშვილდ-ისარი, კალათები, ქსოვილი, თიხის ჭურჭელი და სხვა. სახელმძღვანელოში მოცემულია ნეოლითური ქვის იარაღის კოლექციის ნახატი.

ლითონის იარაღის – სპილენძის, ბრინჯაოს და განსაკუთრებით რკინის წარმოების დაწყებამ გამოიწვია საზოგადოების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა. კერძოდ, მეურნეობა კიდევ უფრო განვითარდა, რამაც გააჩინა კერძო საკუთრება, შრომის განაწილება, ვაჭრობა, ფულის შემოსვლა მიმოქცევაში, მონობა, საზოგადოებრივი უთანასწორობის წარმოქმნა. ამას მოჰყვა სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რაც, უპირველეს ყოვლისა, მონათმფლობელთა ხელში დამცავ ინსტრუმენტს წარმოადგენდა.

სახელმძღვანელოს ავტორთა აზრით, ქართველები წინა აზიის მკვიდრი მოსახლეობა იყო და მათ ხეთურ-იბერიულ ხალხებს უწოდებდნენ, რომლებსაც ხუთი, ექვსი ათასი წლის წინათ ვრცელი მიწა-წყალი ეკავათ. წინა აზიიდან ისინი გავრცელდნენ ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროსა და სამხრეთ ევროპაში. ევროპაში ამ გვარტომების ხალხები წინ უსწრებდნენ შემდგომში მოსულ ინდოევროპელებს. ესენი არიან: პირინეის ნახევარკუნძულზე — იბერები (შემდგომში ბასკები); აპენინის ნახევარკუნძულზე — ეტრუსკები, ხოლო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე — პელაზგები. მესოპოტამიიდან კავკასიამდე ბინადრობდნენ სუბარ-იბერები. ამ პერიოდში ძირითადი ცენტრები სამხრეთში იყო. ამ თეორიიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ კავკასია ქართული ტომებისთვის პერიფერიას წარმოადგენდა. კავკასიაში ამ ეპოქას, კერძოდ, ძვ.წ. II ათასწლეულს, მიეკუთვნება თრიალეთში გამოვლენილი ყორღანები, რომლებიც საზოგადოების მაღალი წრის წარმომადგენლებს ეკუთვნოდათ. ამ სამარხებში გამოვლენილია დასაკრძალავი ურემი, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს ნივთები. ტექსტში მოცემულია ოქროს სასმისის ფოტო. II ათასწლეულის დამლევს ასურეთის გაძლიერებასთან ერთად, ხეთურ-სუბარული მოსახლეობა მრავალ წვრილ სამთავროდ დაიქაქსა. გამოიყვნენ მუსკები (შემდგომში მესხები) და თუბალები (24 სამთავრო). ამავე დროს IX ს-ში წარმოიქმნა ურარტუს ძლიერი სახელმწიფო, რომელმაც ძვ.წ. VIII ს-დან იწყო დასუსტება კიმერიელებისა და სკვითების შემოსევების გამო.

ამეპოქისსაქართველო არქეოლოგიურად განხილულია სახელმძღვანელოს პირველ თავში: „საქართველო-კავკასია ბრინჯაოსა და ადრინდელ რკინის ხანაში“. ამ პერიოდს (ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისი) შეესაბამება საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ორი კულტურული წრე: პირველი – დასავლური, მეორე – აღმოსავლური. პირველი კულტურული წრე (შემდგომში „კოლხურად“ წოდებული) გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. სხვადასხვა იარაღი და სამკაული ძირითადად ბრინჯაოსგანაა დამზადებული, მათ შორის ცული, რომელიც „კოლხურ ცულად“ არის ცნობილი. აღმოსავლეთის კულტურული წრე ვრცელდება მდ. ალაზნის აღმოსავლეთით, სავანის ტბის მიდამოებში და არაქსის ხეობაში. რაც შეეხება ქართლს, აქ ორივე კულტურის სინთეზი შეინიშნება. ამ ტერიტორიებზეც ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოში, იარაღი და სამკაული ძირითადად ბრინჯაოსგან არის დამზადებული. ჩნდება მეგალითური ნაგებობები: ციხე-დარბაზები, დოლმენური სამარხები (აფხაზეთი), მენჰირები (ქვის ბოძი), ვეშაპები (ვეშაპის ქვის ფიგურა). ტექსტი გამდიდრებულია ილუსტრაციებით.

თავი II. ანტიკური ხანის მონათმფლობელნი სახელმწიფოები საქართველოში

ეს პერიოდი მოიცავს ძვ.წ. VI-ახ.წ. III სს.-ს თავდაპირველად განხილულია ის სახელმწიფოები და ხალხები (მიდია, ირანი, ბერძნული ქალაქ-სახელმწიფო-



ნახ შეხება ანაქაროვოვის —
 ვისი მომსახურე ყოველი ვეზიონ
 სიღრმესთანოდ არის გამოყვ-
 ნებები: პირველყოფი ჯვარს
 შეესაბამება ქველი ქვის ხანა, ან
 პადლოდითი, ნოქსას საზოგ-
 დოება ძირითადად მომადირობას
 და შემოწმებადობას ეწოდება.
 სხედმქვანედოში მოსეშადი
 საქართველოს ტანისტონიზა
 გამოვლენილი პადლოდითური
 იარაღის მანახეშები.

ფოები, სკვითები, სარმატები, პართია, პონტო, სომხეთი, რომი), რომლებთანაც ურთიერთობა ჰქონდა ამ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ პოლიტიკურ წარმონაქმნებს. კოლხეთისა და იბერიის ისტორია ძირითადად წარმოჩენილია ბერძნულ, ლათინურ და ქართულ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით. სახელმძღვანელოს ავტორთა აზრით, არქეოლოგიური მასალები, რომლებიც წიგნის წინა თავში იყო ილუსტრირებული, სრულ საფუძველს იძლევა იმ დებულების გასამყარებლად, რომ ურარტუს დაცემის შემდეგ შესაძლებელი გამხდარიყო სახელმწიფო ცენტრებს ჩრდილოეთით გადაენაცვლათ და კოლხეთისა და იბერიის სამეფოები წარმოქმნილიყვნენ. საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ.წ. VI-ახ.წ. III სს-ის არქეოლოგიური ძეგლებია ახალგორის, ბორის, კლდეეთის, სარგვეშის, ურეკის ტერიტორიაზე გამოვლენილი სამარხებისა და განძების მდიდრული ინვენტარი. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მცხეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძეგლები ბაგინეთსა და არმაზისხევში. ამ აღმოჩენათა ფოტოები დართული აქვს სახელმძღვანელოს. ეს მასალები ცხადყოფენ – მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო წარმოქმნილი ერთიანი ქართული სახელმწიფო, მაგრამ კულტურულად საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა მსგავსი კულტურის მატარებელი იყო.

მესამე თავში „ადრინდელ-ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში“ განვითარებულია აზრი, რომ მონათმფლობელური საზოგადოებიდან ფეოდალურზე გადასვლა განპირობებული იყო შრომისა და საბ-





განსაკუთრებული მნიშვნელობაა მასათის ტანიტონიკა და ამოღებული ქვედაკაბისა და ანაფილქსი. ამ აღმოჩენათა ფოტოები დაიბეჭდა აქვს სახელ-ქვეყნალო. ეს მასალები სხვა-ყოფან — მიხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო ნაპოვნილი ერთიანი ქართული სახელმწიფო, მაგრამ კულტურადაც საერთოვანო ტანიტონიკა მსოფლიო მოსახლეობა მსგავსი კულტურის მატარებელი იყო.



რძოლო იარაღების კიდევ უფრო გაუმჯობესებით — განსაკუთრებით სახნისისა, რამაც სოფლის მეურნეობა უფრო მაღალ დონეზე აიყვანა. სამწუხაროდ, ამის დამამტკიცებელი მასალები არ არის მოყვანილი. მომდევნო თავებში საწარმოო იარაღების კავშირი სოციალური ცხოვრების ცვლილებასთან აღარ არის განხილული. მატერიალური ძეგლები გამოყენებულია მხოლოდ ამა თუ იმ ეპოქის საილუსტრაციოდ: Vს. — ბოლნისის სიონის წარწერა, უჯარმა; VIს. — მცხეთის ჯვარი, სტეფანოზ ერისთავის ფული; IX-Xსს. — მარტვილის, მოქვის, ოშკის, იშხნის, ბანას, ხახულის ტაძრები, დავით III-ის ფული; XIს. — სამთავისი, ბაგრატის ტაძარი, გელათი, ალავერდი, სვეტიცხოველი, ბედია, ნიკორწმინდა, ბაგრატ IV-ის ფული; XIIIს. — ხიდი ბასლათაზე, გიორგი III-ის ფული, თამარისა და დავითის ფული; XIIIს. — ფიტარეთი, ქვათახევის ტაძარი, რუსუდანის ფული, დავით ნარინის ფული; XVIIIს. — ანანური; XVIIIს. — ბაქარ მეფის ფული.

საქართველოს ისტორიის მეორე სასკოლო სახელმძღვანელო, რომელიც საბჭოთა პერიოდში გამოიცა, დაიწერა ავტორთა ჯგუფის მიერ, რომელსაც აკად. ნიკო ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა [ბერძენიშვილი და სხვა]. ამ სახელმძღვანელოში არქეოლოგია წარმოდგენილია გაცილებით უფრო შემცირებული ფორმატით, ვიდრე პირველში. მიუხედავად ამისა, მისი ხასიათი შეცვლილი არ არის.

საინტერესოა მესამე სახელმძღვანელო, რომლითაც 70-80-იან წლებში სწავლობდნენ ჩვენს სკოლებში. ეს სახელმძღვანელო VII-X კლასებისთვის იყო განკუთვნილი. მისი ავტორები ვიქტორ გუჩუა და შოთა მესხია იყვნენ. კონცეპტუალური თვალსაზრისით, ეს სახელმძღვანელო დიდად აქ განსხვავდებოდა წინა სახელმძღვანელოებისგან, თუმცა ცვლილებები მაინც არის.

მასაც, ისევე როგორც წინამორბედ სახელმძღვანელოებს, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია ედო საფუძვლად. შესავალში ხაზგასმით წერია, რომ „...ქართველებმა თანმიმდევრობით გაიარეს პირველყოფილი თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური წყობილება, ამჟამად საქართველოს მშრომელები წარმატებით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას“ [ვ. გუჩუა, შ. მესხია, 1982: 5].

ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ ადამიანის ფორმირებაში სწორედ „შრომამ“ ითამაშა გადამწყვეტი როლი.

არქეოლოგიური დათარიღების კუთხით, ახალ სახელმძღვანელოში უკვე ჩანს აბსოლუტური დათარიღების ელემენტები, კერძოდ, ზედა პალეოლითი იწყება 30 ათასი წლის წინათ, ბრინჯაოს ხანა — 5-6 ათასი წლის წინათ, ხოლო რკინის ეპოქის დასაწყისი დაახლოებით ძვ.წ. I ათასწლეულით თარიღდება.

ამგვარი ცვლილება, პირველ რიგში, გამოწვეულია არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარებით მსოფლიოსა და საქართველოში. 50-60-იანი წლებიდან მიმდინარეობდა ინტენსიური გათხრები ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა



რეგიონში. ამგათხრებს ახორციელებდნენ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი (შემდგომში ცალკე დაწესებულებად ჩამოყალიბდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრი), ასევე თსუ-ს არქეოლოგიის კათედრა და სახელმწიფო მუზეუმი და სხვა.

მეორე განსხვავება, რომელიც ამ და 1943 წლის სახელმძღვანელოებს შორის აშკარად იკვეთება, არის ქართველთა ეთნოგენეზის საკითხი. ახალ სახელმძღვანელოში თითქმის არ არის ამ საკითხზე საუბარი. მხოლოდ იმის შესახებაა ინფორმაცია, რომ „ძვ.წ VIII საუკუნისთვის უკვე ჩამოყალიბდნენ ძირითადი ქართველი ტომები – ქართვები, მეგრელ-ჭანები და სვანები, რომლებსაც ერთიანი ძირისგან წარმომდგარი საკუთარი სატომო ენა, ტერიტორია და ზნე-ჩვეულებები ჰქონდათ“ [გუჩუა, მესხია, 1982: 13].

კიდევ ერთი რამ, რაც განასხვავებს ძველ და ახალ სახელმძღვანელოებს ერთმანეთისგან, თუ 1943 წლის სახელმძღვანელოში ქართველების განსახლების ძირითადი ცენტრები უფრო სამხრეთითაა მიჩნეული, ახალში ისინი უძველესი დროიდან მხოლოდ კავკასიაში ბინადრობდნენ [გუჩუა, მესხია, 1982: 12].

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ, თუ არ ჩავთვლით გარკვეულ დეტალებსა და ნიუანსებს, რომელთა შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ, პრინციპული განსხვავება კომუნისტური ეპოქის სახელმძღვანელოებს შორის არ იკვეთება. ●

გაგრძელება იქნება...

ბიბლიოგრაფია

1. აბულაშვილი თ., ახვლედიანი დ., გურული ვ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში 1934 და 1941 წლებში მოწყობილი არქეოლოგიური გამოფენა, კულტურულ-ისტორიული ძიებანი, თბილისი, 2010, 253-258.
2. ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია, ნაწილი I, თბილისი, 1943.
3. ბერძენიშვილი ნ. (ხელმძღვანელი), დონდუა ვ., დუმბაძე მ., კაჭარავა ი., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ., საქართველოს ისტორია, სახელმძღვანელო საშუალო სკოლის უფროსი კლასებისათვის, თბილისი, 1966.
4. ვ. გუჩუა და შ. მესხია, საქართველოს ისტორია 7-10, „განათლება“ – 1982
5. Сталин И., О диалектическом и историческом материализме (сентябрь 1938), Вопросы Ленинизма, ОГИЗ, 1947, с. 535-563ю
6. Энгельс Ф., Происхождение семьи, частной собственности и государства, Москва, 1934.

